ლიტერატურული გაზეთი

№6(142) 27 მარტი - 9 აპრილი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი



დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები

***

დედოფლებიდან, სხვით არაფრით გამორჩეულ დედოფალ ანას შემდეგ, ყველაზე მეტად ულუ დავითის ცოლებს გაუმართლათ ქართულ კლასიკურ ლირიკაში. ცხადია, თუ თამარს მეფედ მივიჩნევთ, არა — დედოფლად.

პირველი ცოლის გამოხმობა — სიმონ ჩიქოვანის „წიგნი ჟამთააღმწერლისა: გვანცა“.

თუნდაც ეს მცირე პორტრეტი რად ღირს, ლირიკულად მთრთოლვარე და ტევადი:

ტანი კენარი, მხრები ლამაზი
და მონგოლებით შემკრთალი სახე.

ეს სახე შეიძლება ძალიან ლამაზი არც იყოს, მაგრამ ისეთია, თავისზე ბევრად ლამაზებს რომ სჯობია — საოცრად მეტყველი.

ახლა შემდეგი სტროფი:

მცირედი ჭვრიტი, გრემანი თვალით
ალბათ გეტრფოდა თვითონ ჩაღატარ,
ჟამთაღმწერელმა ჯვარედინ ხმალით
შენი თვალები წიგნში ჩახატა.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო უცნაური და ჩემზე უცნაურადვე ზემოქმედი სტრიქონი: „როცა სიკვდილი გეწვია ნაზი“.

და ასე დასასრულამდე — „წიგნში გედივით ჩაგრჩა სახელი“...

და შემდეგ, ფაქტობრივად უკვე დასასრულის შემდეგ, მთელი განწყობის შემკვრელი ჭედური ფინალი:

და შავ მერნებით ურდოს მიდიან
დავით ულუ და სარგის ჯაყელი.

მეორე ცოლის გამოხმობა — გრიგოლ აბაშიძის „ჯიგდახათუნი“. ერთ-ერთი მკაფიოდ მოსანიშნავი სტროფი ქართულ ლირიკაში:

და შედგა ჩემი ბედის ბორბალი,
შეჩერდა შენი თმით დახლართული,
შენ ერთადერთი ხარ დედოფალი,
ჩემი ოცნების ჯიგდახათუნი...

რა დამსახურებით გამოირჩნენ საქართველოს პირველი ნახევარმეფის ეს თანამეცხედრენი მრავალ და მრავალ სხვათაგან? პასუხი უმარტივესია: ლამაზი და უცნაური სახელებით. სიმონ ჩიქოვანის ლექსის დაწერამდე არც ერთი ცოცხალი გვანცა არ დაიარებოდა, სწორედ იმ წლის მერე გაჩნდნენ პირველი თანამედროვე გვანცები.

II-III

ზვიად რატიანი

ჩრდილი

დავიღალე და ჩრდილში წამოვწექი.
ჩრდილი გასრიალდა.

ჩრდილი იმისაა – უნდა გასრიალდეს.
მაგრამ უფრო ნაზად და ფრთხილად:

კანი არ უნდა აგაფხრიწოს და გაიყოლოს.
არც ფრჩხილები. არც წამწამები.

ჩრდილი იმისაა – უნდა გასრიალდეს,
მაგრამ უფრო უხმოდ და სწრაფად:

ვერ უნდა შეძლო მის კიდეზე ხელის წავლება,
უკან მოთრევა, ნადავლის წართმევა.

დაგისვენე და გზა განვაგრძე
(ბოლო სტრიქონი ჩრდილში ჩარჩა).

IV

დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები



* * *

ოდესღაც მეგონა, რომ სისხლის აღების წესს მხოლოდ სასტიკი ინსტინქტები კვებავდნენ. მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა. ერთმა ხევსურმა ამიხსნა.

იქ, სადაც არსებობდა მხოლოდ მედიატორული, შუაკაცური სამართალი, არ არსებობდა არავითარი პოლიცია და სასამართლო, მოსახლეობას ამოწყვეტისაგან, ზნეობის შინაგან კანონს იქით, მხოლოდ სისხლის აღების წესი იფარავდა.

კაცის მოკვლა ძალიან სახიფათო იყო და ძალიანაც უფრთხოდნენ. ის კი არა, ხელის შემოკვრასაც უფრთხოდნენ, ესეც ძალიან სახიფათო იყო.

* * *

თანაკლასელი მყავდა, ჩიპოს ვეძახდით. თავიდან ჩიფჩიფა შეერქვა, მერე ვატრიალეთ, ვატრიალეთ ეს სახელი და საბოლოოდ ჩიპო გამოვიდა. თვითონაც აღარ გაუპროტესტებია. დიდი ამბავი — ჩიპო. საწყენიც რა არის. კარგი მოსწავლე იყო, სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა.

უმაღლესის შემდეგ სუკის (კაგებე) საკავშირო სასწავლებელში შევიდა და დიდი ხნით თვალთაგან დავკარგე. ერთხელაც ისევ ამოტივტივდა. უნივერსიტეტში საიდუმლო განყოფილება ჩააბარეს და ხშირად ვხედავდი, ქუჩა იქნებოდა თუ უნივერსიტეტის ბაღი.

ეს ის ხანები იყო, ზვიად გამსახურდია „გულაგის“ ქსეროასლებს დიდი ინტენსიურობით რომ ავრცელებდა. ჩიპო კი დარბოდა და გავრცელებული ეგზემპლარების შეგროვებას ცდილობდა.

— ეს რა ენერგია აქვს, გამაგიჟა, მე მაგისი... — უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებოდა.

თვითონ ზვიადი — უკანასკნელი სიტყვებით არა, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავად.

მოკლედ, ორმხრივი სიყვარულობა ჰქონდათ.

იქნებ მეხსიერება მატყუებს, მაგრამ არც დევნა ყოფილა მხოლოდ ცალმხრივი. რამდენჯერ მინახავს, ჩიპო რომ გამწარებული გარბოდა და ზვიადი უკან მისდევდა. არადა, ჩხუბში ზვიადი ვერ აჯობებდა. როგორც მითხრა, პროფესია ავალდებულებდა, კვირაში ორ-სამჯერ სამბოზე თუ კარატეზე ევლო.

კრიტერიუმები უკვე საკმაოდ იყო აღრეული. ვინ ვის მისდევდა და ვინ ვის გაურბოდა, ძალიან იოლადაც ვეღარ გაარკვევდი.

მერე უნივერსიტეტიდან გადაიყვანეს და აღარც მინახავს, მაგრამ ამბავი ამით არ მთავრდება.

ამასწინათ რაღაცატომ ერთ ნაცნობთან ვახსენე სახელითა და გვარით.

— ეს რომელი? — მკითხა, — ჩიპო?

ბოლომდე შერჩენია სკოლისდროინდელი სახელი.

— ჩიპო გარდაიცვალა.

მერე დასძინა:

— იცი, ზვიად გამსახურდია რომ ხელისუფლებაში მოვიდა, შინაგან საქმეთა მინისტრად ჩიპო უნდოდა, დიდი ბრძოლით გადააფიქრებინეს.

მე მგონი, გენიალური ამბავია, თუ სიმართლეა. ცოტათი კომიკური, მაგრამ უაღრესად რთული და მრავალშროვანი.

* * *

დროდადრო რაღაც-რაღაცებს ვეკითხებოდი ხოლმე, თან ოღონდ გარკვეული სიფრთხილით. რა იცი, ეშმაკს არ სძინავს.

მისი პასუხების სითამამემ, ცოტა არ იყოს, მეც გამათამამა, რაც უსათუოდ შეცდომა იყო, მაგრამ ცუდად არ შემომბრუნებია.

— ბოლო-ბოლო, საბჭოთა კავშირისა მითხარი, წინ რა გველის?

— რა უნდა გველოდეს, ამდენი და ამდენი მილიონი კაცი, პენსიონერების გამოკლებით, ყოველ დილას იმაზე ფიქრით იღვიძებს, დღეს რა მოიპაროს და სახლში წაიღოს. კიდევ როგორ დგას ეს სახელმწიფო, მართლა საკვირველია.

მერე ცალყბად გაიღიმა:

— ზვიად გამსახურდია ბევრად მეტსაც ალბათ არაფერს ამბობს...

— მერედა, რა გამოსავალი არსებობს?

— ჩვენს ორგანოში, მაღლა, ძალიან მაღლა, უნდოდათ რაღაც ზომით კერძო საკუთრების დაშვება, პატარ-პატარა საამქრო-საწარმოების, კაფე-რესტორნების, არაცენტრალური უნივერმაღ-უნივერსამების დონეზე. ბევრი რამ აშკარად გამოცოცხლდებოდა. იმსჯელეს, იმსჯელეს და ბოლოს უარი თქვეს. არ გაინტერესებს, რატომ?

ცხადია, მაინტერესებდა.

— იმიტომ, რომ ბობოლა დიდკაცობა, მაღალი თანამდებობის ხალხი, „ურალმაშებსა“ და სხვა გიგანტებს უმალვე წვრილ-წვრილ საამქროებად გამოაცხადებს და თვალის დაუხამხამებლად მიიტაცებს. მთელი სისტემა ისე დაგვემხობა თავზე, ვაის დაძახებასაც ვერ მოვასწრებთ.

აგაშენათ ღმერთმა. ზუსტად ის, რაც დაახლოებით ოცი წლის მერე მთელი სისრულით გაცხადდა.

მაშინ არ დავიჯერე, ჩმახი მეგონა.

* * *

ერთხელ ვეკითხები:

— საქართველოს? საქართველოს რა ეშველება?

— რა უნდა ეშველოს, შენ კიდევ არ იცი, რა ხალხი ვართ. ამდენი ანონიმური საჩივარი საბჭოთა კავშირის არც ერთ კუთხეში არ იწერება, ალბათ — არც მეათედი. უნივერსიტეტის საქმეებზე რაც არის, მე მიგროვებენ ხოლმე. ყოველთვე ფუთზე ნაკლები არ გამოდის, მტერმა იკითხა. მასწავლებელი რომ მოწაფეს დაასმენს და მოწაფე მასწავლებელს, იქ რომელს რა ეშველება?

საერთოდ, ეჭვის თვალით უყურებდა სამყაროს.

* * *

ერთხელ ცოტა დამიფრთხა. ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკი არ ისურვა.

— ამბის მომტანები ვინც არიან, ფული ეძლევათ თუ სხვა ინტერესზე მუშაობენ?

— რას ამბობ, ასეთი არავინ არა გვყავს.

თან ტუჩებზე ხელი მიიფარა, ვითომ ღიმილს მალავდა.

* * *

საბჭოთა საქართველოს ნომინალურად ცეკას პირველი მდივანი მართავდა. რა თქმა უნდა, მისი მმართველობა მხოლოდ ფიქცია იყო. არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დარგი მას არ ექვემდებარებოდა. ქმედითისა არაფრის გაკეთება შეეძლო, სრულიად არაფრის.

სამაგიეროდ, ნება ჰქონდა, ვინც სურდა, მოეხსნა და დაენიშნა, რაც უზარმაზარი ძალა-უფლების შთაბეჭდილებას ქმნიდა, პატრონები მაგაში ნაკლებად ერეოდნენ. რა გასაკვირია, თუ ქვეყნის მართვაც და შენებაც ეს ეგონა.

მას მერე ასე გრძელდება და გრძელდება.

თუმცა, მგონი, ეგ პრივილეგიაც თანდათან დაკარგვისკენ მიდის.

* * *

ფული ყოველთვის ბევრს ნიშნავდა, მაგრამ საქართველოში ასე ყველაფერიც აშკარად არასოდეს ყოფილა.

იქ, სადაც ფული ყველაფერს ნიშნავს, სამშობლო უკვე აღარავისი სამშობლო აღარ არის, მხოლოდ გეოგრაფიული ერთეულია, თუ სულაც ფულადი ერთეული არა.

წყობა, სადაც ტალანტური და მოწადინებული ბავშვი უფულობის გამო სწავლას ვერ მიიღებს და დაიკარგება, მახინჯი წყობაა, გინდ მონარქია ერქვას, გინდ დემოკრატია და გინდაც ნეტართა კუნძული.

* * *

სამსიტყვიანი გერმანული ფრაზა, ელვარე მეტაფორა, ოდესღაც ვალტერ რატენაუსაგან ნათქვამი:

„ბარბაროსების ვერტიკალური შემოსევა“...

თითქოს არსაიდან არაფერი იუწყებოდა მათ მოვარდნას. მიწიდან ამოიზარდნენ?

* * *

ტრივიალურია, მაგრამ დღეს, შესაძლოა, სადავოდაც კი მიიჩნიონ.

მოთხრობისა თუ რომანისაგან განსხვავებით, ლექსი, პირველ ყოვლისა, მაინც ყურისთვის იწერება, კარგი ვერლიბრის ჩათვლით.

ერთხელ პაულ ცელანს შეეკითხნენ — გერმანულენოვანი პოეტი იყო, ძნელად გასაშიფრავ ვერლიბრს წერდა — სწორად ხსნიდნენ თუ არა მის ლექსებს კრიტიკოსები.

პასუხი მოულოდნელი გამოდგა:

— ოღონდ ერთი უმთავრესი რამ ყველას ავიწყდება. აი ეს, — და ყურზე თითი მიიდო.

სხვათა შორის, კარგი დრამაც ყურს განუწყვეტლივ ითვალისწინებს.

* * *

ვაიმარში, გოეთეს კონგრესზე, ოთარ ჯინორიას მასპინძლებმა სხდომის წაყვანა სთხოვეს. ცოტათი აღელვებული ავიდა პრეზიდუმში. უცბათვე გადაუარა.

ჩემ გვერდით ჩვენი კიდევ ერთი პროფესორი ზის. თავი ჩაქინდრა, სახეზე პიჯაკის ბორტი აიფარა, ვითომ ეგ არის, შემოხედეთ, უცხო თვალნო, სხვის გამო სირცხვილით იწვის.

— რა მოგვიდა? — ვეკითხები ვითომ გაოცებული. ძნელი მისახვედრია, რაც მოუვიდა.

— როგორ დაიწყო, არა, როგორ დაიწყო! რამხელა თავის მოჭრა იქნება, რამე რომ შეეშალოს!

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი...

სამი დღე მწვანე ფერისამ იარა.

* * *

„ფაუსტის“ თარგმნა დიდხანს გამეწელა, მთლად უფათერაკოდაც არ ჩაუვლია. ორიოდე უმნიშვნელო შემთხვევას მოვყვები.

* * *

— როგორ შეიძლება „ფაუსტი“ არაგერმანისტმა თარგმნოს! — აღშფოთებას ვერ მალავდა ქართველ გერმანისტთა ძველი გვარდიის მეწინავე ნაწილი.

ჩვენში გერმანისტი ჰქვია ისეთ ადამიანს, ვისაც დიპლომში უწერია — „გერმანული ენის მასწავლებელი“.

ორი ასეთი გერმანისტი ჩემს განყოფილებაში მუშაობდა. ყოფილა შემთხვევა, ჩემთვის გერმანული ფრაზისა თუ სათაურის თარგმნა უთხოვიათ.

— ვიცოდი და დამავიწყდა, — ამბობდა ერთი.

— რაც არ ვეცადე, ვერ ვისწავლე, — ამბობდა მეორე.

* * *

— როგორ ბედავს „ფაუსტს“ ხელი მოჰკიდოს, მაგას ჩვენი ლექციები არ მოუსმენია! — საჯაროდ გაჰკიოდა ერთი პატივცემული მანდილოსანი.

მისი ლექციები რომ არ მქონდა მონასმენი, კი ბატონო, აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო, მაგრამ შემდეგი წამოძახილის მნიშვნელობა კარგა ხანს ამოუცნობი დამრჩა, ძვრა ვერ ვუყავი:

— ავლაბრულ ენაზე თარგმნის!

ბოლოს, როგორც იყო, გონება გამინათდა: ჩემი გვარის დაბოლოება სომხური ეგონა, ხოლო სომეხი და ავლაბრელი აკი რამ გაყო!

* * *

მაგრამ უფრო საინტერესო ასეთი ჭორი იყო: „მილიონს ითხოვს! წარმოგიდგენიათ? სუფთა მილიონს ითხოვს“!

რისთვის სჭირდებოდათ, აქ მაგაზე ლაპარაკი არ ღირს, აქ მხოლოდ სალაღობო სიტყვას მოვიდეთ.

მილიონს კი ვითხოვდი, მაგრამ ისტორია არაფერს გვეუბნება, ვისგან ვითხოვდი. ლარებად? დოლარებად?

* * *

მილიონის ამბავი თურმე უკვე ტრიალებდა, როცა გოეთეს ინსტიტუტიდან რაღაც საქმეზე ჩემთვის უცნობმა ახალგაზრდა ქალმა დამირეკა, ძველი გვარდიის მეწინავე ნაწილს აშკარად არ ეკუთვნოდა. საქმეზე ლაპარაკს რომ მორჩა „ფაუსტის“ თარგმანით დაინტერესდა. რამდენს ითხოვთო, ისე, სხვათა შორის, ეგეც მკითხა.

— არაფერს-მეთქი, ვუთხარი. — მართლა არაფერსო? — ძალიან გაუკვირდა. — თუ რამეს შემომთავაზებენ, უარს არ ვიქნები-მეთქი, — გამეცინა.

ჩავკითხე, მაგრამ გაკვირვების მიზეზი არ ამიხსნა. თუ არ გეწყინებათ, ერთ რჩევას მოგცემთო, ესღა დასძინა.

რჩევა ასეთი იყო: თუ რაიმე ფინანსურ საკითხზე გერმანელებს დაუკავშირდებით, პირდაპირ დაუკავშირდით, შუამავლად არავინ გარიოთ.

* * *

არა, ისეთი ზღვა ფანტაზიაც არ ჰქონიათ, ეს მილიონად ღირებული აზრი თავისით დაბადებოდათ, სტარტი ერთი ჩემი ინტერვიუდან აიღეს. „ფაუსტის“ თარგმნის სიძნელეზე სიტყვა ჩამოვარდა და მოსაწყენ მაგალითებს რომ არ გამოვდგომოდი, ერთი ძველი ისტორია მოვიშველიე.

უცნაური ისტორიაა, ჩვენი ქალაქის ერთი თუ ორი გამოცდილი მეჭორე იმწამსვე ჩახმახზე რომ შეაყენა, სულ „ევრიკა-ევრიკა“ აძახებინა. მინდა ამ ჯერზეც მოვყვე. დაე, ისევ დამაბრალონ, რომ სუფთა მილიონს ვითხოვ...

* * *

ძველ რუსულ ჟურნალში ასეთი მონათხრობი წავიკითხე.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში რომელიღაც რუსულმა გამომცემლობამ გადაწყვიტა, გოეთეს ტომეულები გამოეცა. მაგრამ როგორ გინდა გამოსცე, „ფაუსტის“ თარგმანი არა აქვთ.

ვიღაცას გაახსენდა, რომ ესა და ეს კაცი დიდი ხნის წინ „ფაუსტს“ თარგმნიდა.

ჯერ კიდევ პუშკინი აგულიანებდა, ახლა დამთავრებული ექნებაო.

მონახეს, მივიდნენ. კი, დამთავრებული ჰქონია.

რამდენად მოგვყიდიო, ჰკითხეს.

— ჩემი შრომის სიძნელე უფლებას არ მაძლევს, მილიონზე ნაკლები ავიღო.

— რას ბრძანებთ! მილიონი თვითონ გოეთეს არ აუღია!

— გოეთეს არც ჩემდენი უწვალია.

— ჩაგვშლია საქმე. ეგეთი ფული, აბა,

ვინ მოგვაშავა!

— მაშინ უფასოდ წაიღეთ.

რამდენს არ ეხვეწნენ, კაპიკი არ გამოართვა. მილიონზე ნაკლებს ხელს ვერ მოვკიდებო, მტკიცედ განუცხადებია.

* * *

მეც ალბათ ასევე, შიშველ ენთუზიაზმზე, მომიწევს-მეთქი მუშაობა, დავძინე, მაგრამ ამან, როგორც უკვე ვნახეთ, ვერანაირად ვერ მიშველა. მაინც მილიონს ვითხოვდი.

საინტერესოა, რატომ მილიარდს არა? მაშინდელი მილიონი ოქროს რუბლი დღეს მილიარდ დოლარზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება.

* * *

მილიონზე ლაპარაკმა, ცხადია, არ გაამართლა, არც გიჟად და არც ხარბ კაცად არ მიცნობდნენ.

შემდგომი მცდელობა ასეთი იყო, წიგნად გამოცემამდე გაგრძელდა:

— შეწყვიტა, აღარ თარგმნის, ძნელ ადგილებს მიადგა და შეწყვიტა!

— მაგრამ სულ ახლახან ჟურნალში გაგრძელებებით რომ გამოქვეყნდა, იმაზე რას გვეტყვით? თქვენი აზრით როგორი ნამუშევარია?

— არაფერსაც არ გეტყვით, შეწყვიტა, ძნელ ადგილებს მიადგა და საბოლოოდ შეწყვიტა!

* * *

ბრეხტის (გთხოვთ, ბრეჰტი არავინ ჩამიწეროთ) „კავკასიური ცარცის წრე“ იმგვარად არის აგებული, რომ სამართლიანი გამოჩნდეს ურჩხულებრივი თეზისი:თუ მდიდარ ადამიანს შვილს წაართმევ, ეს ძალიან კარგია.

ნუ გვეგონება, რომ მსგავსი მორალით მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგია აზროვნებს. მეტ-ნაკლებად ასე აზროვნებს ყველა იდეოლოგია.

პიესა ამაზრზენად ყალბია.

ქართულ დადგმაში ეს ნაკლებად იგრძნობოდა, ხალისიანი თეატრალური პირობითობებით იყო გადაფარული.

* * *

უკანასკნელი ტექნიკური მიღწევა, რომელიც ლირიკულმა პოეზიამ ორგანულად შეიწოვა, სისხლხორცეულად მიიღო, რკინიგზა და მატარებელია. მგზავრობის მთელი პროცესი აკი ბუნებრივი და უხვი ემოციებით არის დატვირთული.

სადგური, ხალხმრავლობა, შეხვედრა-განშორებები, კუპეთა მრავალგვარი და მოუცნაურო ურთიერთობები, ფანჯრებიდან ვრცელი და ათასფერი პანორამები, შენს სიცოცხლეში რომ ვერ ნახავდი. ჩამოთვლას ვეღარ გავყვები, ვინ იცის, სადამდე ვივლით.

რატომღაც მეცხრამეტე საუკუნის პატარ-პატარა პროვინციული სადგურები დამიდგა თვალწინ, ზოგი რამ მონაყოლით ვიცი, ზოგი რამ წამიკითხავს. მცირე დასახლებებში, ანაც დაუსახლებელ ადგილებში, წამოდგმულ ამ უცხო ტიპის შენობებს კიდევ სხვა ეშხი და მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველდღე, გარშემო სოფლებიდან, მატარებლის ჩამოდგომამდე ერთი თუ ორი საათით ადრე, იკრიბებოდა და ბაქანზე მიმოდიოდა ადგილობრივი საზოგადოება, ყველა, ვინც კი თავს იქაურ არისტოკრატად თუ ინტელიგენტად მიიჩნევდა. ცხადია, დაჭრელებული, საგარეოდ მოკაზმული.

ბოლოს მატარებელიც ჩამოდგებოდა და კარგახნობით იდგა, წასვლას არ ჩქარობდა, გადმოდიოდნენ მგზავრები, აირეოდნენ მომხდურ-დამხვდურნი, ამბები მოჰქონდათ, ამბები მიჰქონდათ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ზოგიერთები ყოვლად აუცილებელ ბუფეტში წაქეიფებასაც კი ასწრებდნენ... მერე მატარებელი მიდიოდა, მაგრამ საზოგადოება ერთბაშადაც არ იშლებოდა, ახალი საკითხები იყო განსახილველი, ბუფეტი ახალი კლიენტებით შესავსები, ხშირ შემთხვევაში ნისიად...

ეს პატარა სადგურები სალონებიც იყო და კულტურის ცენტრებიც, მუშაობდა ტელეგრაფი, იყიდებოდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, მთელი რეგიონები შინიდან გაუსვლელად ეცნობოდნენ ერთმანეთს...

სადგურის ახლოს ცხოვრება გარკვეული პრივილეგია იყო.

ჩემს სიყმაწვილეში ჯერ კიდევ გაისმოდა ხოლმე ასეთი შეკითხვა: სადაური ხარ? თბილისელი? ქუთაისელი? სამტრედიელი? სადგურთან ახლოს ცხოვრობ?

თუ სადგურთან ახლოს ცხოვრობდი, პატივისცემა გემატებოდა.

* * *

რა არის „პოეტური ლიცენცია“?

თუ პოეტი ძველია — ენასთან თამამი შეთამაშება.

თუ პოეტი თანამედროვეა — ბანალური გრამატიკული შეცდომა.

* * *

ტერმინი „მაგიური რეალიზმი“, სამხრეთამერიკულ რომანს რომ უკავშირდება, არაზუსტი თარგმანია, უნდა იყოს „ჯადოსნური რეალიზმი“ ჯადოსნური ზღაპრის მიხედვით, დასავლეთში მაგიური ზღაპარი რომ ჰქვია.

მაგრამ ტერმინი რუსულიდან გვაქვს ნათარგმნი, რუსულად კი „ვოლშებნი რეალიზმ“ ამ კონტექსტში დანამდვილებით არ გამოდის, „მომაჯადოებელ რეალიზმად“ აღიქმება.

* * *

ამ ცოტა ხნის წინ ქაღალდებში ვერლენის ერთი ლექსის თარგმანს გადავაწყდი. დედანი ასეთი სიტყვებით იწყება: „მე ვარ იმპერია“. ცხადია, ყველანი ჩვენ-ჩვენთვის პატარ-პატარა იმპერიები ვართ და ეს დასაწყისი განსაკუთრებით ორიგინალურსაც არაფერს შეიცავს. თან, ჩემი ყურისთვის, პირველი აკორდი საკმაოდ უგემოვნოდ არის აღებული.

არადა, ლექსი შედევრად მიიჩნევა.

საქმე ის გახლავთ, რომ ფრანგულად სიტყვა „იმპერია“, „ამპირ“, თუ დიდი ასოთი დაიწერა და არ განიმარტა, ვისი ან რისი იმპერიაა, ათიდან ცხრა შემთხვევაში, თუ ათივეში არა, ძველ რომს გულისხმობს. ხსენებული ლექსის რეალიები სავსებით ადასტურებენ ამგვარ წაკითხვას. ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ პასტერნაკისეულ რუსულ თარგმანში სწორედ ძველი რომი მოიხსენიება და არა იმპერია.

ასე რომ გზა ხსნილია: „ვარ ძველი რომი“...

მაგრამ სათაურად „უჟმურება“ მიწერია. ჯერ ერთი, ემოციურად შეუსაბამოა, მეორეც, ეგ სიტყვა მაინც და მაინც უჟმურ გუნებაზე ყოფნასაც არ ნიშნავს. გარდა ამისა, თარგმანის ტექსტში აღარ უნდა მეორდებოდეს. მაგრამ გადამწყვეტი რაც არის, არანაირად არ მომწონს.

მაშ რა? შეიძლებოდა „ნაღველი“, მაგრამ იგი მხოლოდ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და არა ფიზიკურს, რასაც აგრეთვე რამდენადმე მაინც უნდა მოიცავდეს საძიებელი სიტყვა.

„დაქანცულობა“, „დაღლილობა“ მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობაა.

სხვადასხვა მოტივით დაწუნებულ იქნა „უილაჯობა“, „ღონემიხდილობა“, „სასომიხდილება“ „გათანგულობა“ და კიდევ რამდენიმე.

ცოტა გავლიზიანდი. ფრანგული სიტყვა გულისხმობს ყოვლად ჩვეულებრივ მდგომარეობას, ყველა ჩვენგანს რომ არაერთხელ ჰქონია. ნუთუ შესაძლებელია, ქართულში არ არსებობდეს მისი გამომხატველი ჩვეულებრივი სიტყვა, არც არქაული რომ არ იყოს და არც ძალიან იშვიათი?

და უცებ მახსენდება კახური წამოძახილი: „შავღონდი, კაცოო“...

მორჩა, სწორია, ეგ არის. მაშ ასე:

პოლ ვერლენი — შეღონება

ვარ ძველი რომი,
დასავლისკენ უკვე დახრილი,
ბარბაროსები რომ ლაშქრავენ
ცისფერთვალება,
აკროსტიქონი, მცირე ლექსი,
რომ ეძალება,
პწკაროქროვანი, მოწყენილი,
დაისჩაღვრილი.

წუხს და თანდათან იბინდება
სული დაღლილი,
გარეთ საზღვრები ომებმა და
სისხლმა წალეკა.
ო, არ შეგეძლოს ამ უჟმურით
მეტი წვალება,
ო, არ გინდოდეს —
ზიხარ უქმი, გულგანაღვლილი.

ო, არ გინდოდეს,
არ შეგეძლოს წვეთ-წვეთად კვდომა!
რაც იყო შევსვით!
რას გიცინის, ბათილუს, პირი?
რაც იყო შევსვით, ამოვჭამეთ!
ამოჩნდა ძირი!

თუ ოდენ ლექსი —
ცეცხლის ალზე ფარვანას კრთომა,
თუ ოდენ მონა —
ცბიერი და ტანათრეული,
თუ ოდენ სევდა —
ცარიელი, არაფრეული.

* * *

თარგმნის შემდეგ იმითაც დავინტერესდი, ვინ იყო ეს ბათილუსი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არავითარი მნიშვნელობა ამას არა აქვს, თავის ეპიზოდურ როლს უმაგისოდაც ჩინებულად ასრულებს.

კომენტარში ნათქვამია, რომ ლიტერატურული თუ ისტორიული წარმომავლობა უცნობია, იგი მოსულელო მონაა, რომელიც ვერ გრძნობს ვითარებას და პატრონის გართობას მანჭვა-გრეხით ცდილობს.

ჩემი ვერსიით არავითარი მოსულელო ის არ არის. თუ სახელის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომში მონად გაყიდული ბერძენია. ასეთი მონები უმეტესად მაღალ როლებზე იყვნენ — პატრონებთან ახლომყოფნი, არაიშვიათად მუსიკოსები თუ ხელოვანნი. ამ ბათილუსშიც თითქოს არის რაღაც არტისტული. თან, რომის დაქცევა არათუ არ ენაღვლება, კიდევაც ართობს, გამომწვევად იცინის...

* * *

ზემოთ ჩიპომ ანონიმური საჩივრები ახსენა.

ენის მიტან-მოტანა კიდევ სხვა თემაა. უამრავი ხალხია მაგ საქმით დაკავებული, მიდიან, მოდიან, დასუნსულებენ, შუღლს თესავენ, ნერვებს წეწავენ, მოდიან, მიდიან, მიდიან...

სწორად რომ მიჰქონდ-მოქონდეთ, რაც მიმოაქვთ, მაგას კიდევ რა უშავდა. გადაასხვაფერებენ, გაბუქავენ, გააენამწარებენ. არ იტყვი, გამოიგონებენ, მართალს მიამგვანებენ, შთაგონებას გაშლიან.

თითქმის სოციალური უბედურებაა, გამათითოკაცებელი, ერთიერთმანეთზე მტრად გადამკიდებელი.

ნეტავი მხოლოდ ჩვენთან არის ასე ყოვლისმომცველი, თუ სხვაგანაც იგივე ხდება?



* * *

სისხლიან ნერონს ერთი კარგი თვისება ჰქონდაო, წერია. მიტანილ სიტყვას თურმე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, გინდაც არ გაეგონოს.

კეთილი გულით არ მოუვიდოდა. ეტყობა, თავს არავის აბრიყვებინებდა. არ დაგვავიწყდეს, სენეკას აღზრდილი იყო.

კაცი ამ დროს მარიონეტია. რა დიდი ხელმწიფეც არ უნდა ბრძანდებოდეს, სხვათა ნებაზეა მართული.

* * *

ერთი წკიპურტელა ამბავი გამახსენდა, ალბათ მოსაყოლადაც არ ღირს.

— კაცო, შენგან ნათხოვარი წიგნი ამან და ამან წამართვა, აღარ აბრუნებს, ამბობს, რად უნდა, მაგის გამგები მაინც არ არისო.

წიგნის პატრონი ძალიან განაწყენებული დარჩა. წიგნსაც ართმევენ და შეურაცხყოფასაც აყენებენ. თან ფრიად ცნობილი კაცი აყენებს შეურაცხყოფას, ამასაც მნიშვნელობა აქვს. დიდხანს ალესილი დადიოდა.

სინამდვილეში ასეთი დიალოგი გამართულა:

— რად გინდა, თორემ გესმის!

— თორემ შენ გესმის!

— თორემ ამის პატრონს ესმის!

თამაში გაგრძელებულა და ასე დამთავრებულა:

— თორემ, ვინც დაწერა, იმას ესმის!

* * *

ენის მიტანასაც ჰყავს თავისი ვირტუოზები.

შოთა ნიშნიანიძესთან ერთად ქუჩაში მივდივარ. ნაცნობი შემოგვხვდა, იმხანად ჯერ ისევ მწერლად რომ იტყოდნენ. მოსალმების შემდეგ უმალვე საქმეს შეუდგა. მე, რატომღაც, არ მომრიდებია.

ახლოს გაუჩერდა, მისანდობელი ტონით ელაპარაკება.

წინა დღეს მწერალთა კავშირში გურამ ასათიანი გამოსულა და შოთა ნიშნიანიძეზე ულაპარაკია. არა, გინებით არ უგინებია, მხოლოდ კეთილი სიტყვები დაუხარჯავს. კეთილი სიტყვები კი დაუხარჯავს, მაგრამ ამის თქმისას ცალი წარბი აუწევია, იმის თქმისას ცალი თვალი მოუჭუტავს, იმაზე კიდევ გვერდულად ჩაუღიმია...

გაოცებული ვუსმენ: კაცი არაფერს ტყუის, საქმეც რომ გაურჩიო, წყლიდან მშრალი ამოვა. არადა, ვხედავ, შოთა ნიშნიანიძე თუხთუხს იწყებს, წამოჭარხალდა, ბრაზი თანდათან ეძალება. მოენე სახეში შესჩერებია, ნაკვთების ყველა მოძრაობას კითხულობს, თვალები უბრწყინავს.

ვეღარ მოვითმინე:

— უქიხარ, შე კაი კაცო, ხომ არ უგინებიხარ! სხვაგვარად მოლაპარაკე გურამ ასათიანი გინახავს? მისი ლაპარაკის მანერა ეგ არის.

შოთა ნიშნიანიძემ, შევატყვე, შვებით ამოისუნთქა. მოენეს ცივად დავშორდით.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის რომანი, განსაკუთრებით ფრანგული, მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები არ ყოფილა, ხშირად იმგვარ საკითხთა დამუშავებაც იყო, დღეს რომ სოციოლოგია და ფსიქოლოგია სწავლობს. ხოლო ზოგი რამ სამეცნიერო კვლევის ობიექტი ჯერაც არ გამხდარა, რომანების მაშინდელი მკითხველი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, თითქმის ყველა ჰუმანიტარულ დარგთან ჰქონდა შეხება.

დღეს ეგ დრო ჩავლილია. არ ვიცი, მით უარესი თუ მით უკეთესი?

* * *

— ვინ გირჩია ამ წიგნის წაკითხვა? — აღშფოთებული უკივის ქალი მამაკაცს, — უთხარი? უთხარი? ყველაფერი უამბე?

ფრანგული რომანი მათ სასიყვარულო ურთიერთობას ჰყვებოდა. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი ის გამოდგა, რომ მათი ამბავი შემდგომაც სრული თანმიმდევრობით გაჰყვა სიუჟეტს და ზუსტად იმავე ფინალით დასრულდა.

ცხადია, ასეთი რამ შემთხვევით არ მომხდარა. მოცემული სასიყვარული პარადიგმა ფუნდამენტურად იყო შესწავლილი.

თან, რა გგონიათ, მხატვრულადაც კარგი რომანია, ფსიქოლოგიური ჩაწვრილმანებების გარეშე.

ზვიად რატიანი

შენთვის შეიძლება

შენთვის შეიძლება. უკითხავად შემოაღე ოთახის კარი
და დაინახე მამაშენი საწერ მაგიდასთან.
მონადირე მამაშენი. კურდღლებზე და
წვრილ ჩიტებზე მონადირე,
რომელსაც ზარავს წარმოდგენაც,
რომ შენ, შესაძლოა, მისი იმედი გაქვს.
გაწყდნენ კურდღლები მის ტყეებში,
მხოლოდ ავი მხეცები ღრენენ.
წვრილი ჩიტებიც დაცოტავდნენ მის მინდვრებში,
მხოლოდ გველები სისინებენ.
დაირცხვინა მამაშენმა, ვერაფერი მოინადირა.
ვერც კი შებედა იმ ტყეებში და მინდვრებში.
ფიქრიც კი ზარავს,
რომ შენ, ვინ იცის, თანაუგრძნობ მის თავგანწირვას
და ზოგჯერ კიდეც გესიზმრება,
როგორ ებრძვის ღამეულ მხეცებს,
როგორ მისდევს და გაურბის,
ეწევა, უსხლტება.
ის კი იჯდა მთელი ღამე საწერ მაგიდასთან,
კალამს ფურცელზე აკაკუნებდა
და ცდილობდა, შიში კანქვეშ შეემწყვდია:
ბებერი ძაღლი,
ნადირობისთვის, რახანია, უვარგისი.
მამაშენი ბრძენი კაცია
და ჯერ სიკვდილს არ აწუხებს, ურჩევნია,
ყველამ დაცინოს,
ოღონდ არავინ შეიცოდოს. ვის აქვს უფლება
დაინახოს, როგორ მიდის შინისაკენ ხელცარიელი
და უკუღმა, ლულით ქვემოთ, ჰკიდია თოფი;
როგორ გდია მაგიდაზე მისი ხელი –
უხილავი კალმით თითებში,
ხილული კი სკამქვეშ გდია.
უკითხავად შემოაღე ოთახის კარი
და ააცალე მაგიდიდან კალმის წვერით
დაჩხვლეტილი ფურცლის ნაგლეჯი,
დახიე და გადააგდე. შენთვის შეიძლება.

დახურული სასაფლაო

შენ რას ელოდი? ფერს შეიცვლიდა საფლავის ქვა
თუ მიწა ამოღერღავდა სიტყვებს?
მკვდარი უნდა დამარხო და დაივიწყო მისი საფლავი.
მათ არ ჭირდებათ. შეგიძლია ყველაფერი დააბრალო
ამის გარდა. შეგიძლია ამის გარდა
არაფერი დააბრალო. მითუმეტეს, ჩვენ არ გვჭირდება
სახლიდან გასვლა ძვირფას მკვდართან მისასვლელად;
დააკვირდი ამ საფლავებს – აქ მკვდარს რა უნდა?
მკვდარი უნდა დაასვენო. არაფერი მოგჩვენებია,
როცა რაღაც გეუცხოვა, როცა რაღაც მოისაკლისე,
როცა თვალი ვერ მოკარი მესაფლავეებს,
როცა ვერსად დაინახე
რამდენიმე საათის წინ გაჭრილი მიწა,
როცა ვერსად დაინახე თუნდაც ერთი ახალი საფლავი –
ნედლი ბორცვი, ხმელი ყვავილებით.
ხედავდი მხოლოდ საფლავების მომვლელ ქალებს,
რომლებიც ისხდნენ ორმაგ ჩრდილში
ქვემოდან – მკვდრების, ზემოდან – ხეების,
და უდროო დროს შეაწუხე, სწორედ მაშინ,
როდესაც ჭამდნენ.
„აქ აღარავინ იმარხება. ეს სასაფლაო
შვიდი წლის წინ გადაივსო. ბოლოს დახურეს“.
და ჩემი გულიც, ღმერთო ჩემო, ჩემი გულიც!
აკი ისიც გადაივსო. აკი იქაც აღარ დარჩა
არცერთი გოჯი,
რათა თუნდაც მკვდარი ჩიტი ჩაიმარხოს,
მითუმეტეს – ადამიანი!
ერთის ადგილიც ვერ დავზოგე, ვერ შევინახე,
როგორც ბოლო ტყვია მასრაში.

ნატალია ქადაგიძე

* * *

ეჭვიანობა დამეწყო
სიტყვების მიმართ —
მიიტანენ თუ არა
ჩემს სათქმელს მათთან,
ვისთანაც ვატან,
თუ გზაში გაანიავებენ,
ქარს გაატანენ...

* * *

რატომ ვერ ვუძლებთ ადამიანები
მონატრებას და
რატომ ვუპირისპირებთ
ტკბილ წარსულს
უგემურ აწმყოს? —
მეათასედაც ვერ ვუპასუხე
ჩემი თავისთვის დასმულ ამ კითხვას და
დედის ნაჩუქარი თავსაბურავი მოვიხვიე,
წითელვარდებიანი.

* * *

ისე უფრთხილდება —
როცა ეხვევა,
ხელებს
ჰაერზე აყრდნობს...

* * *

ჩვენ, დედები,
უფრო ვხედავთ
სინათლეში მიმალულ სიბნელეს...
ჩვენ, დედებს,
უფრო გვეშინია
და გვინდა დედა...

* * *

...ჩამოვუჯდები ჩემს თავს —
მონატრებულ ტყუპისცალს,
მუდამ ცისკენ რომ იყურება და
ვესაუბრები ბევრს
ყველაფერზე,
რაც სხვებისთვის არაფერია...
ჩამოვუჯდები...
ხან, ღრუბლებიც ჩამოსხდებიან...

* * *

ჩემი მომავალი:
პატარა ბიჭი
ასეირნებს
მოხუც ბებიას...

* * *

მოწყენილობა
ბოლთას სცემდა ოთახში...
სხვა — არავინ და არაფერი,
მხოლოდ ფანჯრები გადიოდნენ გარეთ.

* * *

მოხუცის მზერიდან
ახალგაზრდობა იცქირება,
როგორც
გაცრეცილ ჩარჩოში ჩასმული
ლამაზი სურათი...

* * *

ეზოში მოთამაშე
ბავშვების ხმებში
ჩემი ხმა გამოვარჩიე...

* * *

საშიში არ არის
სახლში მარტო ყოფნა,
საშიში მრავალ ადამიანს შორის
მარტო ყოფნაა —
ამ დროს გგონია, რომ
ბუნებაში რაღაც არაკანონზომიერია...
მაგალითად,
შენი დაბადება.

* * *

ქალაქის ჩიტები
ცდილობენ,
ძალიან ცდილობენ,
ისე იგალობონ, რომ
შვება მომანიჭონ...
ლამის, მეც ავყვე —
„სადა ხარ, ბიჭო...
ბიჭო?“...

* * *

მე ვითხოვე
წყალი,
მათ კი,
ღვინო მომართვეს.
ვერ მიხვდნენ,
რომ უკეთესი ის არის,
რაც გინდა...

* * *

მე კვლავ ვსაუბრობ
დაუსრულებლად...
მე კვლავ ვხმაურობ
საკუთარ დუმილში...
— როგორღა გავიგებ
უფლის ხმას,
თუ ის, ოდესმე,
გაისმა ჩემში?!

* * *

თავაწეული მიდის
ქისტი მოხუცი და სულ
ცისკენ იყურება...
თითქოს,
ნაბიჯიც არ სურს გადადგას
ღმერთის კარნახის
გარეშე...

* * *

ჩემი დეიდა — ეკატერინე,
ძალიან ცოტას ლაპარაკობდა
და ბევრს ქსოვდა...
ისიც მდუმარე და
წინდის ფერებიც მდუმარე...
ეს თუში ქალის
პორტრეტია, —
ზღვარსგადასულზნეობისჩარჩოიანი.

* * *

ჩემს ბიძას,
ამირანს,
თვალებით ოკეანის ფერი და
სიღრმე რომ დაჰქონდა,
ახოვანს, სულით
და სხეულით,
სიზმარში უნახავს
თუმანი, დახეული...
და,
ცხოვრება მისი
ჩახვეულა,
ჩახვეულა...
და,
ჩაუყოლებია ის,
თვითონ,
სადღაც,
ციმბირის
ცივ გულაგებამდე...
...ჩემს ბიძას,
ამირანს,
ახოვანს,
სულით და სხეულით,
მაინც დაჰქონდა
თვალებით
ოკეანის
ფერი და სიღრმე...
ათი წლის შემდეგ...

* * *

საოცარია,
მაშინ,
როცა მზე პირს იბანდა,
ჩემს ძველ სახეზე
ამოვიდა ისევ ღიმილი —
უცებ, ვიგრძენი,
პაწაწინა ბალახის გულში,
როგორ იფეთქა სიყვარულმა
და... მინდვრებად
მიმოიფანტა.

* * *

... მე დავინახე
სურვილები —
მზერის დირეზე...
რატომ მიხმობდა
მონადირე,
გადარეული?!.

ვიცი,
წერტილი უმნიშვნელო
არის ტირეზე
და... ნადირობა
ძვირფასია
ნანადირევზე!..

* * *

ჩვენს შორის
ძაფი
ასი ძუაა...

* * *

ეს ხე,
ამდენ ხანს
რომ არ ისხამდა,
ახლა როგორ გადარეულა
იმ ადამიანებივით,
სიცოცხლეში ერთხელ,
საკუთარი მოურიდებლობის გამო
რომ იგრძნობენ
მორიდებას...

* * *

ძვირფასად იყო შემოსილი.
მხოლოდ ღიმილი უბზინავდა,
იაფფასიანი
აქსესუარივით.

* * *

შენ სდუმხარ...
კარგი იქნებოდა,
ეს დუმილი
რომ არაფერს ამბობდეს...

* * *

შეგროვდნენ
რუხი მგლებივით,
აბრიალეს თვალები,
აებურძგლათ ბეწვი და
ატირდნენ...
რა გულჩვილები ყოფილან
ავდრის ღრუბლები...

* * *

ცამ თვალებზე ხელი
აიფარა.
ჩვენ კი გვეგონა
დაღამდა...
...ცაც ადამიანია,
ჩვენ —
ხან, ცა...

* * *

ქარი კიბეებზე ამორბოდა,
როგორც შეყვარებული —
გულამოვარდნილი და
აფორიაქებული,
თითქოს, სატრფოს მისამართს
მიაგნოო...
ქარი ჩემი სახლის კიბეებზე
ამორბოდა...

* * *

შინაგანი ცხოვრებით სავსე და
მდუმარე ადამიანი თუ შეინჯღრა,
იტყვიან — დაიქცაო,
გადმოდინდაო.
მაგრამ არავინ —
რა სავსე ყოფილაო.

* * *

... ჩაითესნენ
ჩემი ფიქრები ღამეში...
და, თუ ისევ გამახარებს
ჩიტის ჭიკჭიკი დილით,
მოსავალიც მომიწევია.

* * *

მაღლა და მაღლა
მიფრინავდა
პაწია ჩიტი
და ცა იზრდებოდა უკიდეგანოდ...

* * *

მე არ მსურს რაიმეს მიგნება,
მე უბრალოდ გზა მხიბლავს...

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2000-2014

2006

*

კომპიუტერმა შენახვის სირთულეც დაამარცხა. შეგიძლია, ძალიან მარტივად შეინახო ყველა ნაწერი — ადგილს არ დაიჭერს (თითქმის) და ერთმანეთში არ აგებურდება.

ანუ იმის იმედიც აღარ არის, რამე დაკარგონ და, ამის გამო მაინც, ყველაფერი არ დაბეჭდონ.

*

...მეორე მხრივ, თუკი მკითხველის მოსაზიდად რაღაც საზიზღრობები უნდა წერო, საინტერესოა, ვის სჭირდება ასეთი მკითხველის გაჩენა და ასეთი ლიტერატურა?!

*

პირველობის, წარმატების წყურვილი არასოდეს სჭარბობდა სამართლიანობის მოთხოვნილებას? აი, ვინ იცის, უმძლავრესი მუხრუჭი შენი სააქაო ცხოვრებისა.

*

ამ დროს, თითქოს არ არის „რომანტიზმი“, მაქსიმალიზმი და სხვა ახალგაზრდული წეს-ჩვეულებები გაქროებისთვის თავისთავად განწირული პოსტახალგაზრდულ ასაკში. თუკი ყველა ახალგაზრდა „რომანტიკოსია“, მათგან ერთი 30 პროცენტი მაინც რომ დარჩეს სიბერეშიც „რომანტიკოსად“, ამ „რომანტიკას“ ხომ უფრო მეტი გასავალი და გასაქანი ექნება, ანუ შერჩება? ვინ რა ფეხებს მოსჭამს, სხვანაირად რომ ვთქვათ? რატომ ტოვებენ ერთს, ორს, სამს მარადიულ „რომანტიკოსად“ — ცხოვრების მარადიულ ყეყეჩად?

*

მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვის ტვირთი, ალბათ, გაცილებით უფრო ადვილად სატარებელია, ვიდრე იგივე ტვირთი, რაღაც შინაგანი, სულიერი, და გნებავთ ფსიქიკური პრინციპებით დამძიმებული. ტვირთი იმდენად კიდევ უფრო მძიმდება, რამდენადაც ეს შენი „პრინციპები“ (ბრჭყალები ტერმინის პირობითობას გულისხმობს) ამოვარდნილია გარემორეალობიდან. მარტო კაცი თუ ჭამაშიაც ბრალია, მით უმეტეს — დანარჩენში. რა თქმა უნდა, არსებობს პიროვნული სიძლიერის (სისუსტის) სხვადასხვა ხარისხიც...

*

რაც დისჰარმონიულია სამყაროში, შეცდომა მგონია. თითქოს შინაგანად მჯერა, რომ ამდენ ხანში სამყაროს ჰარმონიისთვის უნდა მიეღწია. დისჰარმონია ანომალიად მიჩს. ვერ ვიღებ. გაუგებარია მისი ასეთი მრავალჟამიერება და, ეტყობა (მაინც), მარადიულობა.

*

მინდა, სიკეთისა და სამართლიანობისადმი ერთგულება შევინარჩუნო. მაგრამ ამათ აღარ ვეძებ და ამათ დამკვიდრებას აღარ ვცდილობ ადამიანთა შორის. უაზრო და უკვე არასწორიც კი მგონია ეს ძებნა-მცდელობა და იმიტომ.

თითქოს ეს სიკეთე და სამართლიანობა კიდევ ვინმეს ეხებოდეს, ადამიანებს გარდა.

2007

*

იქნებ, ეს საზოგადოება არ იმსახურებს, „სათქმელი“ უთხრა. ამიტომ ვისაც აქვს ეს „სათქმელი“, ჩუმად არის; და მხოლოდ ისინი წერენ (და ასე შემდეგ), ვისაც „სათქმელი“ (მნიშვნელოვანი) არაფერი აქვთ.

არსებობს ზღვარი (ღმერთთან პირდაპირი კონტაქტის კონდიცია, უკიდურესი სკეფსისი), რომლის იქითაც აზრი არა აქვს რამის თქმას. მაგრამ მაგ ზღვარს აქეთ ხომ ამბობენ სადღაც ვიღაცები რამეს — ისეთს, მნიშვნელოვანი რომ ვუწოდე ზემოთ. ჩვენთან და დღეს — ნაკლებად. ნუთუ ყველა დღევანდელი ჩვენებური (პოტენციური) „სათქმელიანი“ ღმერთთან საუბრობს, ან სხვა ფორმით ფუსფუსებს ზღვარს მიღმა? თუ, უბრალოდ, არ არსებობენ ისინი? ალბათ, ეს უფრო ძნელად სავარაუდოა, ვიდრე თავში ნათქვამი... და სინამდვილეში, მხოლოდ მე არ გამიფიქრებია ის, რაც ამას წინათ ჩავიწერე: „სათქმელი მაქვს, მაგრამ — არავისთვის“.

*

განა ლიტერატურა მხოლოდ იმისთვის უნდა იქმნებოდეს, რომ ვინმემ გამოიკვლიოს, ნეტავ რა არის და რისგან არისო? ვიღაცების თვითმიზანია ლიტერატურის არსებობა? თუ ისეთივე გარდაუვალობაა, როგორც, ვთქვათ, ადამიანი, მიუხედავად იმისა, „რაიმე სარგებლობა მოაქვს თუ არა“? ლიტერატურის შექმნის მოტივია ის, რომ ლიტერატურის შექმნა შეგიძლია? გასართობი ლიტერატურის მიზანი თავისთავად გასაგებია — გართობა. მაგრამ რა მოტივით იქმნება ლიტერატურა, რომელიც სულ უფრო და უფრო ემიჯნება მკითხველს?

*

მგონი, ეს მართლა სწორად მომაფიქრდა — დღეს ლექსი რომ, მკითხველისთვის კი არა, რედაქტორისთვის იწერება. ზოგჯერ ამ რედაქტორს კონკრეტული სახელ-გვარიც აქვს.

*

განა ასოებით იმიტომ არ წერ, რომ ეს ასოები საყოველთაოდ მიღებულია, როგორც იმ ბგერების გამოხატვის საშუალება, რომლების მეშვეობითაც იმ სიტყვებს ქმნი, რომელთა ერთობლიობაც ის ფრაზებია, რომლებითაც იმ აზრების გამოთქმა გსურს, რომელთა გამოთქმაც იმისთვის გსურს, რომ შენი სათქმელი გააგებინო ყველა სხვას, ვინც ყოველივე ამ პირობითობას იზიარებს?

ფრაზები, სიტყვები, ბგერები, ასოები — სოციალური მოვლენებია, ურთიერთობის საშუალებები.

ხელოვნება ამქვეყნიურია.

*

არა, არა, მართალი ვარ: თუ ლიტერატურა იმაზე მეტია, ვიდრე ადამიანების წასაკითხად დაწერილი ტექსტი, მაშინ თემებია მეტად უბადრუკი: ერთი ადამიანის ცხოვრება ხომ იმდენად უმნიშვნელო რამეა, რომ ვაებად, სიხარულად... განხილვად არ ღირს?! თავისთავად, სამყაროსთვის, სხვა ადამიანების გათვალისწინების გარეშე...

*

კარგა ხანია, მიტრიალებს იდეა წერილისა წიგნებზე გაბრაზების თემაზე. უფრო სწორად, „წერილის“ პირობითი სათაური „სამკითხველოა“ და ის წიგნ-მკითხველის დღევანდელ ურთიერთობას „მიმოიხილავს“; წიგნებზე გაბრაზება კი მისი ერთი მიმართულება და ნაწილია.

ლაპარაკია დიდი იმედგაცრუების ულმობელ ნაღმსა და იმ უამრავ ადამიანზე, რომელსაც გარკვეულ ასაკში უწევს ამ ნაღმზე ფეხის დაბიჯება. ამ „მომენტს“ კი წლების განმავლობაში, მშობლებთან, აღზრდასთან, ღრმა ბავშვობაში მოსმენილ ზღაპრებთან ერთად, წიგნებიც ამზადებენ. მშობლები-ზღაპრები-წიგნები — ერთი სისტემაა, რომელიც თავდაუზოგავად ცდილობს (და გამოსდის), შეგიჩვიოს და გაგაბრუოს, რათა მეორე სისტემასთან — ცხოვრებასთან შენი ყოველი შეხება, რაც შეიძლება, მტკივნეული იყოს შენთვის.

თუმცა მშობლების დადანაშაულება — დადანაშაულება რასაც ჰქვია — არასწორია — მათი მიზნის კეთილშობილებაა ეჭვშეუტანელი, ამ მიზნის განხორციელების რეცეპტისა კი მშობლებს, აბა, რა გაეგებათ (მერე რა, რომ თვითონ სჯერათ, შესანიშნავად გაგვეგებაო. ამით ისინი მხოლოდ კიდევ უფრო საყვარლები, თუნდაც საწყლად საყვარლები ხდებიან)?!

მაგრამ: რაც შეგვიძლია და უნდა ვაპატიოთ მშობლებს, რატომ უნდა ვაპატიოთ წიგნებს — იმ გაბღენძილი ტვინების ნაჟურებს, რომელთაც ეს „წვენი“ მხოლოდ იმისთვის მიენიჭათ, რომ უსინდისოდ გვატყუონ?! თან, ყველაზე მწარედ ხომ სწორედ ისინი ტყუვდებიან, ვინც წიგნებით ისწავლა (უფრო სწორად — „ისწავლა“) ცხოვრება. არა, რა თქმა უნდა, თავისას შვრება გენი, ბუნება... მაგრამ დარწმუნებული ვარ, წიგნებიც თავისას შვრებიან.

თითოეული წიგნის წაკითხვის მერე უკეთესი ხდებიო. მერე?

კითხულობ ამ წიგნებს, ხდები დღითიდღე უკეთესი და ამასობაში რა ხდება შენს გარშემო? უმრავლესობა არაფერს კითხულობს. სამაგიეროდ, პირდაპირ ცხოვრობს და იმის სრულიად საპირისპიროს შვრება, რაც „დღითიდღე უკეთესად გახდომაა“. მგონი, ადვილი წარმოსადგენია, რა შავი დღე ელოდება იმას, ვინც დღითიდღე უკეთესი ხდება, როცა დანარჩენები — პირიქით...

აქვე მაინც დავაზუსტებ, რომ, ერთი მხრივ, წიგნების ერთ კატეგორიაზე — სწორედ „მატყუარა წიგნებზე“ ვსაუბრობ (და რა ჩემი ბრალია, თუკი ასეთი დაწყებით ასაკში წაკითხულ წიგნთა უმრავლესობა აღმოჩნდება), მეორე მხრივ კი იმ „დათვურ სამსახურზე“, რომელსაც ისინი, მკითხველის სიმცირის პირობებში, ამ მცირე ოდენობის მკითხველს უწევენ.

ასე მივალ ისევ... წიგნების, კითხვის მხარდაჭერამდე. კერძოდ, წერილის ამ ნაწილის რეზიუმე იქნება: თუკი წიგნი ადამიანს აკეთილშობილებს, მაშინ, დაე, გააკეთილშობილოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი; რათა შედეგი მართლაც კეთილშობილური იყოს და არა — პირიქით (გნებავთ, „გაკეთილშობილებას“ მოვეშვათ და ვთქვათ, რომ წიგნი ადამიანს ზრდის. ბევრი არაფერი შეიცვლება. ტკივილი, რომელიც გზრდის, რაღაცით ჰგავს კათარზისს). თორემ თუკი ათი არსებიდან ცხრა მგლად იზრდება და მაინცდამაინც მეათეს ასწავლი ბღავილს, მაშინ ამ მეათეს, სულ ცოტა, საუკუნო სასუფეველს უნდა

→

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

დაპირდე — ერთი ფენომენისა არ იყოს.

პოტენციური წერილის ბოლოს კი გამოვაცხადებ, რომ მკითხველზე მწერალმა უნდა იზრუნოს და არა — პირიქით...

გასაგებია, რომ ამ ანტინიგნური რევოლუციური შტურმის იდეოლოგიურ საფუძვლებს საგრძნობლად არყევს კაცობრიობის, ზღაპრებისა და წიგნების თანაარსებობის ხანდაზმული ისტორია და მისი ყველაზე მეტად გაბაზრებული ტრადიციები, მაგრამ რას იზამ — რევოლუცია ტრადიციებთან დაპირისპირებაა.

*

თავისთავად, ესეც სუბიექტური აზრია, მაგრამ ალბათ მაინც ჯობს, ადამიანმა სიცოცხლის პირველი დღიდანვე დაიწყოს გაგება სიმართლისა სიცოცხლის შესახებ — რომ სიცოცხლე და ცხოვრება არ არის ერთმნიშვნელოვანი ბედნიერება; ხოლო თუ გავა დრო და ესენი მისთვის ერთმნიშვნელოვანი ბედნიერება აღმოჩნდება — მაგას რა სჯობს.

*

თუ „სიკეთე გვინდა“, ლიტერატურა მკითხველისკენ უნდა შემოვაბრუნოთ (პირველ რიგში. და არა — პირველ რიგში — მკითხველი ლიტერატურისკენ). ბოლო წლებში კი — პოეზიაში მაინც (საავანსცენო პოეზიაში) — პირიქით მოხდა. შესაბამისად, გვირაბის ბოლოს, სინათლის ნაცვლად, სექტა მოჩანს — პოეტების სექტა, რომლისაც არავის არაფერი ესმის, თუ მისი წევრი არ არის.

თუმცა მოჩანს თითებზე ჩამოსათვლელი ოდენობის მკითხველიც; ოღონდ როგორი ელიტურიც არ უნდა ვუწოდოთ მას, მოგვიწევს, ჩამოთვლისას რამდენიმე თითი მოჩვენებით და თავის მომჩვენებელ მკითხველსაც დავუთმოთ.

*

კიდევ ერთხელ თემაზე: უნდა იზრუნოს თუ არა მწერალმა მკითხველზე?

მწერალი ყოველთვის ზრუნავს თავის მკითხველზე!

საქმე ის არის, რომ მწერალი და მკითხველი რაღაც-რაღაცებში ადრევე შეთანხმებულები არიან. მაგალითად? უმარტივესი მაგალითი დამწერლობაა. მწერალი სწორედ იმ ასონიშნებით წერს, რომლის წაკითხვა სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ (ბევრს მაინც შეუძლია). ასევე შეთანხმებულია სიტყვები, ზოგადად სინტაქსი და გნებავს — პუნქტუაცია. ეს ყოველივე უკვე იმას ნიშნავს, რომ მწერალი, რასაც წერს, წასაკითხად წერს. და მხოლოდ ეს ხომ არ არის? მწერალი არ წერს, რაც „ენაზე“ მოადგება. ის წერს გამართულად, მხატვრულად; თუ შეუძლია — მაღალმხატვრულადაც. მერე — შრომა, სუფთა შრომა რასაც ჰქვია?..

რატომ აკეთებს ყოველივე ამას მწერალი? რა თქმა უნდა, ის წერის დროს პეტრეზე ან პავლეზე და მათ რეაქციაზე არ ფიქრობს. მას, შიგნით, თავის არსში ჰყავს — როგორც აღმქმელი, აღქმულის აზროვნებად გარდამქმნელი და მისი ლიტერატურულ ენაზე მთარგმნელი — ისე მკითხველიც. მკითხველი — მწერლის შემადგენელი ნაწილია. მწერალი სწორედ ამიტომ წერს ასე და არა სხვანაირად, რომ ამ ნაწერს მისი შემადგენელი მკითხველი კითხულობს. და ეს შემადგენელი მკითხველიც არ ჩამოვარდნილა ციდან — ის გარემოში არსებული მკითხველარქეტიპის ანარეკლია, ისევე, როგორც თავად სათქმელი, ნაწერია გარემოს, სინამდვილის („რეალური“, „ვირტუალური“, „მისტიკური“ თუ ასე შემდეგ) ანარეკლი.

*

ერთი მხრივ, იქნებ კარგია, ქართულ ლიტერატურაში დასავლური ტენდენციები რომ შემოდის და ქართული ლიტერატურა საერთო სივრცეში რომ ექცევა. მაგრამ, მეორე მხრივ, ის უფრო და უფრო შორდება ქართველ მკითხველს; იმიტომ, რომ თუ ავტორები ვესტინტეგრირებას მიელტვიან და ახერხებენ, მკითხველს, „დროში შეზღუდულ“ მკითხველს რა საშუალება აქვს, გაეცნოს თანამედროვე უცხოურ მწერლობას და გაითავისოს ის, რის შემდეგაც მისთვის თანამედროვე — ინტეგრირებული ქართველი ავტორების თხზულებებიც გასაგები გახდებოდა?

მოკლედ, ინტეგრაციის მცდელობის მიზანშეწონილობა (პრაქტიკულიც, მორალურიც) არსებობს, მაგრამ რა ვუყოთ ისევ და ისევ მკითხველს?

თუ: ქართული ლიტერატურის ერთადერთი სწორი არჩევანი ბაზრის გარეთ ძებნაა, რაკი შიდა ბაზარი (იმის მიუხედავად, დაიპყრობ თუ არა) ძალიან მცირეა; გარე ბაზარზე დამკვიდრებული პროდუქცია კი ნებისმიერ შემთხვევაში შიდა ბაზრისთვისაც მისაღები იქნება?

*

ვიზუალური (უტექსტო) პოეზია — ჩემთვის ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ამოვარდე იმ ჟანრის ჩარჩოებიდან, რომელსაც „პოეზია ლიტერატურაში“, „ლიტერატურული პოეზია“ ჰქვია.

ეს ასეთი — მკაფიო ამოვარდნაა. არის სხვა — ნაკლებად შესამჩნევი ამოვარდნები; ნაკლებად შესამჩნევნი იმიტომაც, რომ შედარებით „ნაკლებად ამოვარდნებია“.

*

ომში რომ შედიხარ და იარაღი არ მიგაქვს — მძიმეა, რა ათრევს, ომში ხელს შემიშლისო.

ასეთია ზოგი ვერლიბრისტის დამოკიდებულება რითმისადმი.

*

რა თქმა უნდა, პოეზია ხალხისათვის, ოღონდ მაღალმხატვრული პოეზია ხალხისათვის!

*

არ მჯერა იმის, რომ ვინმე მოკვდებოდა, რომ არ დაეწერა ის, რაც დაწერა.

არ ვიცი, შეიძლება ჩემთვის უცხოა გენიოსთა შეგრძნებანი.

მწერლობა ამქვეყნიური საქმე მგონია და კომუნიკაციის ერთ-ერთი კარგი საშუალება (ამისთვის მოგონილი. აქედან გადახვევას მივიჩნევ არაბუნებრივად).

როცა ჭეშმარიტებისკენ გავემართე და მიზანში პოეზია ამოვიღე, პოეზია გავიარე — გავცდი. ღმერთთან სალაპარაკოდ სახეებით აზროვნება საჭირო არ არის, მით უმეტეს — დახვეწილი სინტაქსი.

*

იმ ადამიანებისა არ მესმის, ვინც ისევე — იმავე ჟინით, მეთოდებით, მსოფლმხედველობითაც კი — მოდიან მწერლობაში, როგორც მწერლობის გარეთ ცხოვრობს „ყველა“, ვინც ამქვეყანას შესანიშნავად ეწყობა და მთელი ეს თვალთმაქცობა ჰარმონია ჰგონია.

თუმცა ვინ იცის, ისიც შესაძლებელია, რომ ვინმე სამყაროს ჰარმონიის ნიუანსებს სხვაზე უკეთ გრძნობდეს და ამის ხარება სურდეს დანარჩენი კაცობრიობისთვის.

*

ნაკლების ბეჭდვას ვემხრობი. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ კარგი ტექსტი (დარწმუნებული რომ ხარ, კარგია) გიდევს და შეგნებულად არ აქვეყნებ (თუ ამისთვის არ დაგიჭერენ და ასე შემდეგ), გაუგებარია.

სხვა საქმეა „დაძველება“ — ეს ის შემთხვევაა, როცა შენ თვითონ გჭირდება დარწმუნება ტექსტის სიკარგეში...

მაგრამ ზოგადად მჯერა, რომ ლიტერატურული პროცესი სრულდება მკითხველით და უიმისოდ ეს პროცესი დასრულებული არ არის.

„საკუთარი თავისთვის წერა“, „ერთი ადამიანისთვის წერა“ და მსგავსი რამეები პროფესიული მოუმწიფებლობის ნიშანი მგონია.

*

ჩემი მიმდინარე „სალიტერატურო მოღვაწეობის“ მთავარი ნიშანი ისევ ის არის, რომ მკითხველს ვუკირკიტებ ჩემში, და თუ მისი არსებობის ნიშანწყალს მართლა შევამჩნევ, ვცდილობ, დავადგინო, დღეს რისი (როგორის და ასე შემდეგ) წაკითხვა მოეწონებოდა, ან არ გააღიზიანებდა მაინც.

*

რამე, ისეთი ნაღდი და მასობრივი, როგორც ფეხბურთია! სხვათა შორის, ფინანსების ხსენებაც შეიძლებოდა. ალბათ, სხვა რამეებისაც, თუ კაცი ჩაუჯდებოდა და რამდენადმე საკმარის დროს დაუთმობდა ფეხბურთის მაგიაზე ფიქრს. ეს არ არის რელიგიასავით უიმედოდ პრეტენზიული. არადა, რელიგიის ხარისხის ემოციას კი გულისხმობს.

აი, ასეთი ლიტერატურის შექმნაზე არ ვიტყოდი უარს. შეიძლება?

*

ესთეტ(იკოს)ობისთვის რეპროდუქციაც კმარა. დედანი კოლექციონერებისთვის არსებობს.

*

ქონება და მისთანები მხოლოდ მაშინ იქნება უმნიშვნელო, როცა ამაში, ყველა თუ არა, ბევრი მაინც შევთანხმდებით. ოქროც ხომ, ბოლოს და ბოლოს, იმიტომაა ოქრო, რომ ყველა აღიარებს მის „ოქროობას“. ქაღალდის ფულზე აღარაფერს ვამბობ.

და ეს მატერია ძალიან ბევრ არამატერიალურზე ახდენს ხოლმე გავლენას.

ზოგჯერ კი საკითხავი ხდება, როდის ხარ შენს თავთან მართალი — მაშინ, ფულის საშოვნელად რომ არ ირჯები, თუ მაშინ, როცა ეს ფული საყვარელი ადამიანის — ვთქვათ — სიცოცხლის გადასარჩენად გჭირდება და არ გაქვს...

რაც შეეხება არაარსებით წვრილმანებს, ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ეგენიც საჭიროა — არსებითისგან თავის დასაღწევად, ან ილუზიის შესაქმნელად, რომ არსებითიც არსებობს, მაგრამ შენ მისთვის, ამ არაარსებითების გამო, არ გცალია...

*

ყოველი ადამიანი თითო სამყაროა; შეიძლება — თითო საავადმყოფოც.

*

თითოეული ადამიანის ცხოვრება ჟანრობრივად ტრაგედიაა — მთავარი გმირის სიკვდილით მთავრდება.

(ძნელია, ეს აზრი აქამდე არ გამოთქმულიყო... თუმცა დიდი ამბავი, თუ თანამოაზრეები მყავდა).

*

ჩვენ, მგონი (ოღონდ, მაინც გარკვეული თვალსაზრისით), შესანიშნავ დროს დავიბადეთ. ღირებულებათა ცვლა, გამუდმებული ცვლილებები... ანუ არ ჩამოვყალიბდით გარკვეული დროის გარკვეული გარემოებების მიერ შექმნილი ფსევდომყარი რეალობების გავლენების მიხედვით. სხვებზე ადრე გავიგეთ, რომ მარადიული არაფერია და ყველაზე მარადიული წარმავალობაა. დიახ, ჩვენ ეს ყველაფერი ძალიან ახალგაზრდებმა გავიგეთ და არა, დავუშვათ, 60 წლის ასაკში, როცა იძულებულები გავხდებოდით, საუკეთესო შემთხვევაში, გასული 60 წელი იმედგაცრუების ნაგავსაყრელში გადაგვეყარა და ვერც გადაგვეყარა.

*

წინა ჩანაწერში, ალბათ, მაინც უფრო ცვალებადი და მარადიული ღირებულებების განსხვავების სწავლაზე უნდა იყოს ლაპარაკი. ეს, რასაკვირველია, იმისკენაც მიგანიშნებს, რომ თვით „მარადიული ღირებულებებიც“ პირობითი ცნებაა; მაგრამ ესეც რომ ისევე მკაფიოდ იგრძნო, როგორც „არამარადიულ“ ღირებულებათა არამარადიულობა, სულ მცირე იმ დროს მაინც უნდა დაიბადო, როცა ერთი რელიგია იცვლება მეორით, და, ამასთან, რამდენიმე საუკუნეც იცოცხლო.

*

მამას არ უნდა ვაგინოთ; მით უფრო, არ უნდა ვცემოთ; მეტიც, პატივით უნდა მოვეპყრათ. მაგრამ თაყვანი ვცეთ იმისთვის, რომ გაგვაკეთა? სულ ცოტა, სასაცილო არ არის?

*

ბავშვები იქნებ იმიტომ არიან საყვარლები, რომ ან გულწრფელნი არიან, ან არადა მათი ეშმაკობა გულუბრყვილოა — ჩვენთვის ადვილად გასაშიფრი.

დიდებსაც ასე — უფრო დიდის პოზიციიდან თუ შეხედავ...

*

თუ გძინავს და ბედნიერი ხარ, რატომ უნდა გაიღვიძო, რა სისულელეა?! აკი ყველაფერი პირობითია?!

*

კატეგორიულად არაფერი ვიცი.
არც ეს.

2008

*

გამოცანა, ამოცანა, კროსვორდი, ვიქტორინა — მხოლოდ ასეთი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს პოეტურ, მხატვრულ შიფრს ლექსში. ეს შიფრი ინტერესს უნდა აღვიძებდეს ლექსისადმი. კროსვორდი ხომ მაგით არის საინტერესო, რომ მინიშნებებია და პასუხი შენ უნდა გამოიცნო. სიტყვები და მათი განმარტებები — ეს უკვე ლექსიკონია (არც ლექსიკონია უსარგებლო რამ, მაგრამ მას სრულიად სხვა ფუნქცია აქვს).

მაგრამ ინტერესის, ცნობისწადილის აღძვრა, მოხიბვლა და ამ გზით მიზიდვა — და არა პირიქით — გაღიზიანება (ცუდი გაგებით), ტვინის ჭყლეტა და განზიდვა.

*

გრაფომანია, ნარცისიზმი, სხვა ავადმყოფობა — აირჩიეთ ამათგან რომელიმე სახელი თქვენი მდგომარეობისთვის მათ, ვინც ისეთ სფეროში მოღვაწეობთ, აუდიტორია რომ სჭირდება, და აუდიტორიის ყოფნა-არყოფნა ფეხებზე გკიდიათ.

*

რიტმი ლექსისა დაახლოებით ისეთივე კატეგორიაა, როგორიც რითმა, სტრიქონთა რაოდენობა სტროფში და ასე შემდეგ. ამ დროს, მას ყველა ვერლიბრისტი ებღაუჭება. ვერ წარმოუდგენიათ, დაკარგონ ლექსის ეს სამკაული და ის „პოეზიები“, რასაც ზოგჯერ რიტმი ქმნის. სამაგიეროდ, გინებით უარყოფილია რითმა (და ასე შემდეგ), რაც ასევე ლექსის სამკაულია და

რაც უფრო ხშირად წარმოშობს „დამოუკიდებელ“, თავის წილ პოეზიას. ახსნა ერთადერთი შეიძლება იყოს: რიტმის ჩარჩოს შენარჩუნება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე, ვთქვათ, რითმისა.

სხვათა შორის, რამდენჯერმე ვცადე, სრულიად ურიტმო პოეზია დამეწერა, მაგრამ წერისას თითქოს პოეზიის შეგრძნება დავკარგე, და რიტმი აღვადგინე.

არადა, დღევანდელ ვითარებაში მეტად კონცეფციურად მოჩანს ურიტმო პოეზიის დაწერა — ასე ვთქვათ, „პროზის რიტმით“ დაწერა პოეზიისა.

*

ამ ცნობილ ლიტერატურულ პორტალზე წაკითხული კომენტარების მიხედვით, არქაიზმი ყველაზე დაბალი ღობეა. ყველა „იზმს“ გაპატიებენ, არქაიზმის გარდა.

*

კი ბატონო, პოეტიც ლიტერატორია, მაგრამ იქნებ ისე და იმ საზომებით მაინც არ უნდა განიხილავდეს პოეზიას, როგორც და რომელი საზომებითაც ამას ლექსთმცოდნეები, ფილოლოგები სჩადიან?

*

თუ მნიშვნელოვანი რეფორმა არ ჰქენი და შენი სკოლა არ შექმენი, დიდი ვერაფერი პოეტი ხარ; სხვანაირად რომ ვთქვათ — ეპიგონები თუ არ გამოგიჩნდნენ. ეპიგონობა დიდი ვერაფერი ღირსებაა, მაგრამ ეს ეპიგონები თუ არ გყავს... იხილე ზემოთ.

აქაც დისჰარმონიაა.

*

ცუდია ეს თუ კიდევ უფრო ცუდი, ლიტერატურა ჩემი პროფესია ვერ გახდა — ალბათ, იმიტომაც, რომ ის (ჩემი ლიტერატურა) ჩემი ნაწილი იყო, ჩემი არსების ერთი დიდი განუყოფელი ნაწილი.

*

სერიალის გმირები ვართ — ყოველდღიური, ყოველწამიერი ცხოვრებით ვცხოვრობთ და არა — მნიშვნელოვანი მომენტებით, როგორც ფილმებში.

*

მთავარი მიდგომა, საწყისი პოზიციაა.

მაგალითად, სიცივე ხომ არ არსებობს. არსებობს „ბუნებრივი“ — კოსმოსური ტემპერატურა, რომელიც ჩვენთან მზის წყალობით იცვლება. არც სიკვდილი არსებობს. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის გაჩენამდე არ არსებობდა. არყოფნა, უსულობა, უსიცოცხლობა — ეს არის საწყისი, ბუნებრივი, რაშიც უეცრად დადებითი ელემენტი — სიცოცხლე შემოიჭრება...

თეორია თუ განვავითარეთ, ანუ განწყობა თუ კიდევ განვაზოგადეთ, იქნებ ცუდიც არ არსებობს, რაკი ეს „ცუდია“ მოცემულობა, და შესაბამისად, ის არც ცუდია და არც კარგი — მოცემულობაა. მერე და მერე კი ეს მოცემულობა უკეთესობისკენ იცვლება, თუნდაც მცირედ, თუნდაც პერიოდულად...

თუმცა შეიძლება, ვერც მივიდეთ აქამდე. და, საერთოდ, ეს ყოველივეც საკამათოა, ისევე, როგორც, ალბათ, სხვა ყოველივე.

*

სულზე ზრუნვა რატომ არის ნაკლები მერკანტილიზმი, ვიდრე ზრუნვა ხორცზე? შეიძლება, მეტიც იყოს. თუ რამე უპირატესობაზეა საუბარი, მხოლოდ — უფრო მეტ წინდახედულობაზე, უფრო შორს ყურებაზე, მეტ პრაგმატიზმზე თუნდაც.

2009

*

იყო დრო, როცა არაამქვეყნიურად კეთილ ადამიანთა ორდენი მეგონა. თითქოს აქ უნდა განდობილიყვნენ და გაერთიანებულიყვნენ და აქედან ებრძოლათ დანარჩენ სამყაროსთან მისი გაკეთილშობილებისთვის.

რაღაც ასეთი ასოციაციები იყო.

ნეტავ, ახლა რა მგონია ლიტერატურა?

*

სულ უფრო მართებულ კითხვად მეჩვენება — „რატომ წერ?“ კი, არის ამაზე ერთ-ერთი პასუხი — „სხვანაირად არ შემიძლია“, მაგრამ ამას უკვე დაკონკრეტების მოთხოვნა მოჰყვება — „რატომ არ შეგიძლია?“

*

ვატყობ, ჯერ ისევ საკუთარ თავს ვარწმუნებ ამაში, მაგრამ კიდევ ერთხელ მგონია სისულელე, პოეტები ერთმანეთისთვის რომ წერენ ლექსებს. რა, დაღდასმულები უჩვენებენ ერთმანეთს დაღებს? რა სიბრიყვეა. მით უფრო, რომ ეს იშვიათად აჩენს ეგრეთ წოდებულ თანალმობის შეგრძნებას პოეტებს შორის. თანალმობა კი არა, ერთმანეთის მიმართ ისეთი ბოღმა და ანტიპათია იჩენს ხოლმე თავს ამ პოეტებში...

*

დღეს წერას, კიდევ წერას, ყოველთვის წერას, წერას მაშინ, როცა „ყველაფერი უკვე დაწერილია“ და ისე კარგადაც, რომ ძალიან ცოტა შანსია, უკეთესად დაწერო, ერთადერთი გამართლება აქვს — წერო თანამედროვეთათვის.

თუ „შენთვის“ ან „არავისთვის“ წერ — ეს კიდევ ერთხელ, ანუ ამ ლოგიკის მიხედვით — კიდევ უფრო, უაზრობაა.

*

მარადიულ თემებზე წერა და მისთანანი კეთილშობილურობის თვალსაზრისით ვერ აღემატება ადამიანთა ყოველდღიურობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მით უმეტეს, რომ პირველი — საზოგადო პრაქტიკული თვალსაზრისით — უნაყოფო საქმიანობაა — მარადიული საკითხები მათ მარადიულად მოუგვარებლობასაც ნიშნავს. ანუ აღნიშნული საქმიანობა მხოლოდ საკუთარ სახელზე, ყველაზე წარმატებულ შემთხვევაში, საკუთარ უკვდავებაზე ზრუნვას თუ გულისხმობს.

ის სხვა საქმეა, უკვდავებაც რომ დროებითია.

*

ვიღაცები ხელაღებით რომ წერენ პორტალზე ლექსების კომენტირებისას — ძველიაო, რით არ მოგწყინდათო და ასე შემდეგ — ეს, ძირითადად, თემისადმი ზერელე მიდგომა და ასე მიღებულ შთაბეჭდილებებზე რეაქციაა. ანუ მთლად კარგი მკითხველი არ ამბობს ამას. მაგრამ ეგ აზრიც გასათვალისწინებელია. იმიტომ, რომ, თუ არსებობს, ძირითადად ასეთი მკითხველი არსებობს. უმკითხველოდ კი, მომეხსენება...

*

დღეს ეს სიტყვა საურთიერთობო მეტყველებაში არ იხმარება და პოეზიაშიც არ უნდა გამოიყენოო — ხშირად გაიგონებ. არ ვამბობ, რომ დაუფიქრებლად უარსაყოფი პოზიციაა. (ეს თემა საფიქრალია. ყოველ შემთხვევაში, მე გასავლელი მაქვს).

მაგრამ დღეს ხმარებული სიტყვების ნაწილი შეიძლება ათი წლის შემდეგ არ იხმარებოდეს.

მაშ, რამდენი წლის სიცოცხლისთვის იწერება პოეზია?

*

კრებულს ვადგენ და დიდ გაწამაწიაში ვარ.

აი, რატომ უნდა წერო მხოლოდ კარგი.

*

დღეს მირჩიეს, გვარი გამომეცვალა — პოეტური გვარი არ გაქვსო.

„შევპირდი“, რომ ამაზე ვიფიქრებდი...

*

არაფერია მთავარი. ან: ზოგჯერ რა არის მთავარი და ზოგჯერ რა. მთავარი — შეგრძნებაა და არა დამოუკიდებელი ეჭვშეუტანელი ობიექტურობა.

ვგულისხმობ აქ, ამ ცხოვრებაში.

საბუნებისმეტყველო კანონებიც ხომ აქ, ამ განზომილებაში მოქმედებს.

*

ნუთუ სამყაროს უსასრულობა და მისთანანი ჩვენ არ გვეხება, ჩვენ ადგილობრივი — დედამიწური მოვლენა ვართ და ჩვენს აქაურ ყოველდღიურობას უნდა მივხედოთ?

*

ჰმ: ბიოლოგიურად ადამიანი და ღორი უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ღორი და ქათამი.

*

წინა ომებს მოგებული არ ჰყავდა.

ამ ომს, როგორც ირკვევა, წაგებული არ ჰყავს.

*

ძალიან თუ შეეცდები, არ მოკვდე, აუცილებლად გამოგივა, რამდენჯერმეც კი; მაშინ, როცა არ გამოგივა მხოლოდ ერთხელ.

*

არის რაღაცები, რაც, სხვადასხვაგან და სხვადასხვათაგან, კულტურათა და ცივილიზაციის განვითარების საფეხურთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დაახლოებით ერთნაირად აღიქმება. მაგალითად, ფიზიკური ტკივილი.

*

უცოდველ ადამიანში მშიერი ეშმაკი დაძრწის.

*

გამოუსწორებელი ოპტიმისტები უსინდისო ხალხია. უპასუხისმგებლო ხალხი. ისინი არა მხოლოდ არაფერს სწავლობენ წარსულისგან, საკუთარ თავსაც არასოდეს ადანაშაულებენ რამეში.

ასე რომ არ იყოს, ოპტიმისტებად ვერ დარჩებოდნენ.

*

არ შეიძლება, გამუდმებით ამტკიცებდე, რომ ის, რასაც შენ აკეთებ, ადამიანებს სჭირდებათ; და — რაც ყველაზე უხერხულია — საკუთარ თავსაც უმტკიცებდე ამას.

ამიტომ უნდა შექმნა ხელოვნება, რომელიც სჭირდებათ, და არა შექმნა რაღაც და მერე ამტკიცო, რომ ის სჭირდებათ.

*

შეიძლება, სიცილი აგიტყდეს, ისე სწრაფად გადის წლები.

2010

*

თავგამოდებული ვერლიბრისტებისა და კონვენციონისტების კინკლაობისას ერთი ყოფითი პასაჟი გაგახსენდება: კომპიუტერის გამოჩენის წლებში შედარებით ასაკოვან ადამიანთა ნაწილს ერთგვარად ეშინოდა ამ მანქანისა — იმდენად უცხოდ ეჩვენებოდა, რომ ფიქრობდა, ვერასოდეს ისწავლიდა, ვერასდროს შეითავსებდა. აქედან გამოსავლად კი კომპიუტერის უგულებელყოფას, უარყოფას და თავის იმაში დარწმუნებას ხედავდა, სხვისი არ ვიცი და, მე არასდროს დამჭირდებაო.

ამის მსგავსად უყურებენ ერთნი კონვენციურ ლექსს და მეორენი — ვერლიბრს; ერთის თუ მეორის წინაშე უძლურად გრძნობენ თავს, მისი „ეშინიათ“ და ამიტომ „იძულებულნი არიან“, შეიძულონ, უარყონ ის.

ეს საკმაოდ ბანალური კომბინაციაა. რაღაც მსგავსის მოჩხრეკა შეიძლება ყველამ შეძლოს თავის გამოცდილებაში...

არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აშკარად იმ მეორე, უცნობი ლექსის სალაროში ჩაჭყეტა ჯობია მასზე გააფთრებულ და ცოტა არ იყოს სასაცილო თავდასხმებს.

(თუმცა არის სხვა შემთხვევებიც: როცა ზოგი (მრავალი) ავტორის კი არ გეშინია, უბრალოდ, გეზარება მათი წაკითხვა — რაკი ეს არც სიამოვნებას განიჭებს (პირიქით), არც რამე საინტერესოს გამცნობს თუ გასწავლის, და საერთოდ, გაცილებით უსარგებლო საქმეა, ვიდრე კომპიუტერის კირკიტი).

*

აი, რესპონდენტი ამბობს, როცა ლექსების წერა დავიწყე, მაშინ პოეზიას არც კი ვკითხულობდი; მხოლოდ ამის მერე დავიწყე ლექსების კითხვაო.

ანუ პოეზია არ უყვარდა (მინიმუმ — ადრე)...

კიდევ ერთი მაგალითია ამ ფიქრის ხელშესაწყობად: აშკარა თუ არა, გამორიცხული მაინც არ არის, რომ პოეზიას უფრო მეტი წერს, ვიდრე კითხულობს. კარგი, შეიძლება, მათი რაოდენობა თანაბარიც იყოს. ხოლო თუ მაინც მკითხველი ჭარბობს, თავის დადება შეიძლება, რომ — უმნიშვნელოდ.

არ ვიცი, არის თუ არა ეს პოეზიის უბედურება.

*

აი, ახლაც ერთ ქართულ რომანს ვკითხულობ. შუაში ვარ და იცი, რისი მოლოდინი მაქვს? რომ ავტორის პირადი ფსიქიკური პრობლემები გაშიშვლდება, გამოიკვეთება. ძალიან ხშირად თითქოს სწორედ ეს არის ლიტერატურის ერთადერთი „შედეგი“.

*

ხელით წერა, შეიძლება, მართლაც, სულ სხვაა. მხოლოდ შენთვის დამახასიათებელ ხელწერას მიადევნებ თვალს და გაცილებით უფრო ინტიმურ, შემოქმედების განცდას გიქმნის, ვიდრე კომპიუტერის სტანდარტული, ყველას შრიფტი.

(ამასობაში, ხელით წერა თითქმის მავიწყდება, ასოები პირობით ასოებს ემსგავსება).

*

ის გამახსენდა, ბავშვობაში ვითომ გაკრული ხელით რომ ვწერდი „ლექსებს“ — სინამდვილეში, ოთხსტრიქონედებს ვჯღაბნიდი — და მერე მამაჩემი „მიკითხავდა“: აღდაღანე, დაღდაღანე...

*

როგორც უნდა გვაღიზიანებდნენ რადიკალები (ვთქვათ, მწერლობაში), როგორ არაღირსეულადაც უნდა იქცეოდნენ ისინი, ერთი სიკეთე მაინც მოაქვთ: შემდეგ ღირსეულ მუშაკებს (ვთქვათ, მწერლებს) შეუძლიათ მორადიკალურო ფორმები ისე გამოიყენონ, რომ აუდიტორიის გაღიზიანება აღარ გამოიწვიონ — მით უმეტეს, რომ ეს ფორმები მათთან მხოლოდ საშუალება იქნება და არა — მიზანი.

ლადო კილასონია

მოპარული ახალი წელი

30 დეკემბერი იყო. ბიჭებთან ერთად ვიდექი ქუჩაში, როდესაც გიუნამ დამირეკა:

— ნინოსთან მივდივართ. სახლში გამოიარეთო. მე და სოფო ვართ. თეა ზურას მოყავს.

— მანქანით ხართ? — ვკითხე და ჯიბეები მოვიჩხრიკე, სულ სამი ლარი მედო.

— კი, ოღონდ სოფოა საჭესთან, — მითხრა გიუნამ.

ეგღა მაკლია, სოფოს ჩავუჯდე და მერე მთელი გზა მანქანის ჭერში მიმაგრებულ ხელკავზე თითებჩაბღუჯულმა და დაძაბულმა კბილების ღრჭიალით ხშირ-ხშირად ვიძახო: ნელა! ნელა!

სოფოსი ჯერ კიდევ ჩემი ძმის ქორწილიდან მეშინია, ჯვრისწერა მცხეთის ჯვარზე იყო. მე ეკლესიაში ავედი, სოფო მანქანაში დარჩა.

— არ მინდა მოკლე კაბით შემოსვლა, — მითხრა კრუტუნით და მხარზე ჩამოშლილი კულული შეისწორა.

ჯვრისწერა რომ დამთავრდა, ჩამოვედი, ბიჭები ჩავისვი, საჭესთან დავჯექი და მანქანების გრძელ კოლონას გავყევი, საყვირებით და ფარების ციმციმით რომ მიქროდა ხეებს შორის გადაჭიმულ ასფალტის დანგრეულ გზაზე.

მივდივარ, საჭეს ვატრიალებ, საქარე მინაზე დაკიდებულ პატარა სარკეში ვიხედები და ვერაფერს ვხვდები — გრძელ, ლაპლაპა ოთხკუთხედში ზურგს უკან მომავალი მანქანების ცხვირების და ჯვრის თანდათან დაპატარავებული ტაძრის ნაცვლად გზის მარჯვენა მხარეს ცერად გადახრილი ბეტონის თეთრადშეღებილი და საღებავაცვენილი მოაჯირები, ხის ტოტების წაწვეტებული წვერები და გახუნებული ბალახი მოჩანს.

— რა ხდება? — ვიკითხე გაკვირვებულმა, სარკისკენ გავწიე ხელი, მაგრამ ამ დროს სოფოს მოვკარი თვალი, ხელის ფრთხილი მოძრაობით რომ ისწორებდა თავის შავ, ხვეულ თმას და ყველაფერს მივხვდი.

— შენ თავზე გაისწორე სარკე, არა? — ვკითხე სოფოს.

— ხოოოო, — საყვარლად მოისაწყლა თავი იმან.

და ახლა ადექი და ჩაუჯექი ეგეთს მანქანაში.

— ჩემით მოვალ, — ვუპასუხე გიუნას.

გაეცინა.

— მაშინ კანდელაკის თორმეტთან დაგელოდებით.

— კარგი, იქ გნახავ, — გავუთიშე, ბიჭებს დავემშვიდობე, ქუჩაზე გადავედი და ტაქსის დავუქნიე ხელი.

მე, გიუნა, თეა, ზურა და ნინო კლასელები ვართ, სოფო ჩემი მამიდაშვილი და თან გიუნას შეყვარებულია და იშვიათად ლამაზია — შავი ხვეული თმა, თეთრი, უხორკლო, ზეწარივით კრიალა კანი, სწორი ნაკვთები, დიდი ცისფერი თვალები. იცი, როგორია?! ხელკავით რომ გაივლი ქუჩაში და გეამაყება, რომ ეგეთი გოგო მოგყვება გვერდით და ამას სხვები ხედავენ.

გიუნას და სოფოს მეშვიდე წელია, ერთმანეთი უყვართ. და რაღაცნაირად ისე გამოვიდა, რომ მაგათი სიყვარულის ამბავი ჩემით დაიწყო.

სოფო თელაველია, ანუ მამიდაჩემი თელავშია გათხოვილი. ბიძაჩემი ანდრო მაგარი მომღერალი და პროფესიონალი თამადაა — მოხეული, ჯანიანი, ბოხი ხმით, შავი წვერით და მრგვალი ღონიერი ღიპით, ხუთი წელი რომ იშენებდა სამსართულიან დიდ სახლს, რომელიც დღემდე ვერ დაუმთავრებია, თუმცა რაც არის, უკვე მაგარია — აგურის შეულესავი, ხალიჩებაკრული კედლები, გაჭვარტლული ბუხარი, კარგი ღვინით სავსე მარანი, ხვეული კიბე და გაურანდავი მორებით ნაშენი, ვეებერთელა გრილი ვერანდა. იქ ჩასვლა მაგრად მიყვარს: მოგიზგიზე ცეცხლი, მამიდაჩემის გაკეთებული გემრიელი, ორთქლავარდნილი ყაურმა, მაგარი ღვინო, სოფო, სოფოს უმცროსი ძმა — ორმეტრიანი ირაკლი და ბიძაჩემი, რომელიც არასოდეს დაგაძალებს სმას.

ეს ამბავი კი მაშინ ხდება, როდესაც თექვსმეტი წლის ვხდები, სკოლა დავამთავრე და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ვემზადები, მოკლედ, უკვე ზედმეტად დიდი და ჭკვიანი ვარ.

სოფო კულტურის ინსტიტუტში აბარებდა. ჩამოვიდნენ ის და მამიდაჩემი თბილისში და მივაკითხეთ მე და დედამ სახლში (ბიძაჩემს ოროთახიანი ბინა აქვს ლესელიძეზე), იქიდან კი ოთხივენი ერთად წავედით სოფოს ახალ ინსტიტუტში.

დედაჩემი და მამიდაჩემი წინ მიდიან, სოფოს ჩემთვის გაუყრია მკლავი და მეც ვცდილობ, სათანადო, თბილისურად სერიოზული, დაძაბული სახე მეჭიროს.

შევედით ინსტიტუტის ეზოში. ქვის ძველი შენობაა, ნაცრისფერი, დაბზარული, სამრიგად ჩარიგებული ფართო, ჭუჭყიანი ფანჯრებით. ასფალტმოსხმულ ეზოში ხალხი ირევა — მშობლები ერთმანეთში ლაპარაკობენ, გოგოები, ბიჭები პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრულან, არის კონსპექტების, ქსეროქსების და ნერვიულობისგან მილივით დაგრაგნილი რვეულების ტრიალი და ხმადაბალი დუდუნი.

ვდგავართ ჩვენც, ვლაპარაკობთ და ერთ-ერთ ეგეთ ჯგუფში ვიღაც მეცნო. დავაკვირდი, გიოა, ჩემი კლასელი. იმანაც დამინახა.

მივედი, გადავკოცნე. გამოვკითხე, აქ რა გინდა-მეთქი.

— ვაბარებ, — მიპასუხა და თვალი მოავლო ეზოს.

— ვاااااა, ასწორებს! ჩემი მამიდაშვილიც აქ აბარებს, სოფო ანჩაბაძე, აგე, იქ დგას, — ხელით ვანიშნე გიოს, — და თუ რამეა, მიმიხედე, რამე პრობლემა თუ იქნება, სულ პატარა მაინც, აქ ვარ და დამიზვანოკე, — ძალით ვწელავდი სიტყვებს და თან ვცდილობდი, ის ღირსეული, საშიში სახე შემენარჩუნებინა. მერე რა, რომ მე და გიო კლასში არ ვძმაკაცობდით, მაინც ჩემიანი იყო, ბიჭი, რომელსაც თერთმეტი წელიწადი ვუყურებდი და ვესალმებოდი.

— კარგი, გასაგებია, — თავი დამიქნია და მხრები აიჩეჩა გიომ, ჩემგან განსხვავებით ის არასოდეს ბაძავდა სხვებს.

— აქ ჩემი კლასელი სწავლობს, გიო დოლიძე და თუ რამეა, მეც ეგრევე აქ ვიქნები, — ვუთხარი სოფოს, რითაც ჩემი ჭკუით საქმე მოვაგვარე, არადა, არც გამიცნია ერთმანეთისთვის.

სოფომ ჩააბარა, მეც ჩავაბარე და საერთოდ მიმავიწყდა ეგ ამბავი. ოთხი თვე იქნებოდა გასული, როდესაც ვიღაცისგან გავიგე, გიოს შეყვარებული ყავსო. ყურადღება არ მიმიქცევია.

მერე კი ერთხელ სოფოს დავურეკე მოსაკითხად და ის ძველი ამბავი გამახსენდა, მისი თავი ჩემს კლასელს რომ მივაბარე.

— მანდ უნდა სწავლობდეს, გიო ქვია, დოლიძეა გვარად, — ვუთხარი სოფოს.

და უცებ.

— ვინნნ? გიუნაااااა?! — აკრუტუნდა სოფო, — ისეთი კარგი, ისეთი საყვარელი ბიჭია, ვგიჟდები ისე მიყვარს.

და ასე გადაიქცა გიო დოლიძე, გიუნად.

აღმოჩნდა, რომ გიუნას და სოფოს უკვე ორი თვეა, ერთმანეთი უყვართ, ეს მთელმა ჩემმა კლასმა იცის და მიმალავენ. წარმოვიდგინე, როგორ აფრთხილებენ გოგოები ერთმანეთს ხმადაბლა:

— არ უთხრა, თორე გაგიჟდება!

ჩემს ძმას მოვუყევი ყველაფერი.

— არ ვეღადაოთ მერე? — თვალები აუციმციმდა იმას.

— აბა, რა, — და ეგრე შევხვდით გიუნას თავისი ინსტიტუტთან, ვორონცოვის ერთ ჩაბნელებულ სადარბაზოში.

შეყვანით ჩემმა ძმამ შეუყვანა: ძმაო, კლასელები იყავით თერთმეტი წელი, გოგო თბილისში ჩამოვიდა, ჩვენი და, გნახეთ, ერთად სწავლობდით, ჩაგაბარეთ, როგორც ძმას, როგორც ჩვენიანს და შენ კიდე როგორ იქცევი, ანუ ეგრე გესმის ძმაკაცობა? კაი, მოგვიდა, მოგვიდა, მოსულიყავი მაინც, გეთქვა, დაგვლაპარაკებოდი, უცხოები ხო არ ვიყავით, ვიღაც სხვისგან რო გავიგეთ ყველაფერი, აქეთ-იქით დაძვრებიანო.

მაგრამ ხუმრობა არ გამოვიდა, რადგან ყოველთვის მშვიდ, მოცინარ გიუნას ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან.

— არ ჩავთვალე საჭიროდ და მაგიტომ, ვფიქრობ, ჩემი და სოფოს გადაწყეტილება მაგ ამბავში საკმარისია, არა?

და აქ მეც და ჩემს ძმასაც სიცილი აგვიტყდა. თუმცა მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო. გიუნა შვიდი წელი ყოველ დილას (დღე არ ჩაუგდია) ახალ თაიგულს ახვედრებდა სოფოს. ლამაზად ჩაწნული ყვავილების კონა ან კარის ღრიჭოში იყო გარჭობილი ანაც ფანჯრის რიკულებში არხევდა დილის ნიავი. ის და სოფო სულ ერთად დადიოდნენ, ამ შვიდი წლის განმავლობაში მე, ჩემი ძმა, გიუნა და კიდევ ჩემი ორი კლასელი ზურა და თეაც მაგრად დავძმაკაცდით (ეგ ძველი და ცნობილი ამბავია, დიდი ხნის ერთად ყოფნისგან რომ გიცვდება, გიცივდება გრძნობები, მერე ერთად ყოფნა მთავრდება, დრო გადის, შემთხვევით შეხვდებით, ყველაფერი ერთად გახსენდება და ხვდები, როგორ მოგენატრა ის დრო და ის ხალხი), თუმცა გიუნა სოფოს ცოლად მოყვანას რატომღაც წელავდა, ისე, რომ უკვე ჩვენ ვუტრაკებდით და დავცინოდით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მე ასეთი ისტორია მოვუგონე: შეყვარებულობის ექვსი წლის თავზე სოფოსთან თელავში ჩასულ გიუნას სუფრაზე მარტოდ დარჩენილმა ბიძაჩემმა უთხრა: „ისეთი კარგი კაცი ხარ, შვილო, რაც გინდა მთხოვეო“ ამან კიდე: „თუ შეიძლება, მობილურზე აღარ მერეკება და დამარეკინეთო!“ და არავის შეპარვია ეჭვი ამ ტყუილში.

მაგრამ ახლა მეც და ზურამაც ვიცოდით, რომ გიუნა რაღაცას აპირებდა, სახლში რემონტი წამოიწყო, სამსახურს ეძებდა, ანუ ახლო მომავალში აშკარად ქორწილი იგეგმებოდა.

გიუნა, სოფო, ზურა და თეა კანდელაკის 12 ნომერთან დამხვდნენ, ერთად ავედით ქვის კიბეზე და გაბმული ზარი მივეცით რკინის კარის კუთხეში დატანებულ წითელ ღილაკს.

— მობრძანდით! — კარი ნინომ გაგვიღო.

ნინოს შავი და თეთრი წვრილი ხაზებით დაზოლილი მაისური და შავი ქვედაბოლო ეცვა და, როგორც ყოველთვის, ლამაზი იყო: შავთმიანი, შავწარბა, ფერმკრთალი, თაფლისფერთვალება, ძველებურად გაუცინარი და ძველებურად ზედმეტად სერიოზული.

სუფრა მისაღებ ოთახში გაეშალათ, ნინოს ქმარი ღვინოს ასხამდა, შვილი, ოთხი წლის დათუნა, აქეთ-იქით დაქროდა. ტახტზე ვისხედით, ვლაპარაკობდით, ძველ ამბებს ვიხსენებდით.

დათუნამ დიდი ჰაეროვანი ბუშტი ესროლა თეას და ჭყივილით ამოეფარა სამზარეულოს კარის კუთხეს.

— ცელქია? — ვკითხე ნინოს.

— ძალიან, — დაღლილად ასწია წარბი იმან, — მაგრამ ნიჭიერია, გიჟდება, ისე უყვარს რელიგია და პოეზია.

— რამდენი წლისაა? — დაინტერესდა გიუნა.

— ოთხის ხდება.

— და პოეზია უყვარს? — გაუკვირდა გიუნას.

— გიჟ-დე-ბა! — დაგვიმარცვლა ნინომ, — თან დამახსოვრების არაჩვეულებრივი უნარი აქვს, ზეპირად იცის ლოცვები, ლექსები, ფსალმუნები.

— ვااا! — ვთქვი და ქვედა ტუჩი წამოვწიე მაღლა.

— დათუნა დედა, მოდი, — დაუძახა ნინომ შვილს, ბავშვი მოგვიახლოვდა, სირბილისგან ლოყები დაწითლებოდა, ქოშინებდა და თვალები მხიარულად უციმციმებდა.

— აბა, მოდი, ბიძიებს ლექსი უთხარი, — ხელი მოკიდა ხელზე ნინომ და ახლოს მოიყვანა.

ბავშვი ჩუმად მოგვაჩერდა.

— აბა, გაიხსენე, — შვილისკენ დაიხარა დედა და მელოდიურად დაიწყო, — მოდი, ვნახოთ... — აქ სიტყვა გაწყვიტა და კითხვითი ინტონაცია მისცა ხმას.

ბავშვი ისევ ჩუმად იდგა.

— ვენااااااااااი! — დაასრულა ნინომ სტროფი.

დათუნამ დედას შეხედა და გაუცინა.

— რამ შეჭამა... — გააგრძელა ნინომ.

— ვენახიიი! — თქვა ბავშვმა.

— მიველ ვნახე...

— ვენახი!

— თხამ შეჭამა...

— ვენახი!

ნასიამოვნებმა ნინომ ჩვენსკენ გამოაპარა თვალი და გააგრძელა.

— მოდი, ვნახოთ...

— ვენახი! — აყვა ბავშვი.

— არა, დედიკო, — შეუსწორა ნინომ, — მოდი, ვნახოთ თხაა! აბა, თქვი, მოდი, ვნახოთ...

— თხაა!

— რამ შეჭამა...

— თხაა!

— მიველ ვნახე...

— თხაა!

— მგელმა ჭამა...

— თხაა!

ძლივს ვიკავებდი სიცილს, მაგრამ როდესაც ნინო შემდეგ ორ რთულ სტროფს გადაახტა და პირდაპირ „მოდი, ვნახოთ თოფზე“ მივიდა, ვეღარ გავძელი: მაგას უეჭველი მგელიც ეცოდინება-მეთქი, ვუთხარი ნინოს და მე, ზურა, სოფო და გიუნა ერთად ავხარხარდით. ყოველთვის გაწონასწორებულ და დაფიქრებულ თეასაც კი გაეღიმა.

ნინომ წარბი ასწია, ირიბად გამოგვხედა:

— ხო, ნუ შეიძლება ზოგ-ზოგიერთებს უჭირთ პოეზიის აღქმა, — თქვა მშვიდად, წამოდგა და ნიკუშა გვერდით ოთახში გაიყვანა.

ამასობაში ნინოს ქმარმა ღვინით სავსე გრაფინები დაალაგა მაგიდაზე და ჩვენც სუფრას შევესიეთ.

ათ საათამდე ვსვით, მერე მასპინძლებს დავემშვიდობეთ და ქუჩაში გავედით, ზურა და თეა ტაქსით წავიდნენ.

— გეჩქარება? — მკითხა გიუნამ.

ტრასაზე ზუზუნით მიქროდნენ მანქანები.

— არა, — გავაქნიე თავი და ჩემი პირიდან ამოსულ ორთქლის ღრუბელს ავხედე, წამში რომ გადნა ღამეში.

— მაშინ წამო, სადმე ცოტა დავლიოთ, ხვალ სოფო მიდის და...

— საით? — გავაწყვეტინე გიუნას და მამიდაშვილს გადავხედე.

— ჩვენებთან, თელავში, იქ შევხვდები ახალ წელს, — მითხრა სოფომ.

— კარგი, წავიდეთ, — ვთქვი და კისერი გავატკაცუნე.

— სად? — გვკითხა გიუნამ.

— დუბლინში რა! — გაეხარდა სოფოს.

— მოსულა, — დავეთანხმე ეგრევე, მეც მიყვარს პეროვის ქუჩის კუთხის ეგ ბარი — ხის დახლი, სკამები, მაგიდები, იატაკი და ბოძები, სითბო, კარგი მუსიკა ცოცხალი შესრულებით.

გიუნამ ტაქსის დაუქნია ხელი.

დუბლინში ცხელოდა. მარცხენა კუთხეში ბენდი უკრავდა, ბართან ხალხი ცეკვავდა, სკამებიდან შემთვრალი შეძახილები და ჭიქების წკარუნი ისმოდა.

გიუნამ არაყი, ლუდი და პიცა შეუკვეთა. დავსხედით. ღვინის მერე არაყმა არ წაიღო, საშინელი გემო ჰქონდა, უსიამოვნოდ დავმანჭე სახე და ლუდი მოვიყუდე ყელში მომდგარი მწველი, აცეტონისგემოიანი გორგლის უკან ჩასაბრუნებლად. მეორეზე წინასწარ მოვემზადე, წინასწარ დავიჭყანე, მოჭუტული თვალებით დავხედე გამჭვირვალე სითხეს, ცხვირის ნესტოებთან მიახლოების გარეშე გამოვცალე ჭიქა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, იმ გემომ სულ ოდნავ წამკრა, მესამეზე კი არაყი წყალივით გადავიდა ყელში. შემდეგ მე და სოფომ „Desperado“-ზე და „Escucha me“-ზე ვიცეკვეთ და უკან რომ ვბრუნდებოდით, მარჯვენა კუთხის ყველაზე შეტეხილი მაგიდიდან ხელი ამიწიეს და დამიძახეს.

კერონი იყო, ჩემი ნაცნობი. კერონი ამერიკელი გოგოა, რომელიც საქართველო-ამერიკის რაგბის მატჩზე გავიცანი დინამოზე, გვერდი-გვერდ აღმოვჩნდით ტრიბუნაზე და გამოველაპარაკე. მერეც რამდეჯერმე შემხვდა, ერთხელ ღამის კლუბში, მეორედ კი მოჰიპო-მოროკერო იაფფასიან ბარში. კარგი გოგოა, მოცინარი, ფუმფულა.

— მე შენ უკვე ამერიკაში მგონიხარ, — ხელი გადავხვიე კერონს.

— წელს არა, — ღიმილით მიპასუხა იმან, — არ გაგვიმართლა.

— არ გაგიმართლათ? — ვკითხე და ეშმაკურად გავუღიმე, კერონი ყოველთვის მარტო დადიოდა.

— მოდი ცოტა ხნით ჩვენთან, — გაეცინა კერონს და თავისი მაგიდისკენ წამიყვანა.

მაგიდასთან ქერათმიანი, აშკარად უცხოელი გოგო და სამი, ასევე უცხოელი „ჰერაკლე“ იჯდა.

მივესალმე, კერონის გვერდით დავჯექი და წამში ჩავიმალე კუნთების უზარმაზარ გროვაში.

კერონის დაქალს ნიკი ერქვა. ბიჭებს ყველას ერთნაირად (მაგას, მგონი, „პოლბოქსს“ ეძახიან) მოკლედ ჰქონდათ თმა შეჭრილი და ყველა სუფთად იყო გაპარსული.

— მაქსი, — მითხრა ყველაზე მაღალმა და თავისი დაძარღვული, ანაკონდასავით გრძელი, დაკუნთული და უცნაური, ეკალის ბუჩქივით დაგრაგნილი სვირიგნით დაფარული ხელი გამომიწოდა.

— ალექსი, — ასევე ხელის ჩამორთმევით გამეცნო კრემისფერ მაისურიანი და ბეჭგანიერი.

— ტოდი, — თავის დახრით მომესალმა დაბალი, ოთხკუთხედყბიანი და მოცინარი, ოცდაათს მიტანებული კაცი, ჩემი თავის სისქე ბიცეფსით და მორივით სქელი, ტრაპეციის ამობურცულ კუნთებში სანახევროდ ჩამალული კისრით, რკინის საცეცებივით უხეშ თითებში რომ ბღუჯავდა ნემიროვის ორლიტრიან, ყურიან ბოთლს.

— სპორტსმენები ხართ? — ვკითხე და მაგიდაზე ავათამაშე თითები.

— არა, მაქსი და ალექსი საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსტრუქტორები არიან ხელჩართულ ორთაბრძოლებში, ტოდი კი მათი კაპიტანია, — ამიხსნა კერონმა და მოცინარი მზერა ესროლა ტოდს, იმან არაყი დამისხა.

ჭიქები მივაჭახუნეთ, დავლიეთ. ცოტა ვილაპარაკეთ, მერე მე კერონს ვეხუმრებოდი.

— ნუ ეხუმრები ქალს ესე, — მითხრა ღიმილით ტოდმა.

უკვე მთვრალი ვიყავი, ამიტომ უდარდელად ვუპასუხე.

— მადლობა რჩევისთვის, მაგრამ ეს ჯარი არ არი, მეგობრები ვართ და ვიცით, როგორ უნდა ვიხუმროთ!

ღიმილი უცნაურად მიიყინა ფართო, ცხვირმიჭყლეტილ სახეზე, ის მარწუხებივით თითები არყის ბოთლს მოსცილდა, მაგიდას დააწვა და უფერულ ფრჩხილებში ბადაგისფერი ჩაიღვარა.

— მომისმინე, — ჩემსკენ გადმოიხარა ტოდი, — და დაიმახსოვრე! აღარასოდეს გაბედო ჩემთან ასე ლაპარაკი! გაიგე?

მაგიდასთან სიჩუმე ჩამოწვა. უეცრად ყველა ხმამ ერთად შემომიტია: ოფიციანტების ნაბიჯებმა, ჭიქების წკარუნმა, კარის ჭრიალმა, მაღალ, დაცერავებულ კათხაში ზოზინით გაცოცებულმა, თეთრად აქაფებულმა ლუდმა, სანთებელაზე ჩამოცურებული ოფლიანი თითების ზუზუნმა. მერე თითქოს ყინულიან წყალში ჩამაგდესო, ისე დამიარა ტანში ცივმა ჟრუანტელმა, წამში გამოვფხიზლდი და ვიგრძენი, როგორ ამიკანკალდა მაგიდის ქვეშ ფეხები.

მივხვდი, რაღაც უნდა მეპასუხა, შეშინებული კერონი და დანარჩენები მე მომჩერებოდნენ, თავს მოვერიე, ფეხებიდან წამოსული კანკალი წელს ქვემოთ შევაჩერე, წინ გადავიხარე, ოდნავ მოვჭუტე თვალები, ტოდს შევხედე და დაბალი, ცივი ხმით ვუთხარი:

— გავიგე! ახლა კი შენ მომისმინე, კაპიტანო და დაიმახსოვრე! აღარც შენ გაბედო აღარასოდეს ჩემთან ასე დალაპარაკება! გაიგე?

ტოდი უხმოდ მომაშტერდა, თავისი დაწვრილებული, ნაცრისფერი თვალებით. სუფრაზე ისევ სიჩუმე იყო, ტოდი კი მე მიყურებდა. ეგ იყო ალბათ ყველაზე გრძელი წამი ჩემს ცხოვრებაში.

ახლა რომ ვფიქრობ, მეცინება, რა სანახავი ვიქნებოდი გვერდიდან? წელს ზემოთ დაძაბული, მტრისკენ გადახრილი, ქანდაკებასავით უდრეკი სხეული, ოქროსუბნური, უშიშარი, უკანდაუხეველი სახე და მაგიდის ქვეშ როკენროლის უბადლო მოცეკვავესავით აკანკალებული ფეხები...

მაგრამ მაშინ სულ სხვა რამე მიტრიალებდა თავში: კარგი, ახლა შემაგინებს ან გამოიწევა, თუ გამიმართლა და დავასწარი, დავავლებ ამ ნემიროვის ბოთლს ხელს, მერე კიდე ერთხელ უნდა გამიმართლოს, რომ ტოდს გადავაფშვნა თავზე, მერე კი უკვე უტოპია მოდიოდა — საყოველთაო, წამიერი დაბნეულობით ვისარგებლებ, ერთი ნახტომით გადავევლები ჩვენს მაგიდას, გასასვლელისკენ გავქანდები და თუ ქუჩაში გავასწარი, ცხვარს კი არა, კინგკონგს შევწირავ ღმერთს. მაგრამ ვთქვათ და გავვარდი ქუჩაში — მერე? და მერე ბირსის იმ მოთხრობის (მგონი, „შემთხვევა ჭოტისწყლის ხიდზე“) გმირივით მეც წარმოვიდგინე — აქოშინებული გავრბივარ პეროვის ვიწრო, ბარების და მაღაზიების აბრებით განათებულ ქუჩაზე, უკნიდან ყვირილით მიახლოვდება უცხო ენაზე წამოსროლილი მუქარა, გინება და მსუბუქად მორბენალი ფეხების ხმა, წინ კი ღამის სიბნელეში ვარდისფერ და ცისფერ ფერებში კრთება უკანასკნელი იმედი — პატრულის ციმციმა. ციხე ნაღდად ჯობს სიკვდილს...

ტოდის თვალებში რაღაცა გაკრთა. სახე ისევ გაწელა ღიმილმა, მაგიდაზე დადებულ თითებში ჩაღვრილი სიმუქე გაიშალა.

— არა, დღეს ჩვენ არ ვიჩხუბებთ, — თავი გააქნია კაპიტანმა, მეგობრულად დამკრა მხარზე თავისი ტორი, ჭიქაში არაყი ჩამისხა, თავისთვისაც შეივსო, ასწია და თქვა, — ავღანეთში 13 კაცი დავკარგე, იმათ სახელზე! — და ჭიქა გამოცალა, მერე ისევ შეივსო.

— ერაყში 18 კაცი დავკარგე, იმათ სახელზე! — გამოცალა და შეივსო.

— სიერა-ლეონეში 4 კაცი დავკარგე, იმათ სახელზე! — გამოცალა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

„სამაგიეროდ აქ გადაარჩინე ერთი!“ — გავიფიქრე ჩემთვის, ჭიქა წამოვწიე, ბედნიერმა გადავკარი და ჩემს მაგიდას დავუბრუნდი.

სმა გავაგრძელეთ, ვიცეკვეთ, ისევ დავლიეთ და ისევ ვიცეკვეთ. ქუჩაში რომ გამოვედით და გახურებულ შუბლზე სასიამოვნოდ მოგვხვდა ზამთრის ცივი ჰაერი, მივხვდი, ძალიან მაგარი მთვრალი ვიყავი.

— ფეხით გავიაროთ რაااა, — ჩვენს შუაში მოექცა სოფო და აქეთ-იქიდან გაგვიყარა მკლავი.

ბანცალით მივდიოდით ლამპიონებით განათებულ რუსთაველზე, შავ ცაში თეთრი მთვარე ეკიდა, გზაზე მანქანები დასისინებდნენ. გზის თავზე, მთელი რუსთაველის გაყოლებაზე უკვე ჩამოეკიდათ ელექტრო წვიმები და ლოლოები და სიმძიმისგან ნახევარმთვარესავით გაღუნულ კაბელებზე მიმაგრებულ ამ პატარ-პატარა წვრილ ჯოხებზე შუქის თეთრი ხაზები მოცოცავდა.

ხარაჩოებაკრული მაღალი შენობის პირველ სართულს მთელ სიგრძეზე გასდევდა ფიცრებით აჭედილი და ფიცრებით გადახურული კედელი, რომ ფეხითმოსიარულეები დაეცვა ზემოდან გადმოცვენილი ქვებისგან. კედლებზე პოლიტიკური პარტიების პლაკატები გაეკრათ. მივედი და მმართველი პარტიის პლაკატი ჩამოვხიე. გიუნამ მომბაძა, მაგრამ ამ დროს გენიალური იდეა მომივიდა, ხელი წავავლე ძმაკაცს ხელში, დავტრიალდი, ისიც დავატრიალე, მთელი ძალით მივანარცხე ფიცრებს და სიცილით დავაყოლე:

— ვინც ხელები აიფაროს, ბოზია!

— ეგრე! — გამხიარულდა გიუნა, ხელი ჩამავალო მხარში, დატრიალდა და ახლა უკვე მე გავქანდი სარეკლამო პოსტერებით აჭრელებული ბინძური ფიცრებისკენ.

მივეჯახე, გადავიხარხარე, ისევ ხელში ვწვდი გიუნას და ისევ დავტრიალდი.

ესე ვიარეთ ასი მეტრი, თან ერთმანეთს კედელს ვახეთქებდით, თან ვკვდებოდით სიცილით, ხელში კი მმართველი პარტიის ჩამოხეული სარეკლამო პლაკატები გვეჭირა.

ფიცრები რომ დამთავრდა, სოფომ ისევ გაგვიყარა ხელი, გზა გავაგრძელეთ და ცოტა ხანში ჩვენს წინ თავისუფლების მოედნის შუაგულში ჩადგმული ყვითელი, თეთრი და წითელი ელექტროწვიმებით მორთული უზარმაზარი ნაძვისხე გამოჩნდა.

— წამო, იქ შევიდეთ, — მომივიდა გენიალური იდეა.

— წამო, — მხიარულად ამყვა სოფო.

მერე ნაძვისხის ძირში ვისხედით და უაზროდ გავყურებდით მოედანს, სანამ დაცვა არ მოვიდა და გამოგვაგდო, აქ ჩამოჯდომა არ შეიძლებაო.

აი, მგონი, მანდ შემაპარა გიუნამ, ახალ წელს, თორმეტის მერე, ხო გამომყვები სოფოსთან თელავშიო.

ორი დღე თოვდა — ქალაქი თეთრში ჩაიფუთნა, ღამე მოყინა, დილას ისევ თოვლი წამოვიდა, ჩვენს ქუჩაზე გადაჭიმული ხალხის სქელი, მოყაყანე და მოთახთახე (ბაზრისკენ მიმავალი ან ბაზრიდან მომავალი) მასა წასაწვლელად გამზადებული მატარებელივით უშვებდა ჰაერში თეთრ ორთქლს. საღამოს ისევ ყინვამ დაიჭირა.

ბებეროსთან ვიყავი, ახალ წელს ორი საათი აკლდა, გიუნამ რომ დამირეკა.

— ჰა, ხო გახსოვს დაპირება?

— რა დაპირება?! — ვკითხე და ბებეროს ვანიშნე, ტელევიზორისთვის დაეწია.

— რა და, დღეს თორმეტის მერე თელავში მივდივართ!

მეხსიერებამ კარტივით მომაყარა სურათები: დიდი, ღამისგან ჩაშავებული ტოტების ჩრდილი, წინვის სასიამოვნო სურნელი, სოფოს მკლავი ჩემს მკლავზე, ნაძვის ხის სწორი მერქანი, ჩვენს ირგვლივ ცეცხლოვან მძივად მოსრიალე მანქანების უწყვეტი ნაკადი. თითქოს რაღაც გამახსენდა, მაგრამ არ გინდა, ახლა ამ მოყინულ გზაზე თელავში ჩასვლა.

— არა უშავს, ნელა ვივლით და სამ-ოთხ საათში იქ ვიქნებით, — დამამშვიდა გიუნამ.

რა გამოდის, მთელი ის დრო, რაც შავ ცაში ფოიერვერკები იბრდღვიალებენ და ყველა სახლში ნკარუნით შეეჯახება ერთმანეთს ჭიქები, ყველა რესტორანში მუსიკა იგუგუნებს, მთელი ის საუკეთესო დრო — ყველა ჯერ მხოლოდ რომ ნასვამია და ამიტომ ბედნიერი და მოცინარი — მე ფეჩით გამთბარ მანქანის სალონში უნდა ვიყურყუტო და გზის კიდეებზე ხეებივით ჩაქროლებულ ლამპიონებს უნდა ვუყურო იმის იმედით — როდის გამოჩნდება თელავი.

— ოოო, მოიცა რა! — ვერ მოვერიე ამ სურათს.

— ხო შემპირდი! ძმაკაცურად გთხოვ, ახალი წლის ღამეა და ნუ გამიშვებ იქ მარტოს! — მითხრა გიუნამ და გაჩუმდა.

ნაბიჭვარი, სულ ეგრე იცის, გთხოვს რაღაცას, გაჩუმდება და გითანხმებს.

— კარგი, პირველზე გავიდეთ, — ამოვიოხრე და ბებეროს გადავხედე.

— პირველის ნახევარზე მანდ ვარ, — მომიჭრა გიუნამ და გამითიშა.

მართლა პირველის ნახევარზე მოვიდა დედამისის შინდისფერი „ნისანით“, ნასვამიც არ ვიყავი ჯერ. დალევაზე უარი თქვა, საჭესთან ვარო, დაგვლოცა, ოდნავ შეახო ტუჩები ჭიქას, გაჩუმდა და ლოდინი დაიწყო.

ხუთ წუთში სანაპიროზე მივქროდით.

— ყვავილები ხო არ გვეყიდა? — ჰკითხა აშკარად საკუთარ თავს გიუნამ და კოლმეურნეობის მოედნისკენ აუხვია.

ხის უფერულ დახლებზე ფერადი თაიგულები იდო, ჯორკოებზე და სკამებზე ჩამომსხდარი, თბილ ტანსაცმელში ჩაფუთნული მეყვავილე ქალები კაშნეებში მალავდნენ სახეს.

მანქანა გავაჩერეთ და გადავედით. გიუნას დანახვაზე დახლების გრძელ რიგს მხიარულმა შეძახილებმა და მისალმებებმა გადაუარა.

— რა არი, ამათი მაჟორიტარი ხარ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— შეიძლება, ეგრეც ითქვას, — გაეცინა გიუნას, — ყველას ვიცნობ, შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე იყიდე აქ ყვავილები და ნახავ.

— მოი, შვილო, აქანე, — ხელით იხმო გიუნა ლოყაწითელა, ჭაღარა და პირში ორკბილშერჩენილმა მსუქანმა ქალმა.

— როგორ ხარ, ლალი ბებო? — იქით წავიდა გიუნა.

— რა მიჭირს, დედა. აბა, რა გინდა?

— თაიგული, დიდი თაიგული, — გიუნას ხელები წელზე შემოეწყო, ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა და როგორც დილის მოწყობაზე ჩამწკრივებული ჯარის წინ გენერალი, ისე დააბიჯებდა დახლის გასწვრივ — ყვავილებს ათვალიერებდა.

ბოლოს გაჩერდა, ოდნავ გვერდზე გადააგდო თავი და ერთ წერტილს მიაშტერდა. ზურგიდან მივუახლოვდი, ყველაზე დიდი თაიგულის წინ იდგა — მოზაიკასავით ჭრელის და ლამაზის.

— ეს რა ღირს? — ჰკითხა ლალი ბებოს ისე, რომ თაიგულისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ასი ლარი ბებო, მარა შენ ოთხმოცად წეიღე! — უთხრა იმან და ეგრევე კითხვაც მოაყოლა, — ისევლე იმისთვის გინდა?

— კი, — თავი დააქნია გიუნამ.

— კიდო არ მოგყვება?

— არა.

— მაშინ მიუტანე აგი ერთხელაც და თუ მაინც არ წამოგყვა ხო, მოდი აქანა და მე წამოგყვები, შვილო! — ჩაიხითხითა ქალმა.

ვიყიდეთ ის თაიგული, მაგრამ იმხელა იყო, მანქანაში არ ეტეოდა, გახსნა გიუნამ საბარგული და ორივემ ერთად გაჭირვებით ჩავტენეთ შიგნით.

ჩავსხედით, ავედით ტრასაზე და დავაწექით თელავისკენ. აეროპორტამდე არა გვიშავდა, გზაზე მარილი დაეყარათ, მაგრამ მერე, ლილოს რომ გავცდით, საბურავების ხმაზე მივხვდით, ყინულის მასა ბორბლებქვეშ გასქელდა და სიჩქარის დაგდება მოგვიწია.

გზას გავხედე — სიბნელე, ლამპიონები და მათი შუქისგან მოელვარე მოყინული ტრასა, ღამეში რომ იკარგება და კიდევ ერთხელ დამწყდა გული, მაგრამ რას ვიზამდი.

ცოტა ვილაპარაკეთ, გიუნას ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. მერე რადიოს ვუსმენდი, გზას ვუყურებდი და ვფიქრობდი: რატომ მემართებოდა სულ ერთი და იგივე? რატომ მივდიოდი იქ, სადაც არ მინ-

→

ლადო კილასონია

მოპარული ახალი წელი

დოდა? უფრო სწორედ იქ, სადაც თან მინდოდა და თან არა, და საერთოდ, ვიცოდი, რა მინდოდა? რატომ ხდებოდა, რომ წავიდოდი იქ, სადაც თითქოს მინდოდა და მერე, ადგილზე მისული, ვხვდებოდი, აღარ მინდოდა, ერთი წამითაც აღარ მინდოდა დარჩენა და სულ სხვა რამე მინდოდა, ოღონდ თვითონ არ ვიცოდი, რა. გამახსენდა საკუთარი სახლი, რომელშიც მარტოდ დარჩენას და სიჩუმის მოსმენას ხშირად ვოცნებობდი, მაგრამ, როდესაც ვრჩებოდი, მალევე მბეზრდებოდა. გამახსენდა უცხო, ცარიელი ქუჩები, რომლებიც ფეხით გამივლია ღამით მარტოს და მთვრალს, შენობები და სახლები, რომლების ქვეშაც გავჩერებულვარ და კარგა ხანს მითვალიერებია, ჩაბნელებული ქუჩების გრძელი ნახაზები, ქალაქის უკაცური სიჩუმე და ამ სიჩუმეში საკუთარი ნაბიჯების მკაფიო ხმა, ჩემს ჯიბეში გასათბობად ჩაყოფილი, პატარა ნაზი ხელი და ის გოგო, მის წვრილ თვალის ჭრილებში ჩამალული თაფლისფერი თვალები, კარგა ხანს რომ დამყვებოდა გვერდში, მერე კი უხმაუროდ მოხურა კარი და წავიდა — სამუდამოდ დაკარგული და ლამაზი. და ჩამეძინა.

გიუნამ რომ გამაღვიძა, უკვე თელავში შევდიოდით. ღამის განათებებისგან ყვითლად მოლაპლაპე თოვლშეყინულ ქუჩაში არავინ იყო. საათს დავხედე — ხუთის ნახევარი.

— ოთხი საათია მოვდივართ? — ვკითხე გიუნას და თვალები მოვიფშვნიტე.

— ხო, — გზისთვის თვალის მოუცილებლად მიპასუხა იმან და აღმართს შევუყევით.

საბურავების ზუზუნი გაძლიერდა, მანქანა უკვე თითქმის ღმუოდა, არადა აშკარად ადგილზე ვიდექით. გიუნამ პირველ სიჩქარეში გადართო და გაზს მიაჭირა, არაფერი, მარტო საბურავების და ძრავის ხმა და დამწვარი რეზინის სუნი, აღმართი კი როგორც იყო, ისევ ისე იდო წინ — გრძელი და მოყინული.

— უნდა მივაწვეთ, — საქარე მინას უთხრა გიუნამ.

გინებით გადმოვბობღდი მანქანიდან, უკნიდან მივადექი, ხელები მივაბჯინე, დავუძახე, წავიდა-მეთქი, იმანაც გადაქოქა და მანქანა მართალია ნელა, მაგრამ მაინც დაიძრა წინ. ათი წუთი ვაწვებოდი, ორჯერ ფეხი დამიცურდა და დავვარდი, ხელები გამეყინა, ცხვირზე ცივი წვინტლი მომადგა. მაგრამ სხვა გზა არ იყო, ბიძაჩემის სახლი აღმართის ბოლოშია და ვაწვებოდი მეც მარტო ახალი წლის დილას. ხუთ საათზე ამ შინდისფერ ფარშევანგს ჩაძინებულ, გაყინულ თელავში — თითქოს სიზიფე მიათრევდა თავის ქვას მოთხილამურეთა ტრამპლინის წვერისკენ.

ბიძაჩემის სახლის მაღალი ხის ალაყაფთან რომ გავჩერდით, ძლივსღა ვსუნთქავდი, წვივის კუნთები დაძაბულობისგან კუნძებივით მქონდა დამძიმებული და გახევებული და შუბლიდან წურწურით ჩამომდიოდა ოფლი.

გადმოვიდა გიუნა მანქანიდან, დასვენებული, გახარებული. იღიმოდა, ღრმად ისუნთქავდა ცივ ჰაერს. გადმოიღო თაიგული, მივიდა სახლთან და გაჩერდა.

კარი დაკეტილი იყო, ფანჯრებში შუქი არ ენთო, ყველას ეძინა. იდგა გიუნა, ცმუკავდა, ორჯერ მიაკაკუნა კარზე მორიდებულად ისე, რომ მე ძლივს გავიგე, მომიბრუნდა და მეუბნება: ალბათ, ძინავთ, სადმე აქ სასტუმრო იქნება და მოდი, იქ დავრჩეთ ღამეო!

და რო მოვაღე პირი და დავიწყე მამიდაჩემის და ბიძაჩემის სახელების ღრიალი: მეთქი გააღეთ, თორე კაცი შემომაკვდება! თან ვყვიროდი, თან ზარის ღილაკს არ ვუშვებდი თითს.

სამზარეულოში შუქი აინთო, იქიდან შუშაბანდში შავი ლანდი გამოსრიალდა, სახლის კარმა გაიჭრაჭუნა, ქვის ფილებზე ჩუსტები აფრატუნდა, მძიმედ გადაიწია ურდული, ალაყაფში დატანებული პატარა კარი გაიღო და მამიდაჩემის სახე გამოჩნდა.

შევედით — ბუხარი მინავლებული იყო, სუფრა ალაგებული, შუქი ჩამქრალი, მარტო კომპიუტერის და ტელევიზორის ეკრანი ციმციმებდა.

— გაგაღვიძეთ? — ვკითხე მამიდაჩემს და გაყინული, დაწითლებული ხელები მივაფიცხე ბუხარს.

— არა, მეგობარს ველაპარაკებოდი სკაიპით ამერიკაში, — მიპასუხა იმან, — როგორ ჩამოხვედით?

მოვუყევი ყველაფერი — გზა, აღმართი.

— მეც არ ვთქვი, ვინ არიან ეს გიჟები, ამ გამთენიას, ყინვაში მანქანას რო მოათრევენ, — გაეცინა მამიდაჩემს.

— შენ საიდანღა იცი? — თითები მოვხარე და ისევ გავშალე მე.

— ჩვენი ტელევიზიიდან, — ტელევიზორზე მანიშნა იმან.

მე და გიუნამ იქით გავიხედეთ, ეკრანზე მრგვალი მოედანი და სწორედ ის აღმართი მოჩანდა.

— ღამე ხო მაუწყებლობა არ გვაქვს და კამერები თელავის ცენტრს გვაჩვენებენ, — ამიხსნა მამიდაჩემმა და შუქი აანთო.

— ვა, ეს ვისია? — ვკითხე სიცილით და ტახტზე მიფენილ ორ შავ ჩოხაზე ვანიშნე.

— აა, ეეს, ირაკლისი და ანდროსი, — ჩოხებს ხელი დაავლო, ფაქიზად გადაკეცა და კარადაში შეაწყო მამიდაჩემმა, — ამით შეხვდნენ ახალ წელს და მთელი ღამე ეგრე დადიოდნენ ყველგან, სულ ნახევარი საათია, რაც დაწვნენ, მოიცა, გავაღვიძებ, — და ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხანში მეორე სართულიდან ხვნეშა, ხმადაბალი ლაპარაკი, ტანსაცმლის შრაშუნი მოგვესმა, რკინის ხვეულ კიბეზე მძიმედ აბრაგუნდნენ ნაბიჯები და ოთახში ბიძაჩემი შემოვიდა. შესიებულ, ჩაწითლებულ თვალებს ხელით იფშვნეტდა, ცდილობდა, არ დაემთქნარებინა, მაგრამ ჩვეული ღიმილი არ ჩანდა. მოგვესალმა, გადაგვკოცნა, დაბრძანდითო, კედელზე დაკიდებული საათისკენ გაექცა თვალი და ამ დროს შემოფარფატდა სოფოც.

— ვაიმეეეე! — დაიძახა გახარებულმა, სათითაოდ ჩაგვეხუტა და გაბრწყინებული თვალებით მიაცქერდა ოთახის შემოსასვლელში მეკვლესავით აყუდებულ უზარმაზარ თაიგულს.

— ნახე, რა მოგართვეს? — მამიდაჩემმა ღიმილით დაალაგა სუფრაზე თეფშები და ჭიქები.

— აუუუუ, ძაააან მაგარია! — სოფომ მუშტად შეკრული და იდაყვებში მოხრილი ხელები მიიტანა სახესთან და სიხარულისგან რამდენჯერმე შეარხია.

— უმაგრესი! — ცერად გავხედე ყვავილების ძნას.

ამასობაში ირაკლიც ჩამოვიდა, სუფრაც გაიშალა და დავსხედით. შეყვარებულები ერთმანეთს შესციცინებენ, ბიძაჩემმა ღვინო ჩამოგვისხა, აბა, დავილოცოთო. მოწყვიტა ამ იუდამ სატრფოს თვალი, ჩვენსკენ შემობრუნდა და უცებ არ დაარტყა — არ ვსვამო!

აუ, მეთქი, შენი...

ირაკლი თხუთმეტისაა, „რომეო“ არ სვამს, დავრჩით მე და ბიძაჩემი (რომელსაც აშკარად მაგრად ეძინება) ერთიერთზე.

უფლის სადღეგრძელო ჭიქით დავლიეთ და მერე ბიძაჩემის ვეება ხელში თიხის მუქი ჭინჭილა გაჩნდა. ღვინო წვრილად მოედინებოდა პატარა ხვრელიდან და ტყვიასავით ურტყამდა — პირდაპირ თავში. ექვსის ათი წუთი იყო.

როგორც იქნა, დავლიე და მომეშვა, მეგონა, ახლა მამიდაჩემს დაუძახებს და სასმისს გაატანს-მეთქი, მაგრამ ბიძაჩემმა მშვიდად ჩასჭიდა ხელი მაღალ გრაფინს, დახარა, ჭინჭილა ხელმეორედ აავსო, გადმომხედა და ახალი წლის სადღეგრძელო შესვა.

ახალ წელს ღამის ხუთ საათზე კაცს სახლში მიადექი, გააღვიძე, ლოგინიდან წამოაყენე, სუფრა გააშლევინე და როგორ გინდა, ახალი წლის სადღეგრძელო არ დალიო? ღვინო მოკლე-მოკლე ყლუპებად გადამდიოდა ყელში. ყოველი ყლუპის შემდეგ ხელახლა და ხელახლა ვაიმედებდი თავს, ერთიც და დამთავრდება, ერთიც და დამთავრდება-მეთქი.

ჭინჭილა გამოვცალე, ამოვაყირავე, დავფერთხე, ბიძაჩემს მივაწოდე და მაგიდას გადავხედე: გამოსახულება მდორედ, შენელებული კადრივით გადავიდა ნაჭრის გადასაფარებლიან სუფრაზე, თავში მორევივით დამიტრიალდა სიმძიმე.

და როდესაც დავინახე — ბიძაჩემმა მესამედ დახარა გრაფინი ჭინჭილაზე და ყვითელი სითხის წვრილი ტოტი თიხისფერ სასმისზე დაეკიდა, მივხვდი, მკლავდა და კედელზე დაკიდებულ საათს ავხედე, ექვსის ნახევარი ხდებოდა.

ფიქრში გადავისახე პირჯვარი, სასმისი მოვიყუდე, გამოვცალე და მერე აღარაფერი მახსოვს.

ფხაკუნმა გამაღვიძა, თავი ავწიე, თეთრ საბანში გახვეული ვიწექი ბუხრის წინ გრძელ ტახტზე, სავარძელზე ჩემი ტანსაცმელი ეყარა, ფანჯრებიდან დღის შუქი შემოდიოდა, ოთახში არავინ იყო.

„ბრახ!“ ხმაურით გაიღო დარაბა, მინაში ჩრდილმა გაიელვა და ჩემს საწოლში ვიღაც ჩახტა. წამოვჯექი, ლოგინში ბიძაჩემის ძმის ცოლი, ნანა ფართხალებდა.

— რას შვებით? რას კადრულობთ? — წავიჩურჩულე შეშინებულმა, ტახტის კუთხეში შევიჭყლიტე, როგორც მებადურმა ზღვაში ჩაგდებულ ბადეს, ისე მოვქაჩე საბანს, ფეხებქვეშ ამოვიკეცე და ნანას მივაჩერდი.

— ვინ... რა... — დაიბნა ნანა, — შენ აქ რა გინდა?

— სტუმრად ჩამოვედი, — ვუპასუხე და კიდევ უფრო მჭიდროდ შემოვიხვიე საბანი.

და ნანამ მიცნო.

— შენ ხარ, შვილო?! — გაეცინა, წამოდგა და სავარძელზე გადაჯდა, — სახლიდან არ მინდოდა შემოსვლა. ამბობენ, ახალი წლის გამთენიას არ შეიძლებაო, ჰოდა, ვიფიქრე, ფანჯრიდან გადავძვრები და ხინკალს გავუკეთებ-მეთქი.

ოხშივარავარდნილი დანაოჭებული ხინკლის ხსენებაზე მუცელი სასიამოვნოდ ამიბუყბუყდა.

— მაგრა კი შემაშინეთ, — ვთქვი და საბნიდან ხელები ამოვყავი.

ნანა სამზარეულოში შევიდა და როდესაც დანარჩენებმა გაიღვიძეს, ოთახში უკვე ტრიალებდა ხინკლის გემრიელი სუნი.

ჩამოვიდა მამიდაჩემი, სოფო, ირაკლი, გიუნა, ხელახლა გაიშალა სუფრა და გამოძინებულ და ძველებურად მოცინარ ბიძაჩემს ერთხელ არ მოუთხოვია განსხვავებული სასმისი, სულ კახურ თლილ ჭიქას ატრიალებდა ხელში, სუფრას ნელ-ნელა ემატებოდნენ ადამიანები და გიუნა ისევ არ სვამდა.

ოთხ საათზე სოფომ და გიუნამ მანქანამდე მიმათრიეს, ჩამდეს და წამოვედით. ერთადერთი, რაც კარგად მახსოვს, თოვლს დნობა დაეწყო.

როდესაც გამომეღვიძა, პატარძეულს გამოვცდენოდით.

— ნაბეღლავი! — ამოვიხრიალე როგორღაც.

გიუნამ ლილოს ბაზრობასთან დაამუხრუჭა, გადავიდა, ნაბეღლავი მიყიდა და მომაწოდა.

გავხსენი. ცცცცუუპ! — დაიძახა ღია მწვანე პლასტმასის ბოთლმა და სარკესავით გლუვი გამჭვირვალე სითხე წვრილად დაბუშტა უფერულმა პატარ-პატარა ბურთულებმა.

მოვიყუდე. გაზიანი წყალი შხუილით ჩამეღვარა პირში და ყელი გადამიკეტა.

— მაგარი ახალი წელი იყო, არა? — გიუნა საჭეს ატრიალებდა და ჩვენსკენ სწრაფად მოქროდა ქალაქი — ასფალტის ტრასა, მაღალი ბოძები, მოციმციმე შუქნიშნები, ჭუჭყიანი კორპუსები, ღამის შავი ცა.

— ყველაზე მაგარი, — მანქანის ჭერისკენ აღვაპყრე თვალები მე და ხელმეორედ მოვიყუდე ნაბეღლავი, — კიდე თუ იქნება სადმე ესეთი, არ გამომაპარო!

გიუნამ სახლთან ჩამომსვა. ეზოში შევედი, კიბეზე ავლასლასდი, გასაღები ამოვიღე, კარი გავაღე, შევედი, სახლში არავინ იყო, ტახტზე მივეგდე, ტელევიზორის პულტს დავუწყე ძებნა და ჯიბეში მობილური ამიწკრიალდა.

„ბებერო“ — დაიწერა ეკრანზე.

— გადმო, ყველანი პუშკინასთან ვართ, — მითხრა ბებერომ და მისი ხმა სანახევროდ ჩაინთქა ყაყანში.

— კარგი, — ვუპასუხე, გავუთიშე და კედელზე დაკიდებულ კალენდარს ავხედე.

ოდნავ გადღაბნილი ფოტო: ლოკომოტივის სტადიონის ხალხით გადაჭედილი ტრიბუნების ფონზე თეთრადშეღებილი, ოვალურთაღიანი გამოსასვლელიდან წითელ და ლურჯ ჯაჭვად გადაბმული საქართველოს და რუსეთის ნაკრები გამოდიოდა, გუნდებს წინ მოუძღოდნენ პატარა მორაგბეები, ხელში ჩაბღუჯული ხის მაღალტარიანი, მოფრიალე დროშებით. რუსების კაპიტანი დაკუნთულ ქერადდაბალნულ ხელებში ბღუჯავდა კაპს, წარბაწეული მამუკა გორგოძე მოედანს გაჰყურებდა, ვერცხლისფრად დაკბილული ბუცების ქვეშ, ღია მწვანე ველზე კი დღეები და რიცხვები ეწერა.

„Wed
ოთხ
1“

ამოვიკითხე მარცხენა კუთხეში მოქცეული პირველი წარწერა, ღრმად ამოვიოხრე, სხეულში ანკესის ტყვიასავით ჩამომეკიდა სიმძიმე და წამოვდექი — წინ კიდე რამდენი დღე იყო დასალევი?!

მეზღაპრე და ლამაზი ქალი

გურამ პეტრიაშვილი

იყო ერთი ჩუმი და მშვიდი კაცი.

დილით მიდიოდა სკოლაში, სადაც ბავშვებს ასწავლიდა წრეების, კვადრატებისა და პარალელეპიპედების ამბებს. მერე ბრუნდებოდა შინ, სახელდახელოდ ისადილებდა პურითა და ყველით და ჩაუჯდებოდა თავის მეორე მთავარ საქმეს.

მოკლედ, შუაღამემდე წერდა ლამაზ ზღაპრებს.

თვითონა ფიქრობდა, ლამაზ ზღაპრებსა ვწერო.

მართლაც ასე იყო? არ ვიცით, რადგან არავის წაეკითხა ის ზღაპრები.

არც აპირებდა, რომ როდისმე ვინმესთვის მიეცა წასაკითხად...

და ასე წყნარად მიდიოდა მისი ცხოვრება: შუადღემდე წრეები, კვადრატები და პარალელეპიპედები, შუადღის კი ზღაპრები...

ზღაპრებს აივანზე წერდა.

ამ აივნიდან თუ გაიხედავდი, დაინახავდი, რომ შორიახლოს ზღვა იყო. მაგრამ კაცი იქით არ იხედებოდა. მას, შეიძლება ითქვას, არ აინტერესებდა არც ზღვა და არც ხმელეთი.

ერთხელ კი აი, რა მოხდა:

ზღაპრის წერისას რომ ჩაფიქრდა, კაცმა ფურცელს კი არ დაუწყო ჩვეულებისამებრ ყურება, არამედ აივნიდან ქუჩაში გადაიხედა.

ბედად სწორედ ამ დროს ქუჩაში ძალიან ლამაზი ქალი მოდიოდა.

და მეზღაპრემ უნებლიეთ ამოიოხრა: „ლამაზო ქალო“-ო.

ეს ისე ჩუმადა თქვა, ვერც ის ქალი და ვერც ვინმე სხვა ამას ვერ გაიგონებდა.

რა უნდოდა ეთქვა ქალისთვის? რა წინადადების დასაწყისი იყო ეს „ლამაზო ქალო“?

ეს ჯერ თვითონაც არ იცოდა.

ლამაზმა ქალმა ჩაიარა და თვალს მიეფარა.

კაცს იმ დღეს აღარაფერი დაუწერია.

ზღვას უყურებდა...

და დროდადრო მისი ტუჩები თითქოს რაღაც მოძრაობის მსგავსს გამოსახავდნენ. ვინმე რომ დაჰკვირვებოდა, მიხვდებოდა, რომ კაცი უხმოდ ამბობდა: „ლამაზო ქალო“-ო...

დაღამდა და კაცი ისე შევიდა სახლში, რომ მაგიდაზე გაშლილი ფურცლები არ აულაგებია.

ტანთ გაიხადა, ჩაწვა საწოლში და საბანი წაიხურა.

იმავ წამს ჩაეძინა...

ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა.

დაუბერა ქარმა აივანზე დატოვებულ ზღაპრებს, ერთიანად წამოხვეტა და ცალ მხარეს გააქანა.

კაცს ეს არ გაუგია.

ეძინა ტკბილად.

უცებ ძილში ჩაესმა, რომ მის კარზე აბრახუნებდნენ.

ჩაყო ფეხები შარვალში, ხალათი შემოიცვა და კარისკენ გაემართა.

გააღო კარი.

იქ ვიღაც ბრაზიანი კაცი იდგა. მან ისე დაუწყო ლაპარაკი მეზღაპრეს, თითქოს ეს რამეში იყო დამნაშავე:

— ქარმა თქვენი აივნიდან მოიტაცა ქაღალდები? იცოდეთ, არ გაბედოთ და არ მომატყუოთ!

— რატომ უნდა მოგატყუოთ? – ვერ მიხვდა მეზღაპრე, – შემობრძანდით... მაპატიეთ, ვნახავ ჩემს ფურცლებს, – აივანზე გაიხედა და მიუბრუნდა ბრაზიანს, — დიახ, ქარს ჩემი ზღაპრები გაუტაცია...

— თქვენმა სულელურმა ქაღალდებმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს ქალბატონი ლილი, – შეუტია ბრაზიანმა.

— ო, რას ბრძანებთ, – გულწრფელად შეწუხდა მეზღაპრე, – ჩემმა ზღაპრებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს ვინმე? უკაცრავად, ვინაა ქალბატონი ლილი?

მოსული ისე საშინლად გაოცდა, რომ ერთხანს ბრაზიანი გამომეტყველებაც კი გაუქრა.

— რაო? ამ ქალაქში ცხოვრობთ და არ იცით, თუ ვინაა ქალბატონი ლილი?

მეზღაპრე კიდევ უფრო შეწუხდა:

— მაპატიეთ... და თუ შეუძლია, მაპატიოს ქალბატონმა ლილიმაც... ღმერთია მოწმე, არ მინდოდა, – ალუღლუღდა იგი.

— დიახ, თუ შეუძლია, რომ გაპატიოს, მაგრამ არა მგონია... – თქვა მოსულმა მკაცრად, – ქალბატონი ლილი ჩემი თეატრის მთავარი მსახიობია და მას დღეს რეპეტიცია ჩაეშალა!

— აუჰ, ღმერთო ძლიერო, ჩემმა ზღაპრებმა რეპეტიცია ჩაუშალეს მანდილოსანს? შეძრწუნებული მეზღაპრე ტანსაცმლის საკიდს ეცა და უცებ ჩაიცვა პალტო, – წავიდეთ, პირადად ვთხოვ პატიებას.

— პირადად არაა საჭირო, – მოსულმა თვითონაც ვერ გაიგო, თუ რატომ არ ინდომა, რომ მეზღაპრე პირადად შეხვედროდა ქალბატონ ლილის.

— იყავით სახლში! მე გადავცემ თქვენს ბოდიშებს, – მკაცრადვე დაამატა ნათქვამს.

— როგორ გეკადრებათ, ისაა... ბატონო... – ერთ წამს შეყოვნდა მეზღაპრე.

და ბრაზიანი მიხვდა, ჩემი სახელი აინტერესებსო.

— მე ვარ ბატონი ბართლომე – უთხრა ცივად.

— დიახ, ბატონო ბართლომე, როგორ გეკადრებათ, – უთხრა მეზღაპრემ და უცებ გამოიხურა კარი, – გთხოვთ, მაჩვენოთ ქალბატონი ლილი.

ბრაზიანს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, წინ წაუძღვა მეზღაპრეს.

დიდხანს არ მოუხდათ სიარული.

თურმე აქვე, ამ ქუჩის ბოლოს იყო ამ ბრაზიანი კაცის თეატრი. სულ ორი კვარტლის იქით. თეატრი კი ერქვა, მაგრამ ეს იყო უბრალოდ ღია ცისქვეშ შემორაგვული ფართობი, რომელზეც მაყურებლების სკამები იდგა. ხოლო ცენტრში, შემაღლებულზე, დიდი სცენა იყო.

ბრაზიანმა შემორაგვულის მძიმე კარი შეაღო და რაც შეიძლება ტრაგიკულად განუცხადა მეზღაპრეს:

— აი, დატკბით, რა საშინელება ჩაიდინეთ თქვენი სულელური ქაღალდებით...

შევიდა მეზღაპრე და სული შეუგუბდა... არა, არა... არა საშინელებამ, არამედ ნანახის სილამაზემ:

სცენაზე თეატრის მთელი დასი იდგა წრედ და აღტაცებული შესცქეროდნენ წრის შუაგულში მთავარი მსახიობი ქალის ირგვლივ როგორ ტრიალებდა ფურცლების მაღალი, შრიალა კორიანტელი.

მართლაც მშვენიერი სანახავი იყო.

კარგად რომ დააკვირდა, მეზღაპრემ კინაღამ გონი დაკარგა მღელვარებისაგან:

ეს სწორედ ის ქალი იყო, რომლის დანახვამაც მას ათქმევინა ოხვრასავით ჩუმი „ლამაზო ქალო“.

ქალს თვალები დაეხუჭა და ნეტარებით იღიმებოდა.

უცქეროდა გაოგნებული მეზღაპრე.

ცოტა ხანს კიდევ ტრიალებდა ფურცლების კორიანტელი და ქალს კალთებს უფრიალებდა, მერე კი, თითქოს მეზღაპრის მოსვლას ელოდაო, ქარი ჩადგა და ფურცლები წრედ დაიყარა ქალის ფეხებთან.

ბართლომემ თითი მიაშვირა მეზღაპრეს.

— შენმა ტუტუცურმა ქაღალდებმა რეპეტიცია ჩაუშალეს ქალბატონ ლილის და მთელ დასს. ხვდები შენი დანაშაულის სიმძიმეს?

ლამაზმა ქალმა თვალები გაახილა და ღიმილით უთხრა ბრაზიანს:

— აბა, რას ამბობთ, ბატონო ბართლომე, რა დანაშაულზე ლაპარაკობთ? რეპეტიცია ჩაგვეშალა? რა მოხდა მერე? ვინ გვიშლის ახლა რომ ჩავატაროთ? ეს ქარი სასწაულებრივი ქარი იყო და ბედნიერი ვარ, რომ ვიდექი ფურცლების კორიანტელში. იცით... როგორღაც შევიგრძენი, რაც ამ ფურცლებზე წერია... აი, თუნდაც ბოლო, დაუმთავრებელი ამბავი უსინათლო მევიოლინე ქალისა და სმენადაკარგული მხატვრისა, სულ ყვავილებს რომ ხატავდა. განა ვერ იგრძენით რა სილამაზეა? ვიოლინოს ჰანგებმა სული ჩაჰბერეს დახატულ ყვავილებს და მათ სურნელის ფრქვევა დაიწყეს... ვინატრებდი, რომ ქარს კვლავ მოეტანა ჩემთვის ასეთი ფურცლები...

— ჩვენც... ჩვენც ვინატრებდით! — ახმაურდნენ დასის წევრები.

ქალს ცრემლები მოერია, ჩაიმუხლა, წამოკრიფა სცენიდან ფურცლები და გულში ჩაიკრა.

მერე კი ხმამაღლა მიმართა მეზღაპრეს:

— გმადლობთ, გმადლობთ ძვირფასო მეზღაპრევ! გმადლობთ ლამაზი ზღაპრებისათვის.

პატარა კიბით სცენიდან ჩამოირბინა, მივიდა მეზღაპრესთან, დასტა გადასცა და ნაზად აკოცა ღაწვზე.

მეზღაპრემ ახლოდან რომ შეჰხედა ქალის ლამაზ კაბას, გაოცდა:

კაბაზე მისი ზღაპრები აღბეჭდილიყო!

და მის ცხოვრებაში რომ არ ჩაედინა, ისეთი საქციელი ჩაიდინა:

ხელი მოჰკიდა ხელზე და ხმამაღლა მიმართა ქალს:

„ლამაზო ქალო,
მორთული ხარ ჩემი ზღაპრებით“-ო.

აი, თურმე რატომ ამბობდა „ლამაზო ქალო“-ო, ალბათ გრძნობდა, რომ მის ზღაპრებს დაუკავშირდებოდა ეს ქალი.

და რაც ახლა თქვა, ეს ხომ ლექსი იყო.

ლექსი, მაგრამ დაუსრულებელი.

ეს ყველამ იგრძნო.

პირველ რიგში, თვით მეზღაპრემ.

და მას უცებ ალბათ გაახსენდა საღამოსპირს ზღვას რომ უცქეროდა და უცებ დაამთავრა ლექსი:

„როგორც ხომალდი
მორთულია თეთრი აფრებით“-ო.

და ლამაზმა ქალმა ერთხელაც აკოცა ღაწვზე.

ეს კი ვეღარ აიტანა ბრაზიანმა ბართლომემ და კისრისტეხით გაიქცა თეატრიდან.

მეორე დღეს კი მთელი ქალაქი: დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც ერთ ღამეში სიმღერად გადაქცეულ იმ ლექსსა ღიღინებდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეზღაპრეს მეცხრე კლასში წრეებისა და კვადრატების გაკვეთილიც კი ჩაეშალა: ერთ მოსწავლეს შეეშალა და იმის ნაცვლად, რომ ეთქვა „ჰიპოტენუზის კვადრატიო“, თქვა „ლამაზო ქალო“-ო. ჰოდა, მთელი კლასი აჰყვა სიმღერით.

მერე კი ვეღარ გაჩუმდნენ და მთელი სკოლაც აიყოლიეს...

ბართლომემ აღარ იცოდა, სად დაჰმალვოდა ამ სიმღერას.

მივიდა, მიუბრახუნა მეზღაპრეს კარზე და მიახალა:

— გააჩერე ეგ სიმღერა.

— როგორ გავაჩერო, — ჰკითხა იმან.

მართლაც, როგორ უნდა გააჩერო სიმღერა, თუკი ყველას სურს იმ სიმღერის მღერა?

— ეგ ჩემი საქმე არაა, – უთხრა ბართლომემ და წავიდა განრისხებული...

და მეორე დღეს, მეზღაპრე სკოლაში რომ მიდიოდა, ბუჩქებში ჩამჯდარმა ბართლომემ თოფი ესროლა.

მკერდში დაჭრილი დაეცა მეზღაპრე, მაგრამ მიწას შეეხო თუ არა, ბულბულად იქცა და ჰაერში აფრთხიალდა...

ქალაქში ხმა დაირხა, მეზღაპრე ბულბულად იქცა და ზღვისპირას ისე დაფრინავს, თითქოს ვიღაცას ელისო.

ეს ამბავი იმ ლამაზ ქალამდეც მივიდა და, თუმცა ბართლომე დაემუქრა, დასს დავშლი და თეატრს დავხურავ, თუ იმ სულელ ჩიტთან წახვალო, დილაადრიან გასწია ზღვისკენ.

ზღვის ნაპირზე რომ მივიდა, დაინახა, რომ ბულბული ტალღების თავზე დაფრინავდა და ქალი მიხვდა, რომ მასაც უხმობდა, ზღვაში შემოდიო.

ბართლომეც მოსულიყო ზღვასთან თავისი თოფით.

— არ შეხვიდე ზღვაში, თორემ მოგკლავ! — დაემუქრა იგი ქალს.

— ვერ მომკლავ! — მიუგო ქალმა და შეაბიჯა ზღვაში.

ალბათ უნდა დამეწერა „ზღვაზე შეაბიჯა“-მეთქი, რადგან ისე აბიჯებდა ტალღებზე, თითქოს სულაც აღარ ჰქონდა წონა.

ბართლომემ საშინლად დაიღრიალა სიმწრით და ზედიზედ ესროლა ქალს თოფი. ერთხელ და მეორედ...

ქალმა მოიხედა.

გაუღიმა ნაპირზე მოგროვილ დამწუხრებულ ადამიანებს და...

ალბათ უკვე მიხვდით, თუ როგორ დამთავრდა ის სროლები.

...და ქალი წერწეტა მაღალ, აფრიან ხომალდად იქცა, რომელსაც სულ ზევითა აფრაზე ბულბული ჩამოასკუპდა...

მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა...

თვალუწვდენელ ოკეანეებში დაცურავს აფრებიანი წერწეტა ხომალდი.

ქარი უბერავს აფრებს და სწრაფად მიაქანებს ტალღებზე.

ხომალდზე სულ მაღლა ზის ერთადერთი მგზავრი — ბულბული.

და გალობს, გალობს თავდავიწყებით.

თუმცა იქნებ ის მგზავრი კი არა – ხომალდის კაპიტანია.

სულ გალობს პაწია ჩიტუნა და იქნებ თავისი გალობით აძლევს ხომალდს ცურვის მიმართულებას.

და ახლა იმ ზღვისპირა ქალაქში ყველა მღერის ერთ სიმღერას, ძველის მსგავსს, მაგრამ ცოტა გადასხვაფერებულს:

ჰეი, ხომალდო
მორთული ხარ
თეთრი აფრებით,
როგორც ქალი
იყო მორთული
ნაზი ზღაპრებით...

ავტორმა, ცხადია, ისიც იცის, რომ არიან მკითხველები, რომლებიც ადვილად არ იჯერებენ სასწაულებს.

ასეთ მკითხველებს ამ ამბავისადმი ორი კითხვა აქვთ:

რატომ იქცა ხომალდად ლამაზი ქალი და როგორ იქცა მეზღაპრე ბულბულად.

გეტყვით, ბატონო.

სულ პაწაწინა გოგონა რომ იყო, მას შემდეგ ქალი ყოველდღე მიდიოდა ზღვასთან და ზღვისფერი თვალებით გასცქეროდა უკიდეგანო სივრცეს.

უცქეროდა ფართედ გახელილი თვალებით.

და მასში შემოდიოდა ის სილურჯე.

ავსებდა მის არსებას სივრცის წყურვილი...

ამიტომაც, როცა იგი მოკლა ბართლომემ, როგორც ადამიანი, იგი იქცა სივრცეებზე მარადიულ მონადირედ – აფრიან ხომალდად.

ხოლო რაც შეეხება ბულბულს...

აბა, სცადეთ და იმ მეზღაპრესავით იცხოვრეთ მთელი სიცოცხლე, მერე კი რომელიმე ბართლომეს შეაკალით თავი.

რა გასაკვირია, ამის შემდეგ თუ ბულბულად გადაიქცევით. განა, მანამდე კი თითქმის ბულბული არ იყავით იმ თქვენს ლამაზ სამყაროში, რომელიც სულ ბავშვებით, პარალელეპიპედებითა და ლამაზი ზღაპრებით იყო სავსე?

ფუზული ბაღდადელი

ლირიკული ლექსები

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსი მოჰამმად ფუზული (1494-1556) სამშობლოდან აყრილი და ბაღდადში გადახვეწილი ბაიათის აზერბაიჯანულ ტომს ეკუთვნოდა. იგი ავტორია თანაბარი წარმატებით შეთხზული შედევრებისა (ლექსებისა და პროზაული ძეგლების) სამ — არაბულ, სპარსულ და აზერბაიჯანულ — ენაზე. ალბათ შემოქმედების ასეთმა იშვიათმა თავისებურებამაც განაპირობა, რომ მას „აღმოსავლური პოეზიის მზე“ შეარქვეს.

ფუზულის, დიდ პოეტსა და პროზაიკოსს, ბედმა არგუნა ფასდაუდებელი წვლილის შეტანა აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. სამშობლოს მიერ ფუზულისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამოხატვის დასტურია ისიც, რომ აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქს მისი სახელი ეწოდება. წინამდებარე ლექსები სპარსულიდანაა თარგმნილი.

* * *

მარგალიტი, რასაც ქვეყნის
ადევს ფასი და სულ ედო,
ნაგავში რომ გადააგდო
და მყოვარჟამ მასში ეგდოს,
ის თავის ყადრს შეინახავს
(ძალგიძს, გუჯაბს[1] მისას ენდო);
კვლავ შეამკობს მეფის გვირგვინს,
ვით ამკობდა ის მას ერთ დროს.

* * *

სიყვარულმა ჭკვიან კაცთა
მარაქიდან გამაძევა
და გიჟებში დამსვა (შმაგზე
უფრო შმაგი ამაზე ვარ).
ისეც თარსი ეს სოფელი
გამიხადა უფრო ნავსი.
ნეტავ, ვინმეს თუ რგებია
ხვედრი ბედის ჩემის მსგავსი?!
ერთი სარფა კი მაქვს: ვერვინ
მგმობს, რომ მოთქმით ვიკლებ უბანს, —
ვეღარ მცნობენ (მიჯნურებს ხომ
სისხლის ცრემლი ღაწვებს უბანს!).
თაფლის ბაგეთ დავთმობ-მეთქი!
ვტრაბახობდი გუშინ ხვნეშით,
თურმე სად ხარ ჯერ! უეცრად
დღეს ლალის ტუჩთ მიგდეს ხელში.
მაგრამ კი ვერ დამიამა
გულის წყლული მისმა ბაგემ, —
ფარჰადი[2] რომ დაიდაგა,
მასზე უფრო დავიდაგე.
ჰე, ფუზული, გულში ცეცხლი
აზალიდან[3] დღემდე დაგრჩა.
ფუჭად ყვირი: მიშველეთო!
შენი შემწე არვინ არ ჩანს.

* * *

შენ, ვაეზო[4], სულ რომ გვლანძღავ
რინდთ[5] და სულ რომ გვგმობ და გვძრახავ;
ყველას დედაბუდიანად
რომ გვეძახი თულთ[6] და მსახვრალთ;
ხალხს აქეზებ, ჩვენთვის იწყონ
ხმლის ლესვა და ხანჯლის მახვა;
დადიხარ და ჩვენს მოქიშპედ
ეძებ შენებრ ბრიყვთ და ახვართ;
მიმბარზე[7] რომ ახვალ, ჩვენზე
ათასნაირ ტყუილს ჩმახავ;
კიცხავ მათ, ვინც ჩვენს მოსაშთობ
თოკს არ გრეხს და ძაფს არ ძახვავს.
ფრთხილად! ასე არხეინად
სულ ვერ ივლი, დღეს რომ დახვალ, —
კინჩხს მოიტეხ, ერთ დღესაც ქვას
ფეხს წამოჰკრავ, თორემ ნახავ!
მე, ფუზულის, შენთან ქიშპი
რად მჭირდება, შე ღვთის გლახავ, —
ხალხმა თვითონ კარგად იცის
შენი მნე და გულის ზრახვა.

* * *

დაქროლა სიომ, მაგრამ იმ ქორფა
ვარდის სურნელი კი არ მაყნოსა;
გულში ტკივილი არ გამიყუჩა,
არ გამიკარა ერთხელ ახლოსაც.
თავი კი იქო: მე ვარ, რაც ვარო! —
გვაუწყა მიჯნურთ, მის წინ მოკრებილთ.
ჩვენი ხილი კი ვერ დაამწიფა,
გამოაყარა მხოლოდ კოკრები.
მსურდა, სხვისთვისაც მეჩვენებინა
გული, რომელიც შენგან მებალთა,
მაგრამ ვერა და ვერ მოვიპოვე
ცრემლთაგან ჩემთა ამის ნებართვა.
ეგების-მეთქი ეს უძინარი, —
ვთქვი, — მოვატყუო თვალები წუთით!
თქვენც არ მომიკვდეთ! — აქაც ცრემლები
გადამეღობა ცხელი და მწუთხე.
რა სასოებით ველოდი შენთან
ტკბილად ცხოვრებას და შვებას მუდმივს,
მაგრამ, ვაი,რომ მწარე გამოდგა
კორომის შენის დანაკისკუდი[8]!
ფუზული, ფუჭად ნუღარ მოელი
აქ ნექტარის სმას და ყოფას ნეტარს, —
ხომ ნახე, ბედმა მისკენ სავალი
ყველა გზა როგორ გადაგიკეტა?!

* * *

როგორც კი ის ზილფი ვნახე
(გიხატავდა ყალმით სახეს),
რა დამსვამდა მშვიდად და მეც,
მგონი, თავიც გავიბახე.
შენმა ეშხმა გამახელა
და დამიგო ფეხქვეშ მახე
(თავს ვიმართლებ და ვპასუხობ
ჩემთ მკიცხველთ და ავის მზრახველთ).

შენი სახე არის, სხივით
ცის მნათობთ რომ უტეხს სახელს;
იგი არის, ვინც შუქს უდგამს
ჩვენს თვალთ, მთის და ბარის მლახველთ?!

* * *

რამ ამიჩქროლა ეს გული, ნეტა?
იმ ლერწმის წელის რწევათა ჭვრეტამ.
განა არ ვიცი, ღვინოსმულს შენთან
რომ მომაქვს თავი, ვიქცევი ცეტად!
მუხლებთან შენთა რომ ჩავიმუხლო,
დამატკბობს რამე მე უფრო მეტად?!
მე რა მომარჩენს? მხოლოდ თვალებით
ჩემით ფეხების შენის მტვერთ ხვეტა.

* * *

ლამაზ ქალთა ერთგულებას
შენ თუ ელი, ფუჭად ელი;
შენ რა, გინდა, მშვიდად იჯდე
სახლში მათგან განახელი?!
არაქველი ავის მქნელის
ხელით მუდამ ვნება გველის,
მაგრამ ქველთაც ნუ ენდობი! —
ფრთხილად, ზოგჯერ გიმტრობს ქველიც!

* * *

ისეთი დღე დადგეს, მინდა,
ნეტარებას ისეთს ვნატრობ,
მე და შენ რომ (მარტოთ!) ტვიის
ჩრდილს გვაფენდეს ტოტი და რტო.
გული ისე ამომიჯდეს,
ტრფობამ შენმა ისე მათროს,
ცრემლის ჩქერი რომ ვაჩქეფო
და მით კაბის კალთა ვალტო.
ახლომახლოარვინ ჩანდეს,
წალკოტი კი იყოს ფართო.
ჩვენ გვიკვირდეს: „ნუთუ ერთად,
ნუთუ მართლა ერთად ვართო?!“
თუ არადა, მართლა ერთად
ვიყოთ და მით გული ვართოთ;
მარტო ვიყო შენთან მე და
შენ რომ ჩემთან იყო მარტო!

* * *

მადლობა უფალს, ჩვენ იმდენად
იგი არ გვერჩის,
რომ გავეჩინეთ ან ცბიერი,
ანდა სულ ლენჩი!
არ ვართ შეიხი
და მზაკვრობა
რაა, არ ვიცით,
სიმართლე არის ყოფის ჩვენის
ძირი და ნერჩი.
ჩვენ არც თვალთმაქცი მწირი ვართ და
არც არვის არ ვმტრობთ,
არც ვმედიდურობთ და დაცინვით
ვერც ვერვინ ვერ გვსჯის;
თავში არც ავ ფიქრთ, არც მავნე აზრთ
არ ვატრიალებთ,
პირში ფუჭ სიტყვებს და ყალბ სიბრძნეს
ვერავინ ვერ გვჩრის.
ამ ქვეყანაზე ასეთები
მოვედით ერთ დროს
და წუთისოფელს, — რა ვქნათ? — დღემდე
ასეთნი შევრჩით.

თარგმნა მაგალი თოდუამ



1. გუჯაბი — წარმომავლობა; ჯიში.
2. ფარჰადი — ცნობილი აღმოსავლური მითოსის ტრაგიკული გმირი, რომელიც შეეწირა შირინის უიმედო სიყვარულს.
3. აზალი — ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფოსებს მარადისობა გაყოფილი ჰქონდათ ორ დროდ: დროდ დასაბამიდან აწმყომდე (აზალი) და დროდ აწმყოდან უკუნისამდე (აბადი).
4. ვაეზი — მუსლიმი ქადაგი.
5. რინდი — სუფიზმში (აღმოსავლური ნეოპლატონიზმი) განარჩევდნენ ორ დიდ სექტას: მისტიციზმსა და ასკეტიზმს. რინდი იყო თავისუფალი ყოფაქცევის მქონე გულადი პიროვნება, რომელიც გარეგნულად თავზეხელაღებული და დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულით კი უფალს მინდობილი მისტიკოსი იყო (შდრ.: „გარინდება“). ქართველი მემატიანე რინდად მოიხსენიებს ლაშა გიორგის (1192-1223). პროფ. ვალერიან გაბაშვილმა ცხადჰყო, რომ ამ ინსტიტუტს უკავშირდება ქართული ტერმინი „რაინდი“. ფუზული, ეტყობა, რინდთა სექტას მიეკუთვნებოდა.
6. თული — ყაჩაღი.
7. მიმბარი — თავისებური (საფეხურებიანი) კათედრა მეჩეთებში, რომელზედაც ჯდება ვაეზი (იხ.).
8. დანაკისკუდი — „ფინიკი; ხურმა“ (საბა).

პირველად ქართულ ენაზე

საქართველოს ფრანგულმა ინსტიტუტმა და გამომცემლობა „ელფმა“ ქართველ მკითხველს ცნობილი ფრანგი მწერალი, გონკურების აკადემიის პრემიის ლაურეატი ჟან რუო გააცნეს და ახალი საკითხავიც შესთავაზეს. ჟან რუო საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოვიდა, შეხვდა მკითხველს და წარადგინა ცნობილი რომანი „ღირსების ველები“, რომელიც დავით კახაბერმა თარგმნა. ფრანგი ავტორის თბილისური „ვოიაჟის“ რამდენიმე დღე ძალიან დატვირთული გამოდგა. შეხვედრები და წიგნის წარდგინება სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიმართა. ჟან რუოს მწერალთა სახლმაც უმასპინძლა.

„კათოლიკურ ეკლესიაში წირვაზე სახარების კითხვა ყოველთვის იწყება იესო ქრისტეს სიტყვებით: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ“. არ ვიცი ღვთისმსახურების ამ ნაწილში მართმადიდებლებთანაც თუ იგივე წესია. ამ სიტყვებს ვისმენთ ტაძარში, მაგრამ გარეთ სხვა სურათია — იქ სიტყვას ფასი არ აქვს. ბავშვობაში მახსოვს, იმ რეგიონში, სადაც გავიზარდე, ადამიანის ღირსება სწორედ სიტყვისკაცობა იყო. გარდაცვლილზე თუ იტყოდნენ, მართალი კაცი იყოო, ეს სახელი მისგან დატოვებულ ყოველგვარ სიმდიდრეს აღემატებოდა. როცა „ღირსების ველების“ წერა დავიწყე, ვიფიქრე, რომ აუცილებლად უნდა მესაუბრა რელიგიურ თემაზე — სიტყვასა და მის ფასზე, იმიტომ, რომ მე იმ გარემოში გავიზარდე, სადაც რელიგიას ადარებდნენ ოპიუმს ხალხისთვის, რელიგიურობა ჩამორჩენილობად და ობსკურანტიზმად აღიქმებოდა. მაშინ არც ტელევიზია იყო, არც რადიო, ჩვენ დავდიოდით ეკლესიაში და ჩემს წარმოსახვით სამყაროს მხოლოდ რელიგიური სურათ-ხატები, ის ტექსტები ასაზრდოებდა, წირვებზე რომ ვისმენდი, სახარებით აღვიქვამდი ცხოვრებას... სახარებაში ქრისტე ამბობს, „მე ვარ წყარო ცხოვრებისა“. ვინც ისრაელში ყოფილა, მკვდარი ზღვისკენ უმოგზაურია და ის ურწყული, უდაბური ადგილები უნახავს, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა ძალა ექნებოდა იმ გარემოში ნათქვამს — წყარო ვარო. ეს ნიშნავდა, რომ ის იყო სიცოცხლე. მაგრამ ძალიან უცნაურად ისმინებოდა იგივე სიტყვები ჩემს მშობლიურ მხარეში, მდინარე ლუარას ნაპირებზე, სადაც დღედაღამ წვიმდა...“

სწორედ წვიმით იწყება რომანი. და საერთოდ, ბავშვის თვალით დანახული და აღქმული ამბები კოკისპირული წვიმისა თუ დაუსრულებელი ჟინჟღვლის ფონზე ვითარდება. რომანის ერთ-ერთი მთავარი თემაა ომი. ავტორი ყვება ოჯახზე, რომელსაც პირველი და მეორე მსოფლიო ომები გამოვლილი აქვს და, მიუხედავად იმისა, რომ იქ იზრდებიან ბავშვები, რომელთაც ომი თვალით არ უნახავთ, ისინი იმ წარსულით დათრგუნვილი საზოგადოების წევრები არიან, ომით ნაკვებ გარემოში ცხოვრობენ.

მწერალს არაერთი კითხვა დაუსვეს მისი შემოქმედების გარშემო. კამათი მოჰყვა ერთ-ერთი მკითხველის რეპლიკასაც: „მაპატიეთ გულახდილობისთვის, მაგრამ ჩემი სუბიექტური შეხედულებაა და მინდა მოგახსენოთ: თანამედროვე ფრანგ მწერლებს რომ ვკითხულობ, მეჩვენება, რომ ჩვენ, ქართველი მკითხველები და თქვენ ძალიან ძნელად გავუგებთ ერთმანეთს, ხანდახან ისეთ თემებს აშუქებთ, რომ გული მომდის ხოლმე, ნუთუ სხვა საფიქრალი არა აქვთ-მეთქი. ჩვენ ისეთი პრობლემები გვაქვს, რომ ფრანგს გაუკვირდება. ეს სიუცხოვე აშკარაა ფრანგულ და ზოგადად, ევროპულ ტექსტებში“. რეპლიკას ხმაური მოჰყვა დარბაზში, უხერხულობა განმუხტა და შეხვედრა დააგვირგვინა მთარგმნელმა და ფრანგული ენის სპეციალისტმა დალი იაშვილმა: „ჟან რუო ძალიან დიდი მწერალია, ის არ წერს მხოლოდ სათავისოდ, არ გვთავაზობს მხოლოდ ფრანგებისთვის გასაგებ ტექსტებს, პირიქით, ცდილობს, შექმნას ნაწარმოები, რომელიც ერთნაირად გასაგები და ახლობელი იქნება, როგორც მისი თანამემამულეებისთვის, ისე უცხოელი მკითხველისთვისაც. ამაში დარწმუნდებით, თუკი გაეცნობით მის შემოქმედებას. მართალია, „ღირსების ველები“ ქართულად არ წამიკითხავს, მაგრამ არაერთი კომპეტენტური აზრი მომისმენია დავით კახაბერის მიერ შესრულებულ საუკეთესო თარგმანზე. ბატონი რუო ყვება ოჯახურ ისტორიას, ეს არის საგა, რომლის თემატიკა, პრობლემატიკა, ღირებულებები სცდება რუანის რეგიონის ვიწრო საზღვრებს და მოიცავს მთელ საფრანგეთს. საფრანგეთიდან კი მთელ მსოფლიოს ეხმიანება. რაც შეეხება რეპლიკას, თუ რაზე წერენ მწერლები, მე მგონი, ამ სახლში არ უნდა გვჭირდებოდეს ახსნა, თუ რა არის ლიტერატურა, ან რას ნიშნავს, იყო კარგი მწერალი“.

„ღირსების ველები“ ჟან რუოს პირველი რომანია და გამოცემისთანავე დიდი გამოუხმაურება მოჰყვა, როგორც მკითხველის, ისე კრიტიკოსთა მხრიდან. მას ბოლო ათწლეულის „ყველაზე გასაოცარი ლიტერატურული აღმოჩენა“ უწოდეს. შარშან პირველი მსოფლიო ომის 100 წლისთავთან დაკავშირებით საფრანგეთის მხარემ საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტს შესთავაზა, შეერჩია და გამოეცა ნაწარმოები, რომელიც ომის თემატიკაზე იქნებოდა. შეირჩა ჟან რუოს აღნიშნული რომანი. ქართველი მკითხველი ფრანგ ავტორს სწორედ „ღირსების ველებით“ გაიცნობს.

მოამზადა თამარ ჟურულმა

დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები

* * *

თავმოყვარე კაცმა ყველაფერი რომ იცოდეს, რასაც მასზე ამბობენ, შეიძლება თავიც მოიკლასო, გამიგონია. თანაც ბრძნული სახით ნათქვამი.

არადა, სისულელეა. უფრო ხშირად ავი გულითაც არ ყბედობენ. წაიჭორავებენ, წაიხალისებენ, დიდიც არაფერი. ენას ფხანა უყვარს.

მიტანილი ამბავი ბევრად მწარეა.

* * *

ადამიანი უზომოდ ცნობისმოყვარე არსებაა. თუ იმის უნარი ან საშუალება არა აქვს, ფართო თვალსაწიერი ჰქონდეს, დღიურ წვრილმანებში, სამეზობლო ჭორებშია გადავარდნილი.

ჭორის თვისება კი მოგეხსენებათ, როგორია. უცნობთა ამბები ნაკლებად აინტერესებს, თუ ძალიან სენსაციური არ არის. ის კი დიდი განხილვების საგანი ხდება ხოლმე, თუ მეზობელს კიბეზე ფეხი გადაუბრუნდა, ან, მით უმეტეს, თუ სტუმრად უცნობი ქალი ეწვია. აუცილებლად უნდა დადგინდეს იმ უცნობი ქალის მთელი ბიოგრაფია.

ამაზეა დამყარებული, ვთქვათ, ჰოლივუდის მსახიობთა სკანდალური ამბები, დიდწილად ჟურნალისტებისგან შეთხზული. ეს მსახიობები ხომ ახლო ნაცნობების რანგში გადიან.

ამასვე ემყარება ტელესერიალების წარმატება. მისი გმირები შინ გისახლდებიან, უახლოესი ნაცნობები ხდებიან, უკვე ყველაფერი გაინტერესებს მათი, სიჭკვიანეცა და სისულელეც, ესთეტიკურ განსჯაში აღარც შედიხარ, გინდ კიდევაც ხელგეწიფებოდეს.

ამასვე ხომ არ ემყარება რომანის უპირატესობა მოთხრობასთან? არადა, კარგ მოთხრობას რა სჯობია, ჩამოქნილს, ჩამოხვეწილს, სტრუქტურულად ერთიანს. მაგრამ არა, ადამიანებს ეზარებათ ყოველ ჯერზე ახალი გმირების გაცნობა და ახალ სიტუაციებში ჩაღრმავება.

თორემ, კაცმა რომ თქვას, რომანიც განა სხვა რა არის, თუ არა ერთ ან რამდენიმე მოქმედ პირზე ასხმული ნოველების კრებული, თავბოლომოკვეცილი, ათასი ზედმეტობით გაჯერებული?

* * *

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების ფრანგული რომანი არა მხოლოდ საფრანგეთში იყო პოპულარული, არამედ მნიშვნელოვან ექსპორტსაც წარმოადგენდა, საკმაოდ მომგებიანს. ფრანგული ენა იმ დროში მთელმა განათლებულმა ევროპამ, და არა მხოლოდ ევროპამ, იცოდა.

წიგნებს დადგენილი ფორმა და ზომა ჰქონდა. თუ რომანი დიდი მოცულობისა იყო, იმავე ფორმისა და ზომის ტომეულებად ნაწილდებოდა.

მიზეზს ახლახან მივხვდი საკუთარი გამოცდილებით, ბანალურია, მაგრამ გასაღიმარი: წამოწოლილზეც მარჯვე საკითხავი უნდა ყოფილიყო.

* * *

იოზეფ ჭ., ჩემი დაუწერელი მოთხრობის გმირი (პირველწყარო — კაფკას „პროცესი“), ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ თურმე დღეი პატარავდება.

ხვალ უფრო პატარაა, ზეგ — კიდევ უფრო პატარა, მაზეგ — კიდევ უფრო.

სიუჟეტი ჩემი არ არის, სხვამ მაჩუქა. ფინალზე ყოყმანობდა, ორი ვარიანტი შემომთავაზა:

იქნებ ბოლო-ბოლო ისე დაპატარავდეს, არსებობდეს და ვეღარავინ ხედავდეს?

ან იქნებ განუწყვეტლივ ვადიდ-ვაპატარავოთ, ვადიდ-ვაპატარავოთ, წრეზე დავატრიალოთ?

სათაური კი ჩემი შერჩეულია — „იოზეფ ჭ.“

* * *

ხალხური ლექსის შედევრული ხუმრობა, სავარაუდოდ იოზეფ ჭ.-ზე ნათქვამი:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მამხტარიყო,
სამი ჩიტის გული ჰქონდა,
ჩემი სადილ-სამხარ იყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში არ კმარიყო.

* * *

სილამაზის იდეალი მუდამ ერთია, თუ მართლა ეპოქების მიხედვით იცვლება?

— ტასო, რა ლამაზი ხარ! — ეუბნება წლინახევრის გოგონა უკვე შეღერებულ, მართლა ძალიან ლამაზ გოგოს. საკუთარი ყურით მაქვს მონასმენი.

საიდან? ვინ ასწავლა? რა გამოცდილებით შეიგრძნო?

სხვა ეპოქაში სხვაგვარად დაინახავდა?

* * *

ვარდის სილამაზე: ფერი, ფორმა, სურნელი.

საუკუნეზე მეტია, რაც ვარდის მეტაფორას პოეზიიდან აძევებენ ბანალურობის მომიზეზებით.

ზუსტად მაგდენივე ხანია, არაფერი გამოდის.

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

*

ლექსი შთამბეჭდავი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, იაფფასიან შთამბეჭდავობაზე არ არის ლაპარაკი. ანუ მე არ ვამბობ, რომ ის ყალბი მარგალიტი უნდა იყოს. მე ვამბობ, რომ ის მარგალიტი უნდა იყოს; ოღონდ მარგალიტი — აქ, ჩვენთან, და არა — ოკეანის ფსკერზე, შლამში ჩაფლული. თუ მაინცდამაინც ხელის ხლება და ამოტანა არ გინდა, მაშინ მკითხველი უნდა ჩაიყვანო იქ და ასე აჩვენო...

*

ახლა რომ კაცმა „ვეფხისტყაოსანი“ დაწეროს, ნუთუ ქვეყანა ილაპარაკებს?

იმიტომ კი არ ვამბობ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დამწერ კაცს სჭირდება, მასზე ქვეყანამ ილაპარაკოს. უბრალოდ, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა იმხელა საქმე უნდა იყოს, რომ მასზე ქვეყანამ ილაპარაკოს.

*

იმედია, მეგობრების ნაწილი მაინც ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევს, ანუ მათ არასოდეს დავკარგავ.

*

რა კარგია ახალგაზრდობა — იმედგაცრუებებისთვის გცალია.

*

რომ არა ადამიანი-ურჩხულები, ბოროტი და სასტიკი ადამიანები, ზოგადად ადამიანის მიერ გამოვლინებული საშინელი თვისებები და დატრიალებული საშინელი ამბები, მართლაც, რა გულის მომკვლელად სევდიანი ამბავი იქნებოდა ამბავი ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილისა.

*

მკვდრები მართლა რომ გვხედავდნენ... რა სირცხვილია!

*

ადრეულ ბავშვობაში ვიმედოვნებდი, რომ ვიდრე დავბერდებოდი, უკვდავების წამალს გამოიგონებდნენ.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მას შემდეგ, უკვდავების წამალი კი არა, ვერაფერი გამოიგონეს.

*

არც ერთი წამი არ არის დაკარგული და ყველაფერი სასარგებლო გამოცდილებაა, თუკი უკვდავი ხარ.

მაგრამ — ამ გადასახედიდან, სამწუხაროდ — ეს ასე არ არის.

*

ცოცხალი ხომ თითქოს რაღაცით ვალში ხარ მკვდრებთან — შენი ასაკის მკვდრებთან მაინც, მით უფრო — უმცროსებთან. ვალში ხარ, თუ მათთან დამნაშავედ გრძნობ თავს, რაღაც ასე. თან თავსაც ვერ ირწმუნებ, რომ ეს უსაფუძვლოდ გეჩვენება, რომ ილუზიაა.

ესეც ხელს უშლის სიცოცხლით ტკბობას, სიცოცხლით სიხარულს, საკუთარი სიცოცხლისთვის მადლიერების განცდას.

რაკი მადლიერების განცდასაც სწორედ ის უნდა იწვევდეს, რაც უფრო ზემოთ ხსენებულ დანაშაულის გრძნობას იწვევს.

*

ენერგია არ იკარგება, საერთო მასა მუდმივია, მოსახლეობის რიცხვი კი იზრდება. თუ დავუშვებთ, რომ ასევე იზრდება, ზოგადად, სულიერი არსებების ოდენობა, რა გამოდის: დედამიწა თანდათან ცოცხლდება?

თუ ამას სწორედ ის აბალანსებს, რომ არაადამიანი სულიერი არსებების ოდენობის ზრდის დაშვება არასწორია და ეს პირიქით ხდება?

*

მასწავლებელი გვეუბნებოდა:

ყველას გაინტერესებთ — რატომ ვდგავართ მიწაზე, რატომ ზევით, ჰაერში არ ვფარფატებთ... ამ დროს, ეს სულაც არ გვაინტერესებდა — იმიტომ, რომ სხვანაირად ვერც წარმოგვედგინა. არც გვეგონა, თუ ამისთვის რაიმე — ვთქვათ, მიზიდულობის ძალა — იყო საჭირო.

ასეთივე მიმართება მქონდა სიკეთესთან, არა კაც კლასთან მიმართებაში...

*

რასაც ქრისტემდელები სჩადიან ბიბლიაში, ყოველივე იმის შემდეგ ქრისტე, მართლაც, ღმერთია.

ერთი კია: ისინი (ქრისტემდელები) ზოგ „ისეთ“ რამეს ღმერთის ნებართვით ან სულაც ნებით სჩადიან...

დრამატურგი

დავით გაბუნია

დავით გაბუნია ახალგაზრდა დრამატურგი და მთარგმნელია. 2003 წლიდან მისი რეცენზიები და თარგმანები ლიტერატურულ პერიოდიკაში იბეჭდება. გადმოქართულებული აქვს ავგუსტ სტრინდბერგის, ჰენრიკ იბსენის, შექსპირის, ასევე თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებები. თუმცა მის ორიგინალურ ტექსტებს მკითხველი უფრო ადრეც იცნობდა. როგორც ავტორი, დრამატურგიაში 2008 წლიდან მუშაობს. პირველივე პიესით — „ჩემი საქორწინო კაბა“ — გაიმარჯვა სამეფო უბნის თეატრის ფესტივალზე RDIfest და ერთი წლის შემდეგ იმავე თეატრის სცენაზე რეჟისორმა დათა თავაძემ მისი პირველი პიესა „სხვისი შვილები“ დადგა, მოგვიანებით კი რეჟისორმა მიხეილ ჩარკვიანმა „ბეჩავი“ განახორციელა. დავით გაბუნიას პიესებს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში, ასევე, ფოთისა და ბათუმის დრამატულ თეატრებში თამაშობენ. „სხვისი შვილების“, „ბეჩავის“, „ტროელი ქალების“, „საპნის ოპუსის“ გარდა, სხვადასხვა სცენაზე აქტიურად იდგმება მის მიერ თარგმნილი პიესებიც: პენელოპა სკინერის „ბრმა ფერი“, ავგუსტ სტრინდბერგის „ფრეკენ ჟული“, რაინერ ვერნერ ფასბინდერის „კატცელმახერი“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებები“, ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“...

2010 წელს, როგორც დრამატურგმა, ლონდონის ნაციონალურ თეატრში გაიარა სტაჟირება. თანამშრომლობს ბრიტანულ, შვედურ, გერმანულ თეატრებთან. 2012-2013 წლებში ზედიზედ გადაეცა დამოუკიდებელი თეატრალური პრემია „დურუჯი“ წლის საუკეთესო პიესისათვის, 2012 წელს არაერთი თეატრალური ჯილდოს მფლობელი გახდა პიესისთვის „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“.

დავით გაბუნიას შეხვდებით ლიტერატურული კონკურსების ფინალისტებს შორისაც. მის მიერ გამოცემული სამი წიგნიდან, პირველი ორი — „სხვისი შვილები“ და „საპნის ოპუსი“ (გამომცემლობა „სიესტა“) — „საბას“ შორთ ლისტში მოხვდა, შარშან კი „დიოგენეს“ მიერ გამოცემულმა მესამე კრებულმა — „პიესები“ — „საბას“ ლაურეატობა მოუტანა ავტორს.

2013 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა ავგუსტ სტრინდბერგის „რომანი და პიესები“, რომლის თარგმანზეც ბაკურ სულაკაურთან და ლიკა ჩაფიძესთან ერთად დავით გაბუნიაც მუშაობდა.

დავითთან შეხვედრა ადრე დაიგეგმა „ლიტერატურულ გაზეთში“, თუმცა მას გარკვეული ხნით შვედეთში გამგზავრება მოუწია. საუბარიც სწორედ ამ თემით იწყება.

„მთავარი არის ტექსტი“

— ახლახან დაბრუნდით შვედეთიდან, სადაც რეჟისორ დათა თავაძესთან ერთად იმყოფებოდით. შეხვდით გეტებორგის მუსიკისა და დრამის აკადემიის სტუდენტებს და თქვენი გამოცდილება გაუზარეთ. მაინც, რა სახის ვორქშოფი იყო?

— ვორქშოფის თემა იყო „ტროელი ქალები“ — სპექტაკლი, რომელიც ჩვენთან 2013 წელს დაიდგა და რომლის პრემიერა გაიმართა შვედეთში, შვედური თეატრის ბიენალეზე. დადგმას მოჰყვა დიდი გამოხმაურება, დაიწერა რეცენზიები. მაყურებელი დიდად დაინტერესდა და დამატებითი სპექტაკლებიც კი დაინიშნა. სწორედ მაშინ გაჩნდა თბილისის სამეფო უბნის თეატრისა და გეტებორგის აკადემიის თანამშრომლობის იდეა. ჯერ იქაური სტუდენტები ჩამოვიდნენ პედაგოგთან ერთად, ახლა ჩვენ ვიყავით იქ.

„ტროელი ქალები“ დოკუმენტური სპექტაკლია, ეხება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის ომების ამბებს და მთლიანად აგებულია ნარატივზე — ომგამოვლილი ქალები ნამდვილ ამბებს ყვებიან. მათი ინტერვიუები სტილის შეუცვლელად გადავიტანეთ სპექტაკლში. თუ როგორ იდგმება სცენაზე დოკუმენტური მასალა და როგორ უნდა ითამაშოს მსახიობმა ამ ტიპის დადგმაში — ეს იყო ჩვენი შეხვედრის თემა.

— შემოქმედებითი კავშირები გაქვთ შვედეთის, ინგლისისა და გერმანიის თეატრებთან, ვიცი, რომ თქვენი ერთ-ერთი პიესა თარგმნილიც არის ინგლისურ ენაზე.

— ლონდონის როიალ ქორთ თეატრმა საქართველოსა და უკრაინაში გამართა ვორქშოფი, რომელშიც 7 ქართველი და 7 უკრაინელი დრამატურგი მონაწილეობდა. ვორქშოფი პიესის განვითარებას ეხებოდა. იგულისხმება პიესის შექმნის ყველა ეტაპი — დაწყება, განვითარება, მეორე-მესამე ვერსია. ქართული პიესები, რომელიც პროექტის ფარგლებში დაიწერა, ინგლისურად თარგმნა დონალდ რეიფილდმა. ჩემი პიესა ფრანგულ და რუსულ ენებზეც არის თარგმნილი, მაგრამ საზღვარგარეთ ჯერ არ დადგმულა.

— პიესის ვერსიები ახსენეთ. ასე მუშაობენ დრამატურგები? ერთ პიესას რამდენიმე ვარიანტად ამუშავებენ?

— ჩვენთან პიესები ასე არ იწერება, თუმცა, ზოგადად, დრამატურგიაში მიღებული პრაქტიკაა. და იგულისხმება, რომ თეატრში, რომელიც თანამშრომლობს ახალგაზრდა, და არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ უფროსი თაობის ცნობილ ავტორებთანაც, იდგმება არაერთხელ გადამუშავებული პიესები. იქ ძალიან ძლიერია ეგრეთ წოდებული ლიტნაწილი. ლიტერატურულ მხარეს დიდი ყურადღება ეთმობა. ინგლისში განსაკუთრებით ბევრს მუშაობენ ვერსიებზე და ხშირად სცენაზე პიესის მუხეთე, მეექვსე, მეშვიდე ვერსია გააქვთ.



— თეატრის ლიტნაწილი რა დონეზე მონაწილეობს ტექსტის გადამუშავებაში?

— ცხადია, გააჩნია ავტორს. თუმცა ტომ სტოპარდსაც კი უსწორებენ ხოლმე ნამუშევარს. ცხადია, ახალგაზრდების პიესებს უფრო მეტად სჭირდება ჩარევა, თუმცა, როგორც გითხარით, ჩვეულებრივ, სტოპარდის, ჩერჩილის და სხვა დიდი ავტორების პიესებიც კი გადის ამ პროცესს. მიღებული გამოცდილებაა და არც არავის სწყინს.

— თქვენ წარმოადგენთ სამეფო უბნის თეატრის ლიტნაწილს. რა ფუნქცია აქვს ჩვენთან ამ ინსტიტუტს?

— მაგალითად, დიდ თეატრებში ლიტნაწილი შემოიფარგლება, ძირითადად, თარგმანების ადაპტირებით, გადამუშავებით. ამაზე მუშაობს არა ჯგუფი, როგორც საზღვარგარეთის თეატრების ლიტერატურული ნაწილების უმეტეს შემთხვევაში — არამედ ერთი ადამიანი. ჩვენთან ამ ინსტიტუტის ყველაზე ცნობილი წამომადგენელია ლილი ფოფხაძე, რომელიც წლების განმავლობაში ამუშავებდა ტექსტებს რობერტ სტურუას სპექტაკლებისთვის.

ინგლისში ლიტნაწილი არ გულისხმობს მხოლოდ რედაქტირებას. იქ ტექსტებში ერევიან. ძალიან ბევრი პიესა იწერება და შერჩევა რთულია. შემოსული ტექსტების კითხვა, რეპერტუარის პრინციპზე შეთანხმება, შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია თეატრისთვის, სწორედ ამაზე მუშაობს უცხოური თეატრების ლიტნაწილი.

— თქვენ გაიარეთ სტაჟირება ლონდონის ნაციონალურ თეატრში. მაინტერესებს განსხვავებები, იქაურ ტრადიციასა და ჩვენს, შედარებით ახალგაზრდა, თეატრსა და დრამატურგიას შორის.

— ძალიან დიდი განსხვავებაა, თუნდაც მასშტაბებში. ლონდონში ძალიან ბევრი, სრულებით სხვადასხვანაირი თეატრია, მათ შორის, მაგალითად, ხუთია ისეთი თეატრი, მხოლოდ თანამედროვე ბრიტანულ დრამატურგიაზე რომ მუშაობს. მაყურებელი ყველა თეატრს ბევრი ჰყავს. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ის არის, რომ ბრიტანულ თეატრში მთავარი არის ტექსტი. ტექსტი და არავითარ შემთხვევაში რეჟისურა. ვთქვათ, ლონდონის ნაციონალური თეატრის რომელიმე სპექტაკლის აფიშაზე შეიძლება ამოიკითხოთ შემდეგი: ალან ბენეტი, ესა და ეს პიესა, ხოლო რეჟისორი არც იყოს მითითებული, ან — ეწეროს პატარა შრიფტით. ტექსტი არის სპექტაკლის უმთავრესი ღირებულება და მაყურებელიც, როგორც დავაკვირდი, დიდი ყურადღებით ისმენს მას. თუ ის ამა თუ იმ ნიშნით საინტერესოა, მაშინ სპექტაკლი, საშუალო ხარისხის დადგმაც რომ იყოს, ხიბლავს, როგორც კრიტიკოსებს, ასევე — მაყურებელს.

— როგორი ტიპის ტექსტებია?

— ყველანაირი. ყოფითი, ყოვლად ტრადიციული სიუჟეტებით დაწყებული, მარტინ კრიმპის აბსურდით დამთავრებული. კრიმპი ჩემი საყვარელი ავტორია. მისი თხრობის არეულ-დარეული, ექსპერიმენტული სტრუქტურა მიყვარს, თუმცა მისნაირი დრამატურგები გამონაკლისები არიან. თანამედროვე ბრიტანული დრამატურგია ძალიან ჭრელია. ლონდონის თეატრებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ენის სიზუსტეს. მათი პერსონაჟები ხასიათდებიან იმით, თუ რამდენად ბუნებრივად ლაპარაკობენ ისინი, რა აქცენტები, რომელი დიალექტები იკითხება მათ მეტყველებაში.

ბოლო დროის რამდენიმე სუპერწარმატებული პიესა მახსენდება, რომელიც წავიკითხე, ზოგიერთი ვნახე კიდეც სცენაზე და მიუხედავად იმისა, რომ ენა კარგად ვიცი და მთარგმნელი ვარ, ის მშობლიური ენა მაინც არ არის ჩემთვის. ამიტომ, მართალი გითხრათ, ბოლომდე ვერც კი მივხვდი იმ სპექტაკლების ასეთი წარმატების მიზეზს.

ქართული და უცხოური თეატრების მეორე განმასხვავებელი ნიშანია პიესების თემატიკა და აქტუალურობა. არ მახსენდება ძალიან წარმატებული პიესა თუ სპექტაკლი, რომელიც აქტუალობის მიღმა იქნებოდა და თავისთვის იტივტივებდა სადღაც, ლიტერატურულ სივრცეში. ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური თემები. ირჩევენ პოლიტიკურ, ეკოლოგიურ თემატიკასაც, მაგრამ სოციალური პრობლემატიკა, რაღაც დოზით მაინც, ყველგან იკითხება.

საშურია, როგორც ვთქვით, მათი უნარი, იმუშაონ ტექსტებზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რამდენად დიდია კონკურენცია დრამატურგებს შორის — ასეულობით ავტორი წერს პიესებს და იდგმება სცენაზე — ტექსტების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება გასაკვირი არ იქნება. ძალიან რთულია, გახდე ცნობილი დრამატურგი ბრიტანეთში. დარგის განვითარებას კონკურენციაც უწყობს ხელს და ის ინსტიტუციებიც, სახელმწიფოსგან რომ ფინანსდებიან. სახელმწიფო თეატრები, მათ შორის როიალ ქორთი, მუშაობენ იმაზე, რომ ხელი შეუწყონ თანამედროვე ბრიტანულ დრამატურგიას, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ახალგაზრდა ავტორებთან, ათასგვარ ვორქშოფს ატარებენ მათთვის, სხვადასხვა პროექტს ახორციელებენ, სტიპენდიებს აწესებენ. შედეგი კი ის არის, რომ ყოველწლიურად დაწერილი სამასი პიესიდან ხუთი მაინც ძალიან კარგი გამოდის. ახლა, რით განსხვავდება იქაური ვითარება ქართული თეატრის დღევანდელობისგან? ყველაფრით.

— ლონდონის ნაციონალურ თეატრში სტაჟირების გავლა, მით უფრო ამგვარი სხვაობის ფონზე, ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის.

— არა მხოლოდ ბრიტანულ, არამედ გერმანულ და შვედურ თეატრებთან ურთიერთობაც უმნიშვნელოვანესია ჩემთვის და — მხოლოდ დრამატურგიაზე რომ ვილაპარაკოთ — დიდი გამოცდილება შემძინა. ერთი ავტორის წაკითხვაც კი, რომელიც სხვა ფორმებს ფლობს, სხვანაირად წერს იმ თემებზე, რომელიც შენც გაწუხებს, ძალიან აფართოვებს თვალსაწიერს. კარგია შექსპირის, ჩეხოვის, იბსენის შემოქმედების ცოდნა, ამის გარეშე საფუძველი არ აქვს ადამიანს და განათლებულს ვერ უწოდებ, მაგრამ იმისთვის, რომ თანამედროვე დრამატურგი იყო, აუცილებელია, იცოდე, რა იწერება და რა იდგმება დღეს მსოფლიოში. ამის შესაძლებლობა საქართველოში ნაკლებად არის. მოგეხსენებათ, თითქმის არ ითარგმნება პიესები. სხვა ჟანრის მწერლებს საშუალება აქვთ, იცოდნენ რა ლიტერატურული პროცესებია საზღვარგარეთ, იკითხონ რომანები და გარკვეული გამოცდილება შეიძინონ, თანამედროვე პიესებთან წვდომა კი გაცილებით ნაკლებია. ამასთან, დიდი ხანია, დრამატურგია აღარ ისწავლება თეატრისა და კინოს უნივერისიტეტში. ამ ფონზე საზღვარგარეთ გასვლა, რაღაცების ნახვა, გაცნობა და ბევრი კითხვა უმნიშვნელოვანესია ავტორისთვის, რომელიც ჩვენთან პროფესიულ ცოდნას ვერ იღებს და, ფაქტიურად, თვითგანათლებაზე, თვალსაწიერის გაფართოებაზე ზრუნავს. მახსოვს, პინტერის „ღალატი“ რომ წავიკითხე, თავდაყირა დამიდგა შეხედულება სტრუქტურაზე. აღმოვაჩინე, რომ თურმე შეიძლება სიუჟეტი არალინეარულად განავითარო, დროში ნახტომები გააკეთო და ამან იმუშაოს. ასეა სხვა დრამატურგების შემთხვევაშიც, ისინი გიჩვენებენ ახალ ფორმებს, ტექნიკას, გამოცდილებას გიზიარებენ ტექსტებით და ხვდები, რომ აი, ასეც შეიძლება წერო.

— წერა თავიდანვე პიესებით დაიწყეთ?

— თავიდან ლექსებით დავიწყე, რამდენიმე ლექსი „ალტერნატივაში“ დაიბეჭდა, სხვა პერიოდულ გამოცემებშიც, მაგრამ პოეზიით გატაცება საყმაწვილო სენი უფრო იყო და მალე გაიარა. პროზაშიც მქონდა მცდელობები, მოთხრობები ქვეყნდებოდა კიდეც პერიოდიკაში, მაგრამ წიგნამდე არ მისულა საქმე და ეს ძალიან კარგია, რადგან ახალგაზრდა ავტორთა უმეტესობისგან განსხვავებით, მიმაჩნდა, რომ რასაც დაწერ, მითუმეტეს „შემოქმედების“ პირველ ეტაპზე — შემოქმედება აუცილებლად ბრჭყალებში — ყველაფერი უმალვე წიგნად არ უნდა აქციო. ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნება კი, პირიქით, კარგიც არის იმ თვალსაზრისით, რომ შეფასებას, კრიტიკულ აზრს ისმენ. ეს ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია, საფუძველია შემდგომი, უფრო სერიოზული მუშაობისთვის. ილიას უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის

ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ძალიან ბევრს ვთარგმნიდი, განსაკუთრებით — პოეზიას. ერთხანს ბიტნიკებით ვიყავი გატაცებული, მათ შორის ალენ გინსბერგით. მაინტერესებდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკული პოეზია. ვცდილობდი კლასიკოსი ავტორების თარგმნასაც. პარალელურად კრიტიკულ წერილებს ვაქვეყნებდი აქა-იქ. მოგვიანებით პროზის გადმოქართულება დავიწყე, მათ შორის პიესებისაც.

ორიგინალურ დრამატურგიამდე კი მოგვიანებით მივედი, 2008 წელს.

— სამეფო უბნის თეატრთან როდიდან თანამშრომლობთ?

— სამეფო უბნის თეატრში მისვლა სწორედ ჩემ პირველ პიესას უკავშირდება. 2008 წელს თეატრმა გამართა მოკლე პიესების ფესტივალი. უნდა დაგეწერა ტექსტი 25-წუთიანი სპექტაკლისათვის. ჩემმა პიესამ გაიმარჯვა. მაშინ მონაწილეობაც კი მივიღე, როგორც მსახიობმა იმ პიესის დადგმაში, ერთ-ერთმა მსახიობმა რაღაც კონფლიქტის გამო უარი თქვა თამაშზე და მის ნაცვლად მე აღმოვჩნდი სცენაზე. მართალია, მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ჯილდო არ მერგო, მაგრამ დამაჯილდოვეს, როგორც პიესის ავტორი, მთავარი პრიზი კი ასეთი იყო — გამარჯვებულს უნდა დაეწერა სხვა, უკვე ვრცელი პიესა, რომელიც იმავე თეატრის სცენაზე დაიდგმებოდა. მაშინ დავწერე „სხვისი შვილები“, ჩემი პირველი დიდი ნამუშევარი, რომელიც 2009 წელს დადგა დათა თავაძემ. ასე დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა, შეიკრა შემოქმედებითი გუნდი და დღემდე ერთად ვმუშაობთ. მგონი, ჩვენი თეატრი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ფიქრობს რეპერტუარზე, მისი შერჩევისას აუცილებლად იცავს გარკვეულ მოთხოვნებს.

— რა კრიტერიუმით არჩევთ პიესებს რეპერტუარისთვის?

— უპირველესად, გვაინტერესებს პიესები — როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე — რომლებიც ქართულ სცენაზე ჯერ არ დადგმულა. ამას მხოლოდ პრეტენზიული განაცხადის სახე რომ არ ჰქონდეს, ძალიან მნიშვნელოვანია, რეჟისორისგან მოვისმინოთ ხოლმე არგუმენტირებული პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ირჩევს ამა თუ იმ მასალას და არა, ვთქვათ, სხვას რომელიმეს, რატომ უნდა მისი განხორციელება, სწორედ დღეს ქართულ თეატრში. „რა ვიცი, მომწონს“, — ცხადია, პასუხად არ მიიღება.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დამოკიდებულება ტექსტთან, შესაბამისად სამეფო უბნის თეატრს რეჟისორისა და დრამატურგის ერთობლივი მუშაობის გამოცდილება აქვს. სხვა თეატრებში ეს პრაქტიკა ნაკლებად არის. არადა, თანამშრომლობა აუცილებელია. დარამატურგმა ხშირად არ იცის, რა სჭირდება სცენას, პროფესიულ განათლებას, როგორც ვთქვი, საქართველოში ის ვერ იღებს და თეატრში მოდის სუფთა ლიტერატურული გამოცდილებით, ამიტომაც ბევრია ისეთი ტექსტი, რომელსაც ვერცერთი მსახიობი ბუნებრივად ვერ იტყვის სცენიდან. ცხადია, ვგულისხმობ ისეთ დადგმებს, სადაც სწორედ ბუნებრივობაა საჭირო და არა გამიზნული სიყალბე. იმისთვის, რომ დრამატურგმა იგრძნოს სცენა და გაიგოს, თუ როგორ მუშაობს სიტყვა სცენაზე, საჭიროა დასწრება რეპეტიციებზე, თანამშრომლობა რეჟისორთან.

რეჟისორებიც, თავის მხრივ, ტექსტის მიმართ პატივისცემით თუ კულტურული დამოკიდებულებით არ გამოირჩევიან, სიუჟეტი მნიშვნელოვანია მათთვის, თუმცა ტექსტი — სულერთია, ხშირად ხელსაც კი უშლით, ვერ იგებენ და ჩეხავენ უმოწყალოდ. ერთადერთი რეჟისორი, რომელიც პატივს სცემს სიტყვას, თემურ ჩხეიძეა. ის თითოეულ სიტყვას უკირკიტებს, ეძიება, მის ამოხსნას ცდილობს, რომ რაღაცნაირად მოერგოს მას, ისე აამუშაოს, რომ არც ადგილი შეუცვალოს, არც დაამახინჯოს. სინამდვილეში მისი სპექაკლები თავიდან ბოლომდე ინტერპრეტაციაა, ოღონდ ინტელექტუალური ინტერპრეტაცია. არ ვიცი, კიდევ რომელი რეჟისორი ეპყრობა ტექსტს ასე...

ესაუბრა თამარ ჟურული

— **როცა** არ უნდა დაგირეკო, შენ სულ მიუწვდომელი ხარ! — უკვე სკაიპში მეუბნება პასკალი, მოზრიალე კომპიუტერს რომ ძლივს შემოვუსწარი.

ტელეფონზე გამოტოვებული ზარების რაოდენობას აღარ ვითვლი, პასკალის ხმა მკარნახობს, რომ რაღაც დავაშავე და ტკბილად უნდა გავარკვიო — რა. ამიტომ ამ „შენ სულ მიუწვდომელი ხარ“-ს ყურადღებას არ ვაქცევ და ხმასაც თაფლს ვურევ:

— სადილს ვაკეთებდი, რა მოხდა?

— რა მოხდა და გამძარცვეს! — თითქოს ნიშნს მიგებს, ისე მიცხადებს.

ცივი ოფლი მასხამს და ვმუნჯდები. კიდევ კარგი, ვზივარ. სიტყვას ვერ ვამბობ, თვითონ აგრძელებს:

— წაიღეს საფულე და ყველა ბარათი, რაც შიგ მედო, აბსოლუტურად ყველაფერი, ყველაფერი!

ვიფიქრე, სახლი გატეხეს-მეთქი და რაკი ერთ საფულეზეა ლაპარაკი, ხმის ამოღებას ვბედავ:

— ფული ბევრი გქონდა? სად ამოგაცალეს? პოლიციაში დარეკე?

— აბა, შენ რა გგონია, სად ვიყავი ამდენი ხანი? შენც გირეკავდი და ტელეფონს არ იღებდი! მთელი საღამოა, გირეკავ! — ადამიანები ხომ პასუხის გაცემას ბოლო შეკითხვიდან იწყებენ, ვერაფრით ვისწავლე ჭკუა, შეკითხვებს შორის პაუზა გავაკეთო, თუ მინდა, რომ პასუხი მივიღო. თუმცა იმის ჭკუა კი მყოფნის, რომ ახალგაძარცვულ თუ დაყაჩაღებულ ადამიანს

ბელა ჩეკურიშვილი

წმინდანი ქურდის ამბავი

ლაპარაკი არ შევაწყვეტინო და ვაცალო, რაც სათქმელი აქვს, ამოალაგოს, ბოლომდე ამოიბერტყოს.

და პასკალიც ალაგებს და ბერტყავს:

— იცი, რომ ახლა პორტრეტების შექმნა აღარ ყოფილა მნიშვნელოვანი? ახლა იმას აქცევენ ყურადღებას, როგორ მოქმედებს მძარცველი. რა აცვია და როგორ გამოიყურება, ეგ უკვე სულერთია თურმე. საათნახევარი პოლიციაში ვიჯექი, წარმოგიდგენია? საათნახევარი! მთელი ჩემი ბარათები უნდა დაიბლოკოს, ყველაფერი ხელახლა უნდა შევუკვეთო, მოწმობები, საბანკო ბარათები, საშინელებაა, საშინელება! ეს რა დაჯდება, როდის დამზადდება?! რამდენგან უნდა განვაცხადო, მერე ვიდრე შეხვედრას დამინიშნავენ, ვიდრე ახალს დამიმზადებენ! და რამხელა თანხა წავა ამ ყველაფერში? სამასი ევრო მაინც!

— ფული ბევრი გედო? — ცოტა შეისვენა და ვსარგებლობ.

— 200 ევრო, ეგეც შენი საშობაო საჩუქრების ფული! — და აგრძელებს, — არა, შენ წარმოგიდგენია, რამდენი დრო წავა ამ მოწმობების დამზადებაზე? ექიმის მოწმობა, საპენსიო მოწობა, დაზღვევის ბარათი, მატარებლის სამგზავრო ბარათი, მუზეუმების ბარათი, საბანკო ბარათები, საკრედიტო ბარათი, გადახდის ბარათი. საშინელებაა. შენ არ გესმის, რა საშინელებაა ეს ყველაფერი!

— საბანკო ბარათები ხომ დაბლოკე? — აშკარად მშვიდად ვარ, რაკი სახლი არ გაუძარცვავთ და იმ საფულეშიც განსაკუთრებული თანხა არ ყოფილა.

— ისინი კი დავბლოკე, მაგრამ გადახდის ბარათს ერთი გატარება უნდა, არც ხელის მოწერაა საჭირო, არც კოდის აკრეფა...

— თუ ჭკვიანია, ვერ გაბედავს მაინც, სადღაც აუცილებლად აისახება და ჩაავლებენ. ნუ გეშინია. მთავარია, რომ ბანკებს ინფორმაცია გადასცეს, — ახლა ჩემი ლაპარაკის ჯერი დგება, — როგორ ამოგაცალეს, ვერ შეამჩნიე?

როგორც ჩანს, მოვლენებს გავასწარი, დენთის კასრი ჯერ ისევ შიშინებდა და ზუსტად ფეხებთან ამიფეთქდა:

— რას ქვია, ვერ შევამჩნიე? თვითონ შემოვუშვი სადარბაზოში! რას ვიფიქრებდი, რომ ქურდი იყო?! ვის აწერია სახეზე, რომ ქურდია! — ბოლო ხმაზე ყვირის პასკალი.

— მოიცა, როგორ შემოუშვი?

— ჰო, ეგრე, მეზობელი მეგონა რომელიღაცა. ისეთი ნორმალური გარეგნობა ჰქონდა, სულ არ ჰგავდა ქურდს!

— შემოუშვი და ფული მოგთხოვა?

— უნდა გითხრა, რომ ძალიან თავაზიანი იყო. არც მთვრალი ყოფილა, არც წამალზე დამოკიდებულს ჰგავდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ მძარცველია. შეიძლება, სულაც გაუჭირდა და ამიტომ გამოვიდა ამ საქმეზე...

— კარგი ახლა, რას ამბობ, ადამიანმა საკუთარ სადარბაზოში დაგაყაჩაღა!

— ჰო, დამაყაჩაღა, ხელებით გამაკავა. სასიამოვნო მართლაც არ იყო, მაგრამ ძალიან თავაზიანად მოიქცა მაინც. შეიძლება, პოლონელი იყო, ანდა — ბოშა.

— ვაიმეეე, ფილმში მგონია თავი, ბოშას რაღა უნდა თქვენს უბანში?!

— სიტყვა „ბოშა“ არ უნდა ვიხმაროთ, ხომ იცი? თქვი „რომას შვილები“. იცი, მათ შორის ძალიან ბევრი წესიერი და მშრომელი ადამიანია, ბევრი ცნობილი მუსიკოსიც ჰყავდათ. ყველა მათგანს ნუ გალანძღავ...

და აქ უკვე ხელახლა ვმუნჯდები. პასკალთან ვერასდროს იკამათებ. თუ იკამათებ და უცებ ისეთ ფსიქოლოგიურ ალიყყურს მიიღებ, ერთი კარგად რომ დაგაბარბაცებს. ჩვენი თვალთახედვა არცთუ ისე ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, სხვა თუ არაფერი, სხვადასხვა სამყაროში გავიზარდეთ, სხვადასხვა კულტურას მივეკუთვნებით, განსხვავებულია ჩვენი ფსიქიკა, ტემპერამენტი, არქეტიპები, კლიშეები. ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა ენაზე ვიგინებით, ამიტომაც ხშირად ვასკდებით ერთმანეთს. პასკალმა დათმობა არ იცის, აგიყვირდება, შემოგწყრება, შემოგებუტება, ბოლოს დიაგნოზს დაგისვამს: „მე შენი არ მესმის“! და შენც უნდა ადგე და თუ გასაცლელი არა გაქვს, სხვა კუთხეში მაინც გადაჯდე. ეს ხომ ათი ათასჯერ მიწვნევია, და ისიც ვიცი, ამ ახირება-აყვირების შემდეგ ქართულად მდუღარე სისხლი რომ დამიცხრება და მის ნათქვამზე დავფიქრდები, სასწორზე რომ ავწონი წინადადების ყველა წევრს, თავისი სასვენი ნიშნებით, ეს ჩემი სააფთიაქო სასწორი უსინდისოდ გადაიხრება პასკალისკენ და თანაც ისე, აქამდე ნაგროვები ჩემი ცოდნა-გამოცდილება მტვრის ფენადღა რომ გამოჩნდება.

ამჯერად კი საკამათოც არაფერი ყოფილა: პასკალისთვის ქურდს ეროვნება არ აქვს, და თუ აქვს, ერთი მათგანის საქციელით მთელ ერზე მსჯელობას არც თვითონ აპირებდა და არც ჩემგან დაუშვებდა.

კარგი, ხო, მეც ხომ არაფერი მითქვამს, რაკი იმ ქურდმა, პოლონელი იყო თუ ბოშა, ყელი არ გამოსჭრა, ან თავი არ გაუტეხა, რაკი საფულის წართმევას დასჯერდა და სახლამდე არ აჰყვა, ჯანდაბას მისი თავი, ეროვნებას არც მე წამოვაძახებ, ოღონდაც პასკალი ახლა მაინც მშვიდად იყოს!

და არის კიდეც: ერთი კვირა ინსტანციიდან ინსტანციაში დადის და ყველა მოწმობა-ბარათს ხელახლა უკვეთავს. კვირის თავზე კი თავიდან მირეკავს:

— არ ვიცი, გასახარია თუ საწყენი, მაგრამ დღეს წერილი მივიღე, — იწყებს შორიდან და ეს, აშკარად, მისი სტილი არ არის, აშკარად, რაღაც ხდება.

— ვისგან მიიღე წერილი, რა წერილია? — ისევ დათაფლული ხმით ვეკითხები, რა ვიცი, რა ხდება, იქნებ სულაც ჩემზეა რამე, გადმოვხვეწილვარ ცხრა მთას იქით...

— გამომიგზავნეს ყველა ბარათი, რაც ძარცვისას წამართვეს, წარმოგიდგენია? უკლებლივ ყველა — მოწმობებიც, საბანკო პლასტიკური ბარათებიც, მათ შორის, გადახდის ბარათიც!

— ეს როგორ, ასე მალე აღგიდგინეს?

— რა აღმიდგინეს? ახლები კი არა, ძველი ბარათები მივიღე, მძარცველმა გამომიგზავნა! რაც წამართვა, ყველაფერი გამომიგზავნა, მხოლოდ ფული დაიტოვა და საფულე. სამწუხარო ისაა მხოლოდ, რომ მე ახლები უკვე შევუკვეთე, ეს ძველები უკვე აღარ ვარგა, აი, საგზაო ფასდაკლების ბარათი გამოდგება მხოლოდ...

— ვაიმეეე, რას ამბობ?! ქურდმა გამოგიგზავნა ფოსტით?

და გამახსენდა, კაროლი რომ ამბობდა, ის ქურდი მარტო ფულს ამოიღებდა, საბუთებსაც და საფულესაც იქვე ახლომახლო ჩააგდებდა ნაგვის ურნაში და აბა, პასკალმა თავის სახლთან მოათვალიეროს, ვიდრე ახლებს შეუკვეთავსო. იმ გაცხარებულ გულზე როგორ ვეტყოდი, ნაგვის ურნები დაიარე-მეთქი, თავისიც ჰყოფნიდა, მაგრამ აკი, მძარცველს არც გადაუყრია, ნაგვისაში კი არა, საფოსტო ყუთში ჩაუყრია და ახლა პასკალს უჭირავს ხელში.

— ხო მაგარი საშობაო ამბავია, არა? წმინდანი ქურდი, რომელმაც მხოლოდ ფული აიღო, ნივთები კი დააბრუნა. ახლა ალბათ ზის თავის ცოლ-შვილში და უხარია, რომ ბევრი შოკოლადი აქვთ, — პასკალი გულიანად იცინის.

მეც ვიცინი, ვიწყებ მსგავსი ისტორიების გახსენებას და პასკალი უცებ ისევ მამუნჯებს:

— თუ ბოშა იყო, ალბათ ჯერ უფროსს მიუტანდა, სახლშიც კი ვერ წაიღებდა მთლიანად. ნეტავ, არ ყოფილიყო ბოშა. ის 200 ევრო რა გასაყოფი იყო, აბა?!

მანანა ამირეჯიბი

მაწრიელი, მიწრიელი და ორივე ერთად

ჩემი ბავშვობის ზაფხულებს არაგვის ხეობაში ვატარებდი დიდედა მარიამთან და ეს ორი სიტყვა მისგან მახსოვს:

1. ვინმე რომ საჯაყ რამეს ჩაიდენდა, ცოდვაა, შვილო, მაწრიელი ჰყავსო — მეტყოდა ხოლმე.

2. ღრმად დარწმუნებული, რომ ექვსი წლისამ არაბუნებრივი ადამიანები ვნახე და დეიდა არ მიჯერებდა, ვტიროდი — მეუბნებოდა, ნუ ტირი, დიდე, ეგ მიწრიელია, თავის ცხვირის იქით ვერ იხედებაო.

გვიან, როცა ეს სიტყვები ქართულ ლექსიკონებში შემხვდა, ისე გავიხარე, თითქოს ჩემი საყვარელი ბებო გაცოცხლდა. სინონიმებია, მაგრამ უფრო წინაპარს ვეთანხმები, რომ მიწრიელი მიწიერია, ცისკენ რომ ვერ იყურება და მაწრიელი — ეშმაკი.

დემონის თემას ერთხელ უკვე შევეხე. წერეთლის „გამზრდელის“ ბათუს გამო (დიახ, ბათუს!) ვწერდი, ცის მახლობლად კი არა, ცას რომ გასცდეს ვინმე, თავის ჩასაფრებულ დემონს ვერსად დაემალება, საფარ-ბეგის ეშმაკზე ნაკლები არ ყოფილა ბათუს მაწრიელი-მეთქი. მაშინ ვერა ვთქვი, არ ვიცი, ვისი ან რისი მომერიდა, ახლა დავამატებ, რომ ფინალის მიხედვით ორივეს დემონი გამარჯვებული დარჩა... ეშმაკზე გამარჯვება მხოლოდ მაშინ გამოდის თუ ადამიანი მას დაძლევს. იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებაში“ უფლის სიტყვებად წერია: „მძლეველი, ასე სისპეტაკით მოსილი ივლის და არ ამოვშლი მის სახელს სიცოცხლის წიგნიდან...“

სწორედ ეს ყოფილა ჩვენი დანიშნულება, ვებრძოლოთ საკუთარ მანკიერებას. თუ ამას ვერ აჯობე, ყველაფერი ტრაგიკულად მთავრდება.

ვრცელი შესავალი გამომივიდა და ვერც შემოკლება მოვუხერხე. არადა, ეს ყველაფერი გამახსენა, მაფიქრებინა და მათქმევინა რეზო თაბუკაშვილის „მესამე თვალმა“. ამ ახალგაზრდა მწერლის მოთხრობების მთავარი თემები ჩემთვის მუდამ საინტერესოა. ნაწარმოების დაწვრილებით განხილვას არ შევუდგები, ჩემთვის მნიშვნელოვან თემებს მინდა შევეხო და ვთქვა, რომ

რეზიკომ გაბედა!

რა გაბედა და, ჩვენს ლიტერატურაში არ შემხვედრია, მაწრიელი – რომ „გიჩხიკინებს და მოსვენებას არ გაძლევს“ (რ.თ.) — თითქოს მხოლოდ გამონაკლისის საკუთრება იყოს — საზოგადოებისთვის PERSONA GRATA-ში — ვინმეს შეენიშნოს და აღენიშნოს. მაგრამ ხომ ვიცით, რატომ იჯდა სამჯერ ციხეში სერვანტესი, რა ამორალური იყო აინშტაინი, რა სიამოვნებით აღიარებდა ჩელინი მკვლელობას. სხვაც მრავალი იქნება, უცბად ესენი გამახსენდა. მათ უკვდავება დაიმსახურეს იმით, რომ მძლეველები იყვნენ, დროის რაღაც მონაკვეთში ნიჭით სძლიეს თავიანთ დემონებს, კაცობრიობას ისეთი დანატოვარი აჩუქეს, რომ ვისღა აწუხებს მათი „საქმენი საგმირონი“.

რეზო თაბუკაშვილის მოთხრობის ერთერთი მთავარი პერსონაჟია გიგა-კაცის **აზარტი**, ანუ რაც „ამოძრავებს კიპარისის ტანს“. კაცის აზარტი ასეთია: „ხშირად წამიღებს უმისამართოდ, ერთი სივრციდან მეორის კედლამდე მიმახეთქებს მტკივნეულად, ბეჭის, ნეკნების სხვა ძვლების მსხვრევვით. არ თუ ვერ ვჩერდები...“ ქვემოთ მოტანილი ციტატის სიზუსტეში ღრმად დარწმუნებული ვარ: ბიბლიაშია, უფალი ეუბნება, მაგრამ არ მახსოვს, ვის: „ვიცი საქმენი შენი, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ოჰ, ნეტავი ცივი იყო ან ცხელი“. გამოდის, ნელთბილი, ანუ მოყოყმანე ადამიანი უფალსაც არ ყვარებია. ისე, ხომ არ შეიძლება საშუალო ოქრო ბაჯაღლო იყოს. ჩემი აზრით ცხელი ბაჯაღლოა. ცივი რაღაა? აზარტი ანგელოზებსაც გააჩნიათ და ამ შემთხვევაში ალბათ ცხელია?! დემონებსაც და მათ შემთხვევაში — ცივი? ადამიანს კი ორივე აქვს! ცივიც და ცხელიც. ჰო და არა? ესაც დიდი ოხერი რამეა, ხშირად სულაც საპირისპიროს გულისხმობს. ცხელი ქმნის და ცივი ანგრევს? არადა, ხომ ასეა, მამაკაცები თან ქმნიან სახელმწიფოებს, აშენებენ ქალაქებს და მერე გაუთავებელი ომებით თვითონვე ანგრევენ. ნელთბილი, ანუ უაზარტო და მიწრიელი, არც აშენებს და არც ანგრევს, მაგრამ რა, ასეთები ხომ არსებობენ და არა ცოცხლობენ. ასეთები ხომ შედევრებს ვერ შექმნიან. თუ ასეა, რა გამოდის, მნგრეველი ჯობს მოყოყმანე ნელთბილს? რა თქმა უნდა — არა, მაგრამ ნელთბილი არასდროს ამოიშლება „სიცოცხლის წიგნიდან“, ვთქვათ, კაცობრიობის მახსოვრობიდან, რადგან ამ ყველასთვის ნანატრ წიგნში, არავინ ჩაწერს.

როგორც ჩანს, აზარტი ყველას საკუთარი ხარისხისა აქვს. მაგალითად, ტაქსის ნელთბილი მძღოლი, რომელსაც „ჭია ღრღნის, ჭიაა თუ რაღაც“, ამბობს: „რაღაც განსაკუთრებულ აზარტს ვგრძნობ და ამ დროს ò¸ìíàÿ íî÷ü-ს ვმღერი“. ხომ ყველას გვაწრიალებს, ვისაც ჰგონია, რომ მასში რაღაცა დოზით ეშმაკი არ ზის, მხოლოდ და მხოლოდ ღიმილის ღირსია. აქ უცბად გამახსენდა ერლომ ახვლედიანის ფრაზა: „არის ჩემში რაღაც ისეთი, რაც მე არ მეკუთვნის“ — მაგრამ არის! ოღონდ, ვის ჭია ღრღნის და ვის — ფასკუნჯი, ეს არის მთავარი. „რამაიანაში“ წერია, რომ ადამიანის ბოროტ რაკშასებს სჩვევიათ მათი შეცდენა. არ ვიცი, რა შუაშია და რა ეშმაკად გამახსენდა ეს ბწკარები ჩვენი გენიოსის ლექსიდან: „მე გამიტაცეს სევდიან ხმებმა, მე პოეზიის ბნელი სატანა.“ აზარტს, ვფიქრობ, მოთხრობის ეს წინადადება ესადაგება: აზარტულისთვის „უსასრულობა დროის ფენომენს მოიცავს“(რ.თ.), ანუ უსასრულო მაინც მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ნელთბილთათვის „მარადისობა დროის მიღმაა“ (რ.თ.)

ბრძოლა დამარცხებისთვის

მთავარი პერსონაჟია გიგა-კაცი. დეფისით იმიტომ, რომ ერთი და იგივე, ორად გახლეჩილი პერსონაჟია. კაცი გიგას მაწრიელია, რომელიც „უჩხიკინებს და მოსვენებას არ აძლევს“. გიგა ექიმია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იწვევენ სიმპოზიუმებზე. მისი საყვარელი ქალი, „ველური ზაირა“, მოუხელთებელი, გამოუცნობი და „გამქცევია“ და ამიტომ ვერდავიწყებული, იდუმალია — „ქალური, კარგი ილეთი აქვს“. ყოველი მისი გახსენება გიგას უადგილო ადგილას აწრიალებს და ჯიჯგნის, რასაც ქალისადმი მამაპაპური გინება მოსდევს. გამეღიმა, რომ გინება ხანდახან სიყვარულსაც გამოხატავს. გიგა მოაზროვნეა, ასე აღწერს ქალის და კაცის ურთიერთობას: „გოგო უერთგულებს, ნაღდად, ოღონდ შეიძლება ერთ დღეს მოსწყინდეს, უჰორიზონტო გოგოა, ბიჭს კი მკვეთრი საზღვრები აქვს“. განა განშორების უმრავლესობა ერთ-ერთის მომაბეზრებელი უნიათობის ბრალი არ არის? თავის დას „ზნეფაქიზს“ უწოდებს იმიტომ, რომ ბავშვი საყვარელი ადამიანისგან გააჩინა და არა მიზანდასახული ქორწინებიდან. და კიდევ იმიტომ უწოდებს ასე, რომ მასავით გახლეჩილი არ არის. ლალის, ძმის დაკვირვებით, ასეთი აზარტი აქვს: „რამდენიმე წამოწყება ხეირიანად გამოუვიდა, არ ჩაუფლავდა, ბოლომდე ამოწურა და მერე გადაერთო სხვა თემებზე“. ზოგი ხომ სიბერემდე მშვიდად იჯდებოდა ნაშოვნი ხეირით. უმრავლესობას სიახლის აზარტი ნამდვილად არა აქვს. მაგრამ ბილიკი ხომ აღმართსაც შეიცავს და დაღმართსაც. დაძმის აზარტმა სხვადასხვანაირი საცალფეხო ნახა.

კაცი მათემატიკოსია, ციფრების კორიანტელი მის „სამყაროში პოულობს სიმშვიდეს“. ამ მაწრიელს თავის შესაფერის „დიდი აფეთქების პროექტში ეპატიჟებიან, ორი მასის აჩქარებით მიღებული შედეგების საკვლევად“. მისი შეყვარებული თიკა პრაგმატული და ჭკვიანია. მასთან ურთიერთობისას კაცი რატომღაც აზარტული მძარცველი და ცივსისხლიანი მკვლელია, „სკრუპულოზური სიზუსტით მუშაობს გეგმაზე, რათა საბედისწერო შედეგი გამორიცხოს“.

მისი „ნათლია“ ახალი თაობის „აღმზრდელი“ ურო-ზურია ლიტერატურაშიც და ცხოვრებაშიც კარგად დახატული ცნობადი ტიპაჟია. მონასტერში ბერებთან შინაური, მონანიე, დარწმუნებული, რომ თუ ილოცებს, პატიებული იქნება და ისევ მშვიდად გააგრძელებს თავის საქმიანობას. ის „კაცის ხელით იკლავდა ბოღმას“, რადგან იცოდა, რომ ვის „კრიშასაც“ წარმოადგენდა, სწორედ ისინი მოუღებდნენ ბოლოს. ეს კარგად იცის. მაგრამ არ იცოდა, რომ კაციც მათ რიცხვში იყო, ვისაც სულ „უჩხიკინებდა მოუსვენარი“ და აზარტი კარნახობდა, რომ საბოლოო ჯამში სწორედ „ეროს დაყაჩაღება იქნებოდა მართებული“, „ეფექტური იქნებოდა, არა?“. თავის უფროსზე გამარჯვების ჭია ხომ თითქმის ყველა ხელქვეითში ღოღავს — მით უფრო, თუ უმცროსმა იცის, რომ „არაფრის მომტან ბრძოლაში ხარჯავდა ძვირფას ენერგიას, რომლის გამოყენებაც, ასაკიდან გამომდინარე, მშვენივრად იცოდა, როგორც შეიძლებოდა“. რამდენჯერმე მიმართავს კიდეც თავის მაწრიელს: „რატომაც არა, რო?“ რატომაც არა, ბოროტების ბოროტებით დამარცხება ხომ, სამწუხაროდ, უფრო ადვილია. კაცი ისეთ გუნებაზეა, რომ „ცოტაც და შეწყვეტს რისკიან თამაშს“. ...და მძლეველობა დაიწყო მისი ამაწრიალებელი ზურა-ეროთი, მით უმეტეს, რომ მათი სიცოცხლე, ბოლო დაყაჩაღების შემდეგ, ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. კაცმა „უნდა იყოჩაღოს და დაუსხლტეს ხელიდან ხან აქ, ხან იქ ჩამომჯდარ სიკვდილს“, რასაც წერასატანილმა თვითონვე მიაკითხა. დასწრებაზე იყო და „ნათლულმა“ დაასწრო „ნათლიას“, მშვიდად და სინანულის გარეშე გაისტუმრა საიქიოს, რადგან იცოდა, რომ „ურო ერთადერთია, ვისაც მასზე გაყვანა შეუძლია, მერე კი ვერც გაიგებს საიდან დააგორებენ“. და რა მოხდა ამის შემდეგ? გიგა-კაციც თან მიჰყვა. არ ვიცი, დრო არ ეყო თუ დროს არ ეყო, აფეთქება ხომ ჯერაც არ მომხდარა და, იმედია, არც არასოდეს მოხდება. მაწრიელი, მიწრიელი და ორივე ერთად... დამარცხდა!

ამათ გამო: გაბედულების, გრძნობისა და თუნდაც დამარცხებული ბრძოლის გამო მომეწონა „მესამე თვალი“. ყოჩაღ, რეზიკო, ყოჩაღ, რომ კეკლუცობას ასცდი და რეალობა ასახე! თუ გამოვტყდებით, ცხოვრებაში ხომ არც ბედნიერება არსებობს და არც ბედნიერი დასასრული. ეს ხანმოკლე ეტაპია და რა მოხდება შემდეგ, ჩვენთვის უცნობია. გაწყალდა გული, რომ თითქოს ცუდი მხოლოდ ცუდია და კარგი — მხოლოდ კარგი. ადამიანში ხომ ის არის, რაც ბუნებაშია — სინათლე და სიბნელე ხან მეტი, ხან ნაკლები, როგორც რეზიკო იტყოდა „დილა-საღამოს პონტში“.

ახლა იმასაც ვიტყვი, რაც არ მომეწონა. ნაწარმოებში ზოგი ადგილი ძალიან გაწელილია და მთავარს გაკარგვინებს, ზოგი — პირიქით. ორ წინადადებას კი წავშლიდი: 1: კაცს „არ ევასება ძაღლები და არც ბანდიტები“. ესენი რომ არ არსებობდნენ, რა, მაწრიელიც აღარ გვეყოლებოდა? გიგასადმი ზაირას წერილში კი ამ წინადადებას: „მაიას სწავლის ამბებს დავამთავრებ და ორ კვირაში მანდა ვარ“. ჩემი აზრით, აუბრალოებს — სანტიმენტები და ბოდიშები არ უხდება ამ მოთხრობას. საბოლოო ჯამში ისეთი რამ გამოვიდა, რომ მკითხველი, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში ძალიან სერიოზულ ნაწარმოებს მიიღებს ცივი ან ცხელი, და არავითარ შემთხვევაში ნელთბილი რეზო თაბუკაშვილისგან, რადგან რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი მუდამ არის ხოლმე მის პროზაში. მთავრის შემადგენელ წვრილმანებს კი, რაც ჩემი აზრით, ჯერჯერობით ბოლომდე არ ეხერხება, გამოცდილებით ეშველება!

„ლიტერატურული გაზეთის“ გამოწერის მსურველები
დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com